საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№ 15 (344)
20 – 26 აპრილი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



უილიამ ლაჰიუ:
## ნატოს 28 ქვეყანას საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე კონსენსუსის მიღწევა გაუჭირდება 2

## რატომ დაეცა «ქართული ოცნების» რეიტინგი?

მომავალი საპარლამენტო არჩევნები ამერიკისთვის სასურველი შედეგის 8 მისაღებად გაყალბდება?



4 გაყალბებული რეიტინგები და ბარბაროსული სულები

«ამერიკელებთან ურთიერთობის გაფუჭების შიშის გამო «ქართულმა ოცნებამ» ბოლომდე არ მიიყვანა სოციოლოგიური მანიპულაციების გამოაშკარავების და მათი ავტორების მხილების პროცესი»



«სააკაშვილი 12 განსაკუთრებული მონდომებით ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას ჰამშილებს – გათურქებულ სომხებს»

# «აქ რას აკეთებთ, ამერიკელებო?» 3



## «დღეს თავდაცვის 5 სამინისტრო აღარ არსებობს, ის რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინად გადაიქცა»

## რას მალავს თავდაცვის მინისტრი?

## ლევან მამალაძის 7 პოლიტიკური მეტამორფოზი



«დონალდ კუკი» კვლავ დაცინვის ობიექტია 15




## მაპის მიღებამდე ნატო და თინა «ფეისბუქზე» 11 დამეგობრდნენ



10 ენვერის გასპლიყვება

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სამართალდამცველებმა ბირთვული მასალის გაყიდვის მცდელობის გამო 6 პირი დააკავეს

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბირთვული მასალის გასაღების მცდელობის ფაქტზე დააკავეს 6 პირი — სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეები.** უწყების განმარტებით, აღნიშნული პირები თბილისში 200 მილიონ აშშ დოლარად აპირებდნენ ბირთვული მასალის — ურანის (U 238) გაყიდვას.

დანაშაულში მონაწილე ერთ-ერთი პირის საცხოვრებელ ბინაში ნაპოვნია ქარხნული წესით დამზადებული სატრანსპორტო კონტეინერი, რომელშიც ურანი-238 იყო.



## ყველაზე მეტი შემოსავალი 2015 წელს «ნაციონალურმა მოძრაობამ» მიიღო

**პოლიტიკურმა პარტიებმა 2015 წლის განმავლობაში ჯამურად 12 407 707 ლარის შემოსავალი მიიღეს. ამ თანხიდან ყველაზე მეტი — 3 251 781 ლარი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდის, მეორე ადგილზეა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, რომლის მიერ 2015 წელს მიღებულმა დაფინანსებამ 1 426 227 ლარი შეადგინა.**

მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი ირიცხება **„გაერთიანებული დემოკრატრიული მოძრაობისა“** და **„თავისუფალი დემოკრატების“** ანგარიშებზე, რომლებმაც გასული წლის განმავლობაში, შესაბამისად, 1 470 484 ლარი და 1 014 739 ლარი მიიღეს. რაც შეეხება სხვა პარტიების შემოსავლებს, მათი მაჩვენებელი ასე გამოიყურება: **„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“** — 863 086 ლარი, **რესპუბლიკური პარტია** – 757 437 ლარი, **„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“** – 741 352 ლარი, **კონსერვატიული პარტია** – 722 672 ლარი, **„ეროვნული ფორუმი“** – 721 352 ლარი, **ქრისტიან-კონსერვატიული პარტია** – 660 722 ლარი, **ლეიბორისტული პარტია** – 610 020 ლარი, **„ევროპელი დემოკრატები“** — 19 000 ლარი, **დევნილთა პარტია** – 56 771 ლარი, **„თავისუფალი საქართველო“** – 35 032 ლარი, **„პლატფორმა ახალი პოლიტიკური ცენტრისთვის“** – 30 000 ლარი, **ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია** – 14, 120 ლარი, **„მემარცხენე ალიანსი“** – 2 255 ლარი, **საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია** – 2 936 ლარი, **„განახლებული საქართველოსთვის“** – 2 875 ლარი, **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** – 1 300 ლარი, **ხალხის პარტია** – 1 135 ლარი, **„რეფორმატორები“** – 1 119 ლარი, **„ქართული დასი“** – 861 ლარი, **„საქართველოს მშვიდობისთვის“** – 350 ლარი და **„უფალია ჩვენი სიმართლე“** – 80 ლარი.

2015 წელს შემოსავალი არ მიუღია „საქართველოს გზას“, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“, საქართველოს მწვანეთა პარტიას, „ახალ მემარჯვენეებსა“ და მშრომელთა სოციალისტურ პარტიას.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ 2015 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებული 12 407 707 ლარის ოდენობის შემოსავლიდან 10 678 948 ლარი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა.

უილიამ ლაჰიუ:

## ნატოს 28 ქვეყანას საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე კონსენსუსის მიღწევა გაუჭირდება



**მაპი წინა ხელისუფლების პერიოდში პოლიტიზებულ საკითხად იქცა, რის გამოც ნატოს წევრ 28 ქვეყანას საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე კონსენსუსის მიღწევა გაუჭირდება, — ამის შესახებ საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ განაცხადა. მისივე განმარტებით, ნატოში ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტი და ასპექტი საქართველოში რეფორმების გატარებაა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.**

„რეფორმები არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი მოკავშირე ქვეყნებისთვის, თუ როდის მიიწვიონ საქართველო წევრობისთვის. ბუქარესტის სამიტიდან გამომდინარე, სულ ისმის, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუმცა მთავარი კითხვა აქ არის — როდის? ეს არის თემა პოლიტიკისა და ტექნიკური საკითხების კომბინაციისა, რომელიც ნატოს მოკავშირეებს აწუხებთ. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რეფორმების უწყვეტობას. მათ აინტერესებთ საქართველოს პოზიცია. ჩვენ ასევე ყველაზე მეტად ვაკვირდებით უსაფრთხოების პოზიციებს“, — განაცხადა უილიამ ლაჰიუმ.

ამასთანავე, როგორც ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მართალია, ალიანსის წევრობა არ იძლევა განათლების, ეკონომიკური განვითარების და სხვა საზოგადოებრივი ასპექტების განვითარების გარანტიებს, მაგრამ „თავისთავად უსაფრთხოების გარანტია იქნება ქვეყნის აყვავების გარანტი“.

დოდო აფრასიძე:

## გიორგი ბარამიძე, დასაჭერი კი არა, დასახვრეტია

**დოდო აფრასიძე, რომელიც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის — გიორგი ბარამიძის დასჯას, წლებია, ითხოვს, ამბობს, რომ გიორგი ბარამიძე გამოძიებამ აუცილებლად უნდა დააპატიმროს.**

„წლებია, ველოდებით გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას. გია ბარამიძე, დასაჭერი კი არა, დასახვრეტია იმ ყველაფრის გამო, რაც მაშინ მოხდა. ევგენი ხელებაწეული გამოვიდა სამართალდამცველების წინაშე, მაგრამ არ დაინდეს, სახლიც გადაგვიწვეს ბარბაროსულად და გაგვანადგურეს“, — განუცხადა საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „კვირას“ დოდო აფრასიძემ.

აფრასიძე ამბობს, რომ სპეცოპერაციისას მიღებული სტრესის შემდეგ შმაგი აფრასიძის მეუღლეს, ინდირას, ფსიქიკური პრობლემები შეექმნა და ის დღემდე მკურნალობს.

აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი ბარამიძე დააპატიმრონ.

გავრცელებული ინფორმაციით, აფრასიძეების საქმის გამოძიება დასასრულს უახლოვდება და ბარამიძის წინააღმდეგ კონკრეტული ჩვენებებიც არსებობს.

შეგახსენებთ, რომ მესტიაში,





სოფელ ეცერში სპეცოპერაცია 2004 წლის 24 მარტს ჩატარდა, რომელსაც შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა. სპეცოპერაციისას მამა-შვილის, ევგენი და ომეხ აფრასიძეების, ლიკვიდირება მოხდა. დაკავებულ ძმებს – გოჩა და შმაგი აფრასიძეებს კი 19 და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. გოჩა და შმაგი აფრასიძეებს ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდათ, 2013 წელს კი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ.






## მთავრობა უცხოელი არტისტების ჰონორარებზე 11,1 მლნ ლარს დახარჯავს

**კულტურის სამინისტრომ check in georgia-ს ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა გამოქვეყნა. როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, პროექტისთვის, რომელშიც ერთიანდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი ყოველწლიური ტრადიციული ფესტივალები, წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი თანხები გამოიყო.** კულტურის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, 5 შემსრულებლის ჰონორარი მთავრობას 11 166 639 ლარი უჯდება. ეს თანხა **ეროს რამაზოტის, რობი უილიამსის, GROOVE SONIX-ის, MAROON 5-ის, ხოსე კარერასის** ჰონორარზე ნაწილდება.




## რესპუბლიკურ პარტიას მასობრივად ტოვებენ

**სენაკში 25 რესპუბლიკელმა პარტია დატოვა, მათ შორის 2 კომიტეტის წევრია, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „თაიმერი“.** რესპუბლიკური პარტიის სენაკის ორგანიზაცია სულ 88 წევრს ითვლიდა. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ბადრი ხურცია** ადასტურებს აღნიშნულ ინფორმაციას. პირები, რომლებმაც რესპუბლიკური პარტია დატოვეს, სენაკის მუნიციპალიტეტში წამყვან პოზიციებზე იმყოფებოდნენ. ახლა ისინი მმართველ პარტიაში აპირებენ გადასვლას.

თამაზ მეჭიაური:

## პრეზიდენტის ფონდი ბიუჯეტის ფულითაა შევსებული და არა მისი ხელსაქმიდან შემოსული თანხით



**„მაგას საიდან აქვს ბიუჯეტი, ვერ გავიგე, რამე ფული იშოვა სადმე? — განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული ახალი განკარგულების გამოცემისა და მთავრობის ფინანსური დახმარების საკითხზე პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებას გამოეხმაურა.**

მეჭიაურის თქმით, პრეზიდენტი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით საღ აზრს უნდა დაემორჩილოს. „პრეზიდენტის ფონდი იგივე ბუჯეტია და ჩვენი გადახდილი ფულით არის შევსებული და არა მისი ხელსაქმით. თუ რამე სხვა ფული აქვს, მაშინ ადგეს და დააფინანსოს და ჩვენი ფული არ დახარჯოს. ნახოს, მოიძიოს ჯერ თავისი ფული. პრეზიდენტი უნდა დაემორჩილოს საღ აზრს და საღი აზრი არის ის, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ჰქონდეს თანაბარი პირობები და ეს საარჩევნო პერიოდი არ უნდა გაიწელოს უსაშველოდ“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

პრეზიდენტი არჩევნებთან დაკავშირებული ახალი განკარგულების გამოცემას არა ივლისში, როგორც მას პრემიერმა სთხოვა, არამედ მაისის დასაწყისში აპირებს. გიორგი მარგველაშვილი მზადაა, წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობას საარჩევნო ადმინისტრაციის დაფინანსებაში დაეხმაროს.

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროპარლამენტის 2 მძღოლს «ისლამური სახელმწიფოს» პროპაგანდისტული მასალები უპოვეს



**ევროპარლამენტის 2 მძღოლს, რომლებიც კერძო კომპანიის მეშვეობით იყვნენ დაქირავებულნი, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდისტული მასალები უპოვეს.**

დაკავებულთაგან ერთი მძღოლი — სტრასბურში, მეორე კი ბრიუსელში მუშაობდა. ორივეს ისლამისტური პროპაგანდისტული მასალების შემცველი დისკი აღმოუჩინეს. ისინი სამსახურიდან დაითხოვეს და მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება.

ამჟამად ევროპარლამენტს კერძო ფირმების 65 მძღოლი და ინდივიდუალურად დაქირავებული 23 მძღოლი ემსახურება.

# პატრიკ ბიუკენენი: რუსულმა თვითმფრინავებმა ბალტიის ზღვაში კითხვა დაგვისვეს: აქ რას აკეთებთ, ამერიკელებო?

## «რატომ არის ამერიკისგან 5000 მილით დაშორებული ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების დაცვა ჩვენი პასუხისმგებლობა»



**ცნობილმა ამერიკელმა პუბლიცისტმა და კონსერვატიზმის იდეოლოგმა პატრიკ ბიუკენენმა „ამერიკენ კონსერვეტეში“ წერილი გამოაქვეყნა.**

„რამდენიმე დღის წინათ რუსულმა ბომბდამშენებმა ბალტიის ზღვაში მცურავ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსანს რამდენჯერმე შემოუფრინეს (იხ. ვრცელი მასალა გაზეთის მე-15 გვ-ზე — რედ.). რუსულ თვითმფრინავებს არც ბომბი ჩამოუგდიათ და არც რაკეტა გაუსვრიათ, მხოლოდ შეტყობინება გამოგვიგზავნეს: აქ რას აკეთებთ, ამერიკელებო?

**სამხრეთ ჩინეთის ზღვაში** აშშ-ის თვითმფრინავები და ხომალდები პატრულირებენ ტერიტორიაზე, რომელზეც პრეტენზია აქვს პეკინს.

**სამხრეთ კორეაში** ამერიკელები რეგულარულად ატარებენ წვრთნებს ჩრდილოეთი კორეის გასაფრთხილებლად.

**ბაჰრეინში** ბაზირებული ამერიკული სამხედრო გემები სპარსეთის ყურეში ხშირად აწყდებიან ირანის წყალქვეშა ნავებსა და რაკეტებით აღჭურვილ კატერებს.

არადა, არც ერთ ამ რეგიონში აშშ-ს არ აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებსაც საფრთხე შეექმნებოდა, მოკავშირეთა ინტერესების გარდა, რომლებიც სათანადოდ ვერ ასრულებენ თავიანთ თავდაცვით მოვალეობებს და ძია სემის იმედი აქვთ. ამერიკას მძიმედ აწვება გლობალური მოვლენების ტვირთი.

დაე, სამხრეთი კორეა და იაპონია გაძლიერდნენ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ჩრდილოეთ კორეასა და პეკინს. ყოველთვის ჩვენ რატომ უნდა ვიზრუნოთ შეკავებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ვებრძოლოთ ჩრდილოეთ კორეელებს? და **რატომ არის ამერიკისგან 5000 მილით დაშორებული ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაცვა ჩვენი პასუხისმგებლობა და არა — გერმანიის, რომლის ეკონომიკაც მეტია რუსეთის ეკონომიკაზე?**

ცივი ომის პირქუშ დღეებშიც კი ამერიკის პრეზიდენტები უარს ამბობდნენ სამხედრო მოქმედებაზე უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა თუ პოლონეთში. როცა მათ საქმეში მოსკოვი ერეოდა, აშშ არაფერს აკეთებდა. როდის გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებლობა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მათ გამო ჩვენ ომის დაწყებასაც არ ვუფრთხით ბირთვული იარაღის მქონე რუსეთთან?

ამერიკამ აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნები არ უნდა ჩამოწეროს, მაგრამ ჩვენ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთთან ომის ნებისმიერი შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ და ჩვენი პასუხი რუსეთის მოქმედებაზე ეკონომიკისა და დიპლომატიის ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. **აღმოსავლეთ ევროპაში აშშ-სა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში მთავარი დამარცხებული აღმოსავლეთ ევროპა იქნება.**

**„1991 წლიდან ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა სუსტდება და ღარიბდება. დღეს ჩვენ ისევე დაძაბულნი ვართ, როგორც 1940-იანი წლების ბოლოს იყო ბრიტანეთის იმპერია. იმ იმპერიის მსგავსად, ჩვენც მუდმივი გამოწვევები გვაქვს იმ ქვეყნებისგან, რომლებიც მიილტვიან თავიანთი ადგილის გასაფართოებლად მზის ქვეშ. ეს ქვეყნებია, პირველ რიგში, აღორძინებული რუსეთი, ჩინეთი და ირანი. დადგა დრო ცივი ომის დასაწყისში აშშ-ის მიერ გაცემული სამხედრო გარანტიების გადაფასებისა, რათა განვსაზღვროთ, მათ შორის რომელი შეესაბამება ამერიკის ინტერესებს“**

1991 წლიდან ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა სუსტდება და ღარიბდება. დღეს ჩვენ ისევე დაძაბული ვართ, როგორც 1940-იანი წლების ბოლოს იყო ბრიტანეთის იმპერია. იმ იმპერიის მსგავსად ჩვენც მუდმივი გამოწვევები გვაქვს იმ ქვეყნებისგან, რომლებიც მიილტვიან თავიანთი ადგილის გასაფართოებლად მზის ქვეშ, ეს ქვეყნებია, პირველ რიგში, აღორძინებული რუსეთი, ჩინეთი და ირანი.

დადგა დრო, ცივი ომის დასაწყისში აშშ-ის მიერ გაცემული სამხედრო გარანტიების გადაფასებისა, რათა განვსაზღვროთ, მათ შორის რომელი შეესაბამება ამერიკის ინტერესებს.

ეს არ არის იზოლაციონიზმი, ეს არის ჩვენი ქვეყნის ინტერესების წამოწევა წინა პლანზე, ისევე, როგორც უარის თქმა სხვა ხალხების ომებში მონაწილეობაზე“.

# «სუ-27»-მა ბალტიის ზღვის თავზე ამერიკულ მზვერავ თვითმფრინავს უჩვენა, როგორ უნდა გაკეთდეს «კასრი»

**რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელმა „სუ-27“-მა ბალტიის ზღვის თავზე აშშ-ის თვითმფრინავი „ერ-ეს-135“ გამოიჭირა. ინციდენტი ბალტიის ზღვის ნეიტრალური წყლების თავზე მოხდა.**



აშშ-ის სამხედრო ძალების სარდლობის წარმომადგენელმა დენი ერნანდესმა დაადასტურა ინფორმაცია ბალტიის ზღვის თავზე მომხდარის შესახებ. ერნანდესის თქმით, 14 აპრილს აშშ-ის მზვერავი თვითმფრინავი ბალტიის ზღვის ნეიტრალური წყლების თავზე ფრენდა და რუსეთის ფედერაციის საჰაერო სივრცეში არ შესულა. ამ მომენტში მას დაედევნა რუსული გამანადგურებელი, რომელიც „უწესრიგო და აგრესიულ მანევრებს ასრულებდა“. **„სუ-27“-მა ამერიკულ „ერ-ეს-135“-ს 15 მეტრში ჩაუფრინა და ე.წ. კასრი (უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა) შეასრულა — ამერიკულ თვითმფრინავს მარცხენა ფრთის მხრიდან მიუახლოვდა და მანევრი მარჯვენა ფრთის ბოლოს დაასრულა.**

ამერიკელებმა, ისევე, როგორც ხომალდ „დონალდ კუკის“ შემთხვევაში, პროტესტი გამოთქვეს რუსული თვითმფრინავების მანევრების გამო, მაგრამ საკითხავია, რას აპროტესტებენ ამერიკელები? — განა რუსეთისთვის აკრძალულია თავისი სახელმწიფო საზღვრებიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სივრცეში ფრენა, ხოლო ამერიკელებს აქვთ ამის უფლება, იფრინონ იმ ტერიტორიაზე, რომელიც აშშ-დან 5000 კმ-ით არის დაშორებული?

**რუსულმა «სუ-27»-მა ამერიკულ «ერ-ეს-135»-ს 15 მეტრში ჩაუფრინა და ე.წ. კასრი (უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა) შეასრულა — ამერიკულ თვითმფრინავს მარცხენა ფრთის მხრიდან მიუახლოვდა და მანევრი მარჯვენა ფრთის ბოლოს დაასრულა**




## ამერიკელებს ვალი შეახსენეს

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-ში პოპულარული ჟურნალი „თაიმის“ ახალი ნომერი გამოვიდა, რომლის ყდამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.** ჟურნალს გარეკანზე მსხვილი შრიფტით აწერია, რამდენი უნდა გადაიხადოს აშშ-ის თითოეულმა მოქალაქემ (ქალმა, მამაკაცმა, ბავშვმა), რომ აშშ-ის ნაციონალური ვალი დაფაროს.

## ანგლოსაქსური გარჩევები: ლონდონის მერმა ობამას ფარისეველი უწოდა

**დიდი ბრიტანეთი უახლოვდება მომენტს, როდესაც მნიშვნელოვანი არჩევანი უნდა გააკეთოს. არჩევანი რთულია, ამიტომ ევროსკეპტიკოსები ცდილობენ, არ დაუშვან ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხო ძალის ჩარევა. მაგრამ თუკი ამას აშშ მოიწადინებს?**

გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის წევრობის საკითხზე რეფერენდუმი 23 ივნისს უნდა გაიმართოს, მაგრამ ევროკავშირში დარჩენის მსურველთა რაოდენობა განუხრელად მცირდება. ამის მიზეზია მიგრანტების ნაკადი და ტერორისტული საფრთხე. ამას გარდა, ხმის მიცემის მომზადებისა და ჩატარების პროცესს აფერხებს შიგა დაპირისპირება, რომელსაც გარე ძალის ზემოქმედებაც ემატება. ლაპარაკია იმაზე, რომ აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** გეგმავს ბრიტანეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლას გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის მხარდასაჭერად. ამის გამო ევროსკეპტიკოსები ძალიან შეშფოთებულნი არიან და მოითხოვენ, რომ არ დაუშვან აშშ-ის ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში. მაგალითად, ლონდონის მერმა **ბორის ჯონსონმა** აშშ-ის პრეზიდენტის ჩართვას დებატებში — უნდა დარჩეს თუ არა ბრიტანეთი ევროკავშირში — უცნაური უწოდა, თვითონ ბარაკ ობამას კი — ფარისეველი.

„მე არ ვიცი, რის თქმას აპირებს ის, მაგრამ, თუ დაიწყებს ლაპარაკს ევროკავშირში ბრიტანეთის დარჩენაზე, მაშინ ეს იქნება ფარისევლობა. უცნაურია, რომ ჩვენ მითითებებს ვიღებთ ამერიკელებისგან, როგორ ვთქვათ უარი დამოუკიდებლობაზე, როცა თვითონ ხელი არ მოუწერიათ საერთაშორისო კონვენციაზე (გაეროს) საზღვაო სამართლის შესახებ, ლაპარაკი აღარ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე. ამერიკელებს არც კი უფიქრიათ თავიანთი დამოუკიდებლობის ნაწილის დათმობაზე“.

ნათელია, რომ აშშ-ს აქვს თავისი ინტერესი. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის სტატუსი შეინარჩუნოს, მაგრამ ამით იზღუდება დამოუკიდებლობა, რაზეც ოცნებობენ ევროსკეპტიკოსები.

ობამა ლონდონში ჩასვლას აპრილის ბოლოს გეგმავს. ბრიტანეთის პრემიერი **დევიდ კემერონი**, რომელიც პანამური დოკუმენტების სკანდალშია გახვეული, „უზენაესი ხელმძღვანელისგან“ დარიგებების ულუფას მიიღებს და ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის დარჩენის კამპანიის დაწყებას შეეცდება.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხელისუფლებას აშკარად არ სურს, ამერიკელები გაალიზიანოს და ცდილობს, „ენ-დი-აისთან“ კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს, მიუხედავად იმისა, რომ ის, ფაქტობრივად, სააკაშვილის პირადი სოციოლოგიური (და პროპაგანდისტული) სამსახურის როლს ასრულებს (და ამით აზიანებს აშშ-ის იმიჯს საქართველოში, თუმცა ეს უფრო ამერიკელების პრობლემაა, ვიდრე ჩვენი; თუ მათ არ სურთ შექმნილი ვითარების შეცვლა, ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ).**

# გაყალბებული რეიტინგები და ბარბაროსული სულები

**გასულ კვირას საზოგადოება ორ ძირითად თემაზე მსჯელობდა — ფარული ჩანაწერების მორიგ გასაჯაროებასა და ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (შემდგომ — „ენ-დი-აი“) პოლიტიკურ რეიტინგებზე; ორივე შემთხვევაში დისკუსიისას გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, თითქოს საქმე პორნოგრაფიის გავრცელებას ეხებოდა.**



ოთხი წლის წინათ, **2012-ის გაზაფხულზე, „ენ-დი-აი“ გვარწმუნებდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს გამოკითხულთა 47% უჭერს, „ქართულ ოცნებას“ კი — 10%, ხოლო „სიმპათიის რეიტინგში“ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე 14%-ით უსწრებდა ბიძინა ივანიშვილს (54%-40%).** ტერმინი „ბოდვითი რეიტინგი“ საქართველოში, სავარაუდოდ, სწორედ ამ ციფრების გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა. მომდევნო თვეებში მოხდა ციფრების მცირე კორექცია რეალობის სასარგებლოდ, თუმცა, 2012 წლის სექტემბერში, როდესაც ოპოზიციის გამარჯვებამდე სამიოდე კვირა რჩებოდა, „ენ-დი-აიმ“ შემდეგი ციფრები გამოაქვეყნა: „ნაცმოძრაობა“ — 37%, „ოცნება“ — 12% (ივლისის მონაცემებთან შედარებით ეს ნიშნავდა პლუს 1%-ს პირველისთვის და მინუს 6% — მეორისთვის). შემდეგ იყო არჩევნები და სააკაშვილის რეჟიმის კრახი. კიდევ ერთხელ გავიაზროთ ეს მომენტი: **არჩევნებამდე სამი კვირით ადრე „ენ-დი-აიმ“, სხვა სოციოლოგიური მონაცემების საპირისპიროდ, დამარცხებულ პარტიას სამჯერ(!) უფრო მაღალი მაჩვენებელი „დაუხატა“, ვიდრე გამარჯვებულს. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, მსოფლიოს სოციოლოგიის ისტორიაში მსგავსი არასოდეს არაფერი მომხდარა.**

აქედან გამომდინარე, სიტყვები „ენ-დი-აის რეიტინგი“ იმ პერიოდში სიცრუისა და სიყალბის სინონიმად იქცა. მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ამ თემის სერიოზულ განხილვას დავუბრუნდებოდით.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, 2012 წლის „ბოდვითი რეიტინგები“ გარკვეულ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს. I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ფართოდ გავრცელებული იყო ლეგენდა „ზურგში ჩაცემული დანის“ შესახებ — შეთქმულების თეორია, რომელიც პასუხისმგებლობას გერმანიის დამარცხებაზე, კაიზერის ხელისუფლების ნაცვლად, სოციალ-დემოკრატებს აკისრებდა, ხოლო ანტისემიტები მას ებრაელების წინააღმდეგ იყენებდნენ. ამ თეორიის თანახმად, გერმანულ არმიას გამარჯვებას ორიოდე ნაბიჯი აშორებდა, როდესაც მოღალატეებმა ბერლინში გადატრიალება მოაწყვეს, შემდეგ კი ზავის სამარცხვინო პირობებს დათანხმდნენ. ცხადია, რეალობასთან ამას საერთო არაფერი ჰქონდა, გერმანიის კრახი გარდაუვალი იყო, მაგრამ ეს თეორია წლების განმავლობაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და ნაცისტური პროპაგანდის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად იქცა. დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ ბანაკში დაახლოებით იგივე ხდება; **პარტიის ლიდერებს ხელს აძლევთ, რიგით წევრებს სჯეროდეთ, რომ 2012-ში „ნაცმოძრაობა“ გამარჯვებისკენ მიდიოდა და მარცხი მხოლოდ ე.წ. დადგმული ვიდეოების (ასე უწოდებენ) მოულოდნელმა გამოქვეყნებამ გამოიწვია. ეს ძალზე მოსახერხებელი თეორიაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოუწევთ იმის აღიარება, რომ საკუთარი არაკომპეტენტურობისა და მართვის სადისტური სტილის გამო დამარცხდნენ.** „ენ-დი-აის“ 2012 წლის რეიტინგები ამ კონსპიროლოგიურ კონსტრუქციას ამყარებს და ბევრ „ნაციონალს“ დღესაც სჯერა, რომ „ენ-დი-აის“ ციფრები ბოლო მომენტამდე ობიექტურ რეალობას ასახავდა. ეს ძალზე უცნაური, კვაზირელიგიური რწმენაა – ისინი საკუთარი თვალით ხედავდნენ სხვა სოციოლოგიური ჯგუფების მონაცემებს; ესმოდათ, რაზე საუბრობდნენ ადამიანები ქუჩაში, აცნობიერებდნენ, რომ, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მიუხედავად, მიტინგებზე თუნდაც სამჯერ ნაკლები მომხრე ვერ გამოჰყავდათ, ვიდრე ოპოზიციას და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავინდებურად ებღაუჭებოდნენ „ბოდვით რეიტინგებს“ (დღესაც იმავეს აკეთებენ), თითქოსა მათ, მძლავრი მაგიური არტეფაქტის მსგავსად, რეჟიმის გადარჩენა შეეძლოს. ყველაზე მეტად ამ სიტუაციის აღწერას, ალბათ, **ჰერაკლიტეს** ცნობილი გამონათქვამი მიესადაგება: „თვალები და ყურები ცუდი მოწმეებია თუ ადამიანებს ბარბაროსული სული აქვთ“.

2012-ში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, არაადეკვატური მონაცემები იმის გამო გაჩნდა, რომ ამერიკული ორგანიზაცია კვლევებს „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულ სოციოლოგიურ ჯგუფებს უკვეთავდაო. ვითარება, როგორც ჩანს, არც დღეს შეცვლილა. „ენ-დი-აის“ კვლევებში ყოფილი მმართველი პარტია წარმოჩენილია მთავარ ოპოზიციურ ძალად, რომელიც „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ კონკურენციას უწევს და მისი რეიტინგი იზრდება. დეკემბერში „ენ-დი-აი“ წერდა, რომ „ოცნებას“ მხარს გამოკითხულთა 16% უჭერს, „ნაცმოძრაობას“ — 10%, ბოლო მონაცემებში კი საუბარია, შესაბამისად, 15 და 13 პროცენტზე. სხვა პარტიები აშკარად ჩამორჩებიან. ამასთანავე, კვლევის შედეგებში ნათქვამია, რომ გამოკითხულებს პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად **დავით ბაქრაძე** მოსწონთ, ხოლო ბიძინა ივანიშვილი პირიქით — ყველაზე მეტად არ მოსწონთ.

პარტიების რეიტინგების წარმოდგენამდე ორიოდე დღით ადრე „ენ-დი-აი“, როგორც წესი, სხვა მონაცემებს აქვეყნებს, რომლებიც რეალობასთან უფრო ახლოს დგას. მაგალითად, იმის თაობაზე, რა პრობლემები აღელვებს ქართველებს ყველაზე მეტად. მმართველი პარტიის წამომადგენლები სრული სერიოზულობით იწყებენ მსჯელობას ამ ციფრებზე და ამით უნებლიეთ ხელს უწყობენ „ენ-დი-აის“ კვლევების „ლეგიტიმურობის“ ამაღლებას, მათ შორის პოლიტიკურ ნაწილში. ეს საკმაოდ მარტივი ხერხია, მაგრამ მუშაობს. **ხელისუფლებას აშკარად არ სურს, ამერიკელები გაალიზიანოს და ცდილობს, „ენ-დი-აისთან“ კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს, მიუხედავად იმისა, რომ ის, ფაქტობრივად, სააკაშვილის პირადი სოციოლოგიური (და პროპაგანდისტული) სამსახურის როლს ასრულებს (და ამით აზიანებს აშშ-ის იმიჯს საქართველოში, თუმცა ეს უფრო ამერიკელების პრობლემაა, ვიდრე ჩვენი; თუ მათ არ სურთ შექმნილი ვითარების შეცვლა, ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ).**

ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ „ბოდვით რეიტინგებს“ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და არჩევნები ყველას თავის ადგილს მიუჩენს ისე, როგორც ეს 2012-ში მოხდა. მაგრამ, ალბათ, მაინც საჭიროა მათი მნიშვნელობის გათვითცნობიერება „ნაცმოძრაობის“ საერთო სტრატეგიის კონტექსტში. ყოფილი **მმართველი პარტია, სავარაუდოდ, გააკეთებს ყველაფერს, რათა დაამკვიდროს მოსაზრება არჩევნების გაყალბების შესახებ და ამისთვის, დიდი ალბათობით, კიდევ არაერთგზის გამოიყენებს მსგავს რეიტინგებს, ხოლო უშუალოდ არჩევნების დღეს — ანალოგიურ ეგზიტპოლებსა და პროვოკაციებს საარჩევნო უბნებზე, რათა უცხოელ დამკვირვებლებს ეჭვი აღუძრას და არჩევნების უარყოფითი შეფასებისკენ უბიძგოს.** ეს შექმნის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ საბაბს „მაიდნის“ აგორებისთვის ან, სულ ცოტა, ხელს შეუწყობს ხელისუფლების იმიჯის სერიოზულ შელახვას საზღვარგარეთ.

ძნელია, 2012 წლის მოვლენების შემდეგ გამოიყენო „ენ-დი-აის“ რეიტინგები, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ინსტრუმენტი საქართველოში, მაგრამ უცხოური გამოცემების დიდ ნაწილს მათ სანდოობაში ეჭვი არ შეაქვს, რაც ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ დადასტურდა. ამას ორი მიზეზი განაპირობებს: **1. ამერიკელებთან ურთიერთობის გაფუჭების შიშის გამო „ქართულმა ოცნებამ“ ბოლომდე არ მიიყვანა სოციოლოგიური მანიპულაციების გამოაშკარავების და მათი ავტორების მხილების პროცესი; 2. მან არ შეუწყო ხელი მძლავრი ალტერნატიული სოციოლოგიური ცენტრების ჩამოყალიბებას (ან მათ „დამკვიდრებას“ საქართველოში), რომელთა კვლევის შედეგები (პოლიტიკის მიმართ) სანდოობის მაღალი ხარისხით ისარგებლებდა.** შედეგი აშკარაა: **4 წლისწინანდელი კაზუსის მიუხედავად, „ენ-დი-აის“ რეიტინგები რჩება ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ზოგჯერ კი ერთადერთ წყაროდ იმ უცხოელი ავტორებისთვის, რომლებიც საქართველოზე წერენ, და პოლიტიკოსების ნაწილი მათზე სრული სერიოზულობით მსჯელობს.**

ყოველივე ეს არ არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ გასაჭირი, რადგან ავტორიტარული დიქტატურის რესტავრაცია პრობლემას უკლებრივ ყველა ნორმალურ ადამიანს შეუქმნის, ხოლო ვითარების თუნდაც მცირე დესტაბილიზაცია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და იმიჯზე უარყოფითად აისახება. ამიტომ, ალბათ, სასურველი იქნება, ერთმანეთისგან ორი პროცესი გავმიჯნოთ: **1. პარტიების წინასაარჩევნო ბრძოლა და 2. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ბლოკადის გაძლიერება, რომელიც შეიძლება არეულობის არდაშვების მთავარ ბერკეტად იქცეს და იდეაში სააკაშვილის ყველა ოპონენტის ინტერესებში უნდა შედიოდეს.**

ამ კონტექსტში **ურიგო არ იქნება, თუ პარტიები მიაღწევენ შეთანხმებას, რომლის ფარგლებში დაადასტურებენ დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებას და გამორიცხავენ არათუ თანამშრომლობას „ნაცმოძრაობასთან“, არამედ ზედმეტ კომუნიკაციას მასთან, რადგან ის დემოკრატიისკენ ნამდვილად არ მიისწრაფვის.** თუ იქნება შესაბამისი სურვილი, ფორმა მსგავსი პაქტისთვის აუცილებლად მოიძებნება. მის შემადგენელ ნაწილად, თუ არა ქვაკუთხედად, შეიძლება იქცეს კონსენსუსი სააკაშვილის მმართველობის წლებში მომხდარი სისტემური დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის პრიორიტეტულობაზე.

არიან ადამიანები, რომელთა პოზიცია ამ პრობლემის მიმართ საკმაოდ უცნაურ იდეას ეფუძნება: „რაც უარესი — მით უკეთესი“. ისინი თვლიან, რომ, როდესაც „ნაციონალები“ შეეცდებიან გადატრილების მოწყობას, მათ ოპონენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, ერთხელ და სამუდამოდ გადაუარონ. ეს, ალბათ, სერიოზული შეცდომაა, რადგან ამ სცენარის ფარგლებში პრობლემის სწრაფი მოგვარება დესტაბილიზაციისა და დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის ხარჯზე მოხდება. **„განადგურების სტრატეგია“ გაცილებით დიდ რისკებს დაუკავშირდება, ვიდრე „გამოფიტვის სტრატეგია“, რომლის ძირითად იდეას „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური იზოლაცია და მისი ნელი დახრჩობა წარმოადგენს.** შეგვიძლია გავიხსენოთ ამერიკის სამოქალაქო ომი და ცნობილი „გეგმა ანაკონდა“, მით უმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში საქმე მონათმფლობელების დამარცხებას ეხება. ამ სცენარის ფარგლებში, **რესურსების უკმარისობიდან გამომდინარე, ყოფილ მმართველ პარტიას წარმატების არანაირი შანსი არ ექნება და, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მიდის ესკალაციაზე, რომელიც შეიძლება დიდი შეტაკებით, ერთგვარი „გენერალური ბრძოლით“ დასრულდეს, შედეგად, წარმატების მიღწევის თუნდაც მცირე, მაგრამ რეალური შანსი მიეცემა.**

**სააკაშვილი და ადეიშვილი უკრაინაში იმყოფებიან და, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობის არ ეშინიათ, ხოლო დაბალი რანგის თანაპარტიელების ბედი, სავარაუდოდ, ნაკლებად ანაღვლებთ.** ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველივე ამის უკან შეიძლება იდგეს არა იმდენად რაციონალური პოლიტიკური გათვლა, რამდენადაც შურისძიების დაუოკებელი სურვილი. დაახლოებით ასე უსაფრდება ლოთი და სადისტი ქმარი ყოფილ მეუღლეს, რომელმაც იპოვა საკუთარ თავში საკმარისი ძალა და ნებისყოფა იმისთვის, რომ ოჯახურ ცხოვრებად წოდებული კოშმარი დაესრულებინა. ჩვენ ხშირად ვკითხულობთ მსგავსი ინციდენტების შესახებ, რომელთა უკან, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, დგას ჰერაკლიტეს მიერ ნახსენები „ბარბაროსული სული“, რომლისთვის უცხოა სინანული და ჭეშმარიტებასთან ზიარების სურვილი. სწორედ „ბარბაროსულ სულს“ მიჰყავს საქმე ისეთ სიტუაციამდე, როდესაც, ფიგურანტის ციხეში ან საგიჟეთში მოთავსების გარდა, საზოგადოებას სხვა გამოსავალი არ რჩება.

**„რომან ჯოხაძემ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული დაფარა, რის გამოც მის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ასე არ მოხდა... ჯოხაძე გადააყენეს თანამდებობიდან, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საქმის „შეფუთვის“ მიზნით ის ამერიკაში, ომის კოლეჯში გაუშვა სასწავლებლად“.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას მალავს თავდაცვის მინისტრი?

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე ამა წლის იანვარში თავდაცვის მინისტრმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. საქმე საერთაშორისო სკანდალს უკავშირდებოდა. კერძოდ კი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ანგარიშს, რომლის თანახმადაც, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მცირეწლოვანი გოგონების მიმართ სექსუალურ ძალადობაში, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, ქართველ სამხედრო მოსამსახურეებსაც ედებოდათ ბრალი. საერთაშორისო მისიების კოორდინატორი და, შესაბამისად, ჯარისკაცების საქციელზე პასუხისმგებელი პირი სწორედ რომან ჯოხაძე გახლდათ და თავდაცვის მინისტრმა ის გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან გადააყენა. გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე საგანგებო განცხადებითაც გამოვიდა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებიდან ჩამოცილებულია რომან ჯოხაძე და ყველა ის პირი, რომელთა ვალდებულებასაც ფაქტების გამოძიება და სიმართლის გარკვევა შეადგენდა. თუმცა ხმაურიანი გათავისუფლებიდან, სულ რაღაც, ორიოდე თვეში, გაეროს მისიის გამოძიების დასრულებამდე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რომან ჯოხაძე თინა ხიდაშელის ბრძანებით კვლავ გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეა. აქვე ვაქვეყნებთ თავდაცვის მინისტრის მიერ ხელმოწერილ, ამა წლის 30 მარტით დათარიღებულ ბრძანებას, რომელიც რომან ჯოხაძის თანამდებობაზე დაბრუნებას ადასტურებს.**



## «დღეს თავდაცვის სამინისტრო აღარ არსებობს, ის რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინად გადაიქცა»

ინფორმაცია რომან ჯოხაძის დანიშვნის თაობაზე სამინისტროს არ გაუვრცელებია და არც თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულა. ჯოხაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება და, როგორც ჩვენი წყარო ამბობს (რომელიც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია, მაგრამ მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვინაობის გამხელა არ ისურვა), ბიუჯეტის ხარჯზე, თავდაცვის მინისტრმა ის კოლეჯში სასწავლებლად გაუშვა. როგორც ჩანს, სამინისტრო ამ ამბავს საგულდაგულოდ მალავს.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, **„რომან ჯოხაძე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს დაზვერვის სამსახურში მუშაობდა და ირაკლი ბათიაშვილს უსმენდა, ხოლო ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრობის დროს დაზვერვის სამმართველოს უფროსად მუშაობდა და მის დაქვემდებარებაში იყო „მასტერას“ მოადგილე ლევან გაბუნია, რომელსაც ჯოხაძე კბილებით იცავდა. ასევე მის დაქვემდებარებაში იყო ალასანიას პირველი მოადგილე, რომელიც ახლა გენშტაბის უფროსის მრჩეველია. ასე რომ, მეგობრები და მფარველები მას ახლაც ბევრი ჰყავს სამინისტროში“.**

რომან ჯოხაძის თანამდებობაზე ფარული დანიშვნის შესახებ ინფორმაცია აქვს გენერალ **ტრისტან წითელაშვილსაც:**

— რომან ჯოხაძე გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე იყო. ის გახლდათ პასუხისმგებელი იმ პერიოდში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებზე. შესაბამისად, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია აფრიკაში ქართული სამხედრო კონტინგენტის მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ, ჯოხაძის პირდაპირი მოვალეობა იყო, მიემართა თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურებისთვის, რათა ამ ინფორმაციის საფუძველზე მოკვლევა დაეწყოთ, მაგრამ მან ეს ფაქტები დამალა. **რომან ჯოხაძემ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული დაფარა, რის გამოც მის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ასე არ მოხდა...**

**— რომან ჯოხაძემ ხომ დატოვა თანამდებობა?**

— დიახ, **ჯოხაძე გადააყენეს თანამდებობიდან, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საქმის „შეფუთვის“ მიზნით ის ამერიკაში, ომის კოლეჯში გაუშვა სასწავლებლად.** ამ ინფორმაციის შეტყობის შემდეგ ოფიციალურად მივმართე თავდაცვის მინისტრს, რომ პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ასეთ სერიოზულ დანაშაულში, არ უნდა დარჩენილიყო თანამდებობაზე. არანაირი უფლება არ ჰქონდა ხიდაშელს, რეაგირება არ მოეხდინა. ის მხოლოდ ჩემი მიმართვის შემდეგ შეიქნა იძულებული, დაეწერა ბრძანება ჯოხაძის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. მაგრამ დღეს **რომან ჯოხაძე კვლავ დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და, ამასთანავე, დართეს ნება, ამერიკაში, ომის კოლეჯში ისწავლოს.**

**— თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ეს ინფორმაცია არ დევს. გამოდის, თავდაცვის სამინისტრო მალავს ამ ინფორმაციას?**

— რა თქმა უნდა, მალავენ, რადგან არ სურთ, ამის გახმაურება და რომ სამხედრო ექსპერტებს ამაზე რეაგირება ჰქონდეთ, მაგრამ ეს ინფორმაცია ჩვენ მაინც შევიტყვეთ. სიმართლის დასამტკიცებლად ოფიციალური დოკუმენტებიც მაქვს. **დამნაშავეა თუ არა რომან ჯოხაძე, ამას გამოძიება დაადგენს, ქალბატონი თინა ხიდაშელი კი თავხედია, რადგან გაეროს მისიას ჯერ მოკვლევა არ დაუმთავრებია, გამოძიება მიმდინარეობს, მან კი დაასწრო გაეროს სპეციალურ სამსახურს. გამოდის, რომ მას მართავენ და „ყურებით ჰყავთ დაჭერილი“.**

**— ფიქრობთ, რომ შესაძლოა, რომან ჯოხაძეს კომპრომატები ჰქონდეს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებზე?**

— დიახ, მაქვს ინფორმაცია, რომ **რომან ჯოხაძეს გარკვეული კომპრომატები აქვს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ და მათ სათავისოდ იყენებს. გამოდის, რომ გენერალურ შტაბსაც და თავდაცვის სამინისტროსაც, თინა ხიდაშელი კი არა, რომან ჯოხაძე მართავს.**

ამას გარდა, რომან ჯოხაძე არაერთხელ გამოიყენეს არჩევნების გაყალბებაში, მაგალითად, მუხროვანის არჩევნების გაყალბებაში. მას აქვს ამის გამოცდილება და ახლაც **ხიდაშელი და რესპუბლიკური პარტია, ბუნებრივია, შეეცდებიან, არჩევნები კვლავ გააყალბონ და ხმათა უმრავლესობით მოვიდნენ პარლამენტში. რესპუბლიკური პარტია და თავდაცვის სამინისტრო ამჟამად ამ საკითხზე არიან გადართულნი. ამ ყველაფერს კი ორგანიზებას უწევენ და უზრუნველყოფენ დასავლური სპეცსამსახურები.**

დღეს თავდაცვის სამინისტრო აღარ არსებობს, ის რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინად გადაიქცა, სამინისტროს თანამშრომლები კი მათი პოლიტიკური ამოცანების შესრულებაზე არიან გადართულნი. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ დღეს **თავდაცვის სამინისტრო მკვდარი და ბრძოლისუუნაროა. ის ახლა უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში იყო. იქ ძალადობა, მშობლების შეურაცხყოფა, ნეპოტიზმი, „ობშიაკები“ ჩვეულებრივი ამბავია,** მაგრამ ამ ყველაფრის დამალვა სურდათ. ოფიცერმა **დავით ნემსაძემ** მოახერხა და ეს ინფორმაცია სიცოცხლის რისკის ფასად გარეთ გამოიტანა. სწორედ დავით ნემსაძე იყო ის პირი, რომელმაც ამხილა „ნაციონალური მოძრაობის“ კორუფცირებული თანამშრომლები, ფულის ამკრებები, მოძალადეები, მაგრამ იმის მაგივრად, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები მხარში ამოსდგომოდნენ და მისი ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროში დაეწყოთ კორუფციაში ჩაფლული ოფიცრების წმენდა, პირიქით — ეს ზონდერ-ოფიცრები შეინარჩუნეს, დავით ნემსაძე და მისი თანამებრძოლები კი გაათავისუფლეს, მაგრამ ამას ასე არ დავტოვებთ. ბავშვებზე ძალადობა ყოვლად მიუღებელია.

მე შევისწავლე ახლახან მომხდარი ფაქტები. **ისეთი ტექნოლოგიებით, როგორითაც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ბავშვებს მოექცნენ, — შეიტყუეს სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე და აწამეს, — თავის დროზე, როცა დეპარტამენტს ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობდა, ჩვენ გვაწამებდნენ ხოლმე. წყალში თავს გვაყოფინებდნენ, მერე „კოკა-კოლას“ ბოთლებს კისერში გვირტყამდნენ. სხვათა შორის, სწორედ ასე ექცეოდნენ ამერიკელები გუანტანამოს ციხეში ტყვეებს და სწორედ ასეთი „ამერიკული ტექნოლოგიით“ აწამეს ეს ბავშვები სამხედრო ბაზაზე.**

თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **ომარ ბეგოიძე,** იმის მაგივრად, რომ მხარში ამოუდგეს, იმ ოფიცრებს დევნის, რომლებსაც მართლა საქმის კეთება უნდათ. ვფიქრობ, მას ვიღაც მართავს. მის დეკლარაციას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ძალიან საეჭვო შემოსავლები აქვს.

**— პოლკოვნიკ ილარიონ ლუტიძის შესახებ რის თქმა შეგიძლიათ — ის ამ ყველაფრის საქმის კურსშია?**

— მე ვესაუბრე ილარიონ ლუტიძეს ამ საკითხებზე და ვიტყვი, რომ **ლუტიძე სწორედ ჯოხაძის, ბეგოიძისა და თავდაცვის სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების ზეწოლისა და შანტაჟის მსხვერპლია,** ვინაიდან მათ არ უნდათ ოფიცრები, რომლებსაც მართლაც საქმის კეთება სურთ და ამ ზონდერ-ოფიცრებს ამხელენ.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**P.S. ჩვენი მიზანი არ არის, გავარკვიოთ, არიან თუ არა დამნაშავენი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მცირეწლოვანი გოგონების მიმართ სექსუალურ ძალდობაში დადანაშაულებული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, ვინაიდან ამ ყველაფერს შესაბამისი საგამოძიებო სამსახურები იძიებენ და, იმედია, სიმართლესაც დაადგენენ, მაგრამ გვაინტერესებს, რატომ არღვევს კანონს ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი უწყების მინისტრი და ყველასგან მალულად გამოძიების დასრულებამდე რატომ ნიშნავს თანამდებობაზე გენერალური შტაბის უფროსის გათავისუფლებულ მოადგილეს?!**

## ბელგიის ტრანსპორტის მინისტრმა პრემიერს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა

**ბელგიის ტრანსპორტის მინისტრმა ჟაკლინ გალანმა პრემიერს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა. გადადგომის მიზეზი ოპოზიციის მხრიდან მინისტრის კრიტიკაა ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაშვებული შეცდომების გამო.**

რამდენიმე დღის წინათ ბელგიის ორმა ოპოზიციურმა პარტიამ გამოაქვეყნა ევროკავშირის გასული წლის საიდუმლო ანგარიში, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული ზავენტემის აეროპორტში უსაფრთხოების მდგომარეობა. ოპოზიციამ ტრანსპორტის მინისტრი ანგარიშში არსებული მონაცემებს დამალვაში დაადანაშაულა.

22 მარტს ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტში ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი, კიდევ ერთმა თავდამსხმელმა თავი მაალბეეკის მეტროსადგურში აიფეთქა. ტერაქტების სერიას 32 ადამიანი მესხვერპლა.



საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლკოვნიკ ლუტიძეს უნდა მიემართა ისეთი სამართლებრივი ნორმისთვის, რომელიც სადისციპლინო წესდებით განსჯიდა იმ პირებს, რომლებმაც კარაპეტიანს ღირსება შეულახეს და აწამეს, ასევე, მათ, ვინც ამ დანაშაულის დაფარვა სცადა, მაგრამ პოლკოვნიკმა ეს არ გააკეთა.**

# თუ გსურთ დაწინაურება ქართულ ჯარში — მიიღეთ მონაწილეობა ჯარისკაცის დამცირება-წამებაში!

**ეს სამარცხვინო ამბავი მოხდა მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრის სავარძელი ეკავა მინდია ჯანელიძეს...**



ხსენებულ სამინისტროში არის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა, რომელიც თბილისში, მოსკოვის პროსპექტზეა განთავსებული. ეს ბაზა განთქმულია იმით, რომ იქ, როგორც ამბობენ, შრომობენ ქვეყნის სამხედრო უწყებაში მომუშავე მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები, თანაუბნელები, თანასოფლელები და ა.შ. ამ ობიექტს მეთაურობს პოლკოვნიკი **ილია ლუტიძე**. ბატონი ჯანელიძის მინისტრობისას ბაზის შტაბს უფროსობდა პოლკოვნიკი **მაჭავარიანი.** ერთხელაც ბაზის მეთაურსა და შტაბის უფროსს შორის „შავმა კატამ“ გაირბინა და დრო და დრო თავს იმით იქცევდნენ ხოლმე, რომ ერთმანეთს საბოტაჟს უწყობდნენ, რაც, რასაკვირველია, ბაზაზე არაჯანსაღ ვითარებას ქმნიდა; და, აი, ასეთ არაჯანსაღ ატმოსფეროში მოუწია სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა რიგით **ერიკ კარაპეტიანს.** აღსანიშნავია, რომ ერიკ კარაპეტიანმა ჯარში მსახურება თავისი ნებით დაიწყო. ის არ იყო გაწვეული კომისიის მიერ. კარაპეტიანი ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული — 3200-მეტრიან დისტანციას 12 წუთში ფარავდა. ახალგაზრდას ჰქონდა სურვილი, სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ დარჩენილიყო შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ **რიგითი კარაპეტიანი „ორი გველეშაპის“ — ლუტიძისა და მაჭავარიანის დაჯახების მსხვერპლი გახდა.** როგორც ქართველებს გვჩვევია, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, იმის მაგივრად, საქმე ხუთიანზე შევასრულოთ, დაკავებულნი ვართ ჩვენ გარშემო ე.წ. ახლობლების შემოკრებით, რომელთა უმრავლესობა არც ისე მაღალი ინტელექტით გამოირჩევა, სამაგიეროდ, „პატრონის“ ძაღლივით ერთგულია. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სამინისტროები კლანებად არის დაყოფილი — ეს იმის კაცია, ეს — ამის... ამ სენით დაავადებული იყო პოლკოვნიკი მაჭავარიანიც. მის გარემოცვაში გახლდათ სერჟანტი **გიორგი ქარუმიძე**, რომელმაც აუხსნელი მიზეზის გამო ამოიჩემა რიგითი ერიკ კარაპეტიანი. ეს სერჟანტი მსახურობდა აღრიცხვის განყოფილებაში და პირად შემადგენლობასთან შეხება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, **ქარუმიძე ღამით რჩებოდა ყაზარმაში, რაც მას, საერთოდ, არ ევალებოდა, და იწყებდა რიგითი კარაპეტიანის, რბილად რომ ვთქვათ, შევიწროებას: აყენებდა საწოლიდან, აძალებდა მას აზიდვების (ე.წ. ატჟიმანიების) გაკეთებას; შემდეგ აფურთხებდა სახეში, აგინებდა დედას და ეს უმსგავსობა თითქმის ყოველდღე მეორდებოდა.** ასეთი დამცირების შემდეგ, ერიკ კარაპეტიანმა უარი თქვა საკვების მიღებაზე, ანუ დაიწყო შიმშილობა. საპასუხოდ ქარუმიძემ რიგითი კარაპეტიანი ძალის გამოყენებით შეიყვანა სასადილოში და უბრძანა, დაეთვალა სხვისი ლუკმები, მერე კი მისთვის მოეხსენებინა. ეს ყველაფერი ერიკ კარაპეტიანმა უამბო ასეულის მეთაურს — **ვეფხია ივანიძეს**, რომელმაც, რატომღაც, სერჟანტ ქარუმიძის მხარე დაიჭირა, ხოლო მომჩივანს, არც მეტი, არც ნაკლები, სპერმა უწოდა. ივანიძე ამით არ დაკმაყოფილდა. ერთხელ შეამჩნია, რომ კარაპეტიანი კოჭლობდა. შეეკითხა, რატომ კოჭლობო? — ჩექმა მიჭერს და ფეხზე ბებერა მაქვსო, — აუხსნა კარაპეტიანმა. ივანიძემ არ დაუჯერა, — შენ ხარ აფერისტიო და კუთხეში დააყენა, გაახდევინა ჩექმები, შემდეგ კი უბრძანა, ბაზის ტერიტორიაზე ფეხშიშველა ევლო. ეს ამბავი ივანიძემ პოლკოვნიკ მაჭავარიანს მოახსენა. უცნობია, ეს მაჭავარიანის იდეა იყო თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ პოლკოვნიკთან საუბრის შემდეგ ასეულის მეთაურმა ივანიძემ კარაპეტიანს ჩექმები კისერზე დაჰკიდა, შემდეგ შეიყვანა სასადილოში და უბრძანა, ასე ესადილა...

ბაზაზე მსახურობდა ოცეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი **ლევან კობაიძე,** რომელიც სახელმწიფო ბოროტმოქმედის, მიხეილ სააკაშვილის, რეჟიმის ბობოქრობის პერიოდში უსამართლოდ იყო დაპატიმრებული. კარაპეტიანმა თავისი გასაჭირი კობაიძეს გაუზიარა. აღშფოთებული კობაიძე მივიდა ასეულის მეთაურ ვეფხია ივანიძესთან, გამოაძახებინა მას სერჟანტი ქარუმიძე და კატეგორიულად მოსთხოვა ორივეს, შეეწყვიტათ კარაპეტიანის დამცირება. ივანიძეც და ქარუმიძეც დაჰპირდნენ ლეიტენანტ კობაიძეს, რომ კარაპეტიანს ხელს აღარ ახლებდნენ, მაგრამ დაპირება არ შეასრულეს — კარაპეტიანის დამცირება-წამებას „ჩვეულ რეჟიმში“ განაგრძობდნენ, როდესაც კობაიძე ბაზის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა ან განაწესში იყო. რიგითი ერიკ კარაპეტიანი იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ თვითმკვლელობა გადაწყვიტა და ეს განზრახვა მეგობრებს გაუმხილა. ამის სისრულეში მოყვანას კი სადარაჯო საგუშაგოზე აპირებდა, სადაც ან თავს ჩამოიხრჩობდა, ან ავტომატიდან გასროლით ბოლოს მოუღებდა ღირსების შელახვას. ამის თაობაზე უფროსმა ლეიტენანტებმა **კობაიძემ და დავით ნემსაძემ,** რომელიც ბაზაზე საბრძოლო მომზადების საგანს კითხულობდა, ჯარისკაცებისგან შეიტყვეს. კობაიძემ ეს ამბავი მოახსენა შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ მაჭავარიანს, ხოლო ნემსაძემ კარაპეტიანთან გასაუბრებისთანავე საქმის კურსში ჩააყენა სამხედრო პოლიციის ოფიცერი **მევლუდ რაზმაძე.** მაჭავარიანთან ჩივილს, როგორც ვიცით, აზრი არ ჰქონდა, რაც შეეხება სამხედრო პოლიციის წარმომადგენელს — რაზმაძეს, მანაც არავითარი ზომები არ მიიღო, რითაც ისარგებლა სერჟანტმა ქარუმიძემ: „ყოჩალი“ სერჟანტი მიადგა საგუშაგოზე მდგომ კარაპეტიანს, უშვერი სიტყვებით მიმართა და გაუპატიურებით დაემუქრა... არადა, წესდებაში ასეთი მუხლია: **„გუშაგის ღირსება დაცულია კანონით“.** ეს არის ის მუხლი, რომელიც უმთავრესია საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, ანუ **ჯარისკაცის დამცირება, როდესაც ის საბრძოლო ამოცანას ასრულებს, არის მიზანმიმართული ღალატი საკუთარი ქვეყნისა.**

კობაიძემ და ნემსაძემ საქმის კურსში ჩააყენეს ბაზის იურისტი **მიხეილ თევდორაძეც,** მაგრამ იურისტიც „უძლური“ აღმოჩნდა. უფროსმა ლეიტენანტებმა „კარაპეტიანის საქმეზე“ მოახსენეს ბაზის მეთაურს, პოლკოვნიკ **ილია ლუტიძეს,** მაგრამ ის, სამწუხაროდ, კარაპეტიანისთვის თავისი მობილურის ნომრის მიცემით დაკმაყოფილდა, — თუ რაიმე პრობლემა გექნება, დამირეკეო. არადა, ბატონ პოლკოვნიკს უნდა სცოდნოდა, რომ პირად შემადგენლობას, ჯარისკაცებს, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე, ჩამორთმეული აქვთ მობილური ტელეფონები, მაშასადამე, კარაპეტიანი მას ვერ დაუკავშირდებოდა. წესით და რიგით, პოლკოვნიკ ლუტიძეს უნდა მიემართა ისეთი სამართლებრივი ნორმისთვის, რომელიც სადისციპლინო წესდებით განსჯიდა იმ პირებს, რომლებმაც კარაპეტიანს ღირსება შეულახეს და აწამეს, ასევე, მათ, ვინც ამ დანაშაულის დაფარვა სცადა, მაგრამ პოლკოვნიკმა ეს არ გააკეთა.

კობაიძე და ნემსაძე მიხვდნენ, რომ ბაზის ტერიტორიაზე სამართლიანობისთვის ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ მიმართეს სამხედრო პოლიციის უფროსს — **ლევან გაბუნიას.** თავის მხრივ, ლევან გაბუნიამ ოპერატიულად დაიწყო ამ საქმეში გარეული პირების გამოძახება, აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც, მაგრამ გამომძიებელმა **მაისურაძემ** ამ საქმეს მსვლელობა არ მისცა. მართალია, ინფორმატორები ამტკიცებენ, ლევან გაბუნიამ კარაპეტიანი, ფაქტობრივად, სიკვდილს გადაარჩინაო (ამისთვის დიდი მადლობა ბატონ ლევანს), მაგრამ გასაკვირია ის, რომ გამოძიებას სვლა არ მისცა მისმა უშუალო ხელქვეითმა მაისურაძემ.

ამასობაში კი **ბაზის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა მაჭავარიანმა გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა „პრობლემური“ ერიკ კარაპეტიანი. მისი არაოფიციალური ჩარევით, რიგითი კარაპეტიანი ორჯერ „მიავლინეს“ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, მაგრამ ორჯერვე გაუცრუვდა იმედი მაჭავარიანს — ექიმებმა** ოფიციალურად **დაადასტურეს, რომ რიგითი კარაპეტიანი ფსიქიკურად ჯანმრთელია.** მაჭავარიანმა საარაკო სიჯიუტე გამოიჩინა და მისი, როგორც ამბობენ, ფარული ჩარევის შემდეგ, კარაპეტიანი კვლავ გაამგზავრეს ჰოსპიტალში, სადაც მოულოდნელად შეურაცხადად ცნეს. ფსიქიატრების ახალი ვერსიით, კარაპეტიანს თურმე ოჯახური პრობლემები ჰქონია და ეს შეურაცხადობა მას დამართეს არა ბაზაზე, არამედ ოჯახში.

პატივცემული ფსიქიატრების მიმართ ჩნდება შეკითხვები: **1. როგორ გაეცით ორჯერ ცნობა, რომ კარაპეტიანი ფსიქიკურად ჯანმრთელია?**

**2. როგორ მოახერხეს მისმა ოჯახის წევრებმა ამ საღსალამათი ადამიანის მოკლე ხანში (ოთხ თვეში) გაგიჟება, და ეს იმ დროს, როდესაც კარაპეტიანი მსახურობდა და ცხოვრობდა ბაზაზე და თავის სახლში ფიზიკურად არ იმყოფებოდა? და მთავარი — ერიკ კარაპეტიანს გორის ჰოსპიტლის მესამე დასკვნაზე ხელი არ მოუწერია.**

როგორც მოგახსენეთ, ეს ამბავი დატრიალდა შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე **მინდია ჯანელიძის** მინისტრობის პერიოდში. მინისტრი შეიცვალა, მაგრამ თინა ხიდაშელის მინისტრობისას ამ წერილის „გმირები“ დაწინაურდნენ. მაგალითად, პოლკოვნიკი მაჭავარიანი გადაიყვანეს უფლისციხის ბაზაზე მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად, შემდგომ მეთაურად დანიშვნის მიზნით. საინტერესოა, რომ მის ადგილზე — შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად (აქაც დანიშვნის მიზნით) მიიყვანეს პოლკოვნიკ ლუტიძის მეგობარი, მაიორი **ირაკლი შაიშმელაშვილი,** რომელიც დაუფარავად აცხადებს, რომ მას მფარველობენ მინისტრ ხიდაშელის აპარატის წარმომადგენლები. რაგორც ამბობენ, მაიორი შაიშმელაშვილი გამოირჩევა „დახვეწილი“ ბილწსიტყვაობით როგორც ჯარისკაცების, ასევე მათი მშობლების მიმართ, რასაც ადასტურებს მეთაურის სახელზე დაწერილი ერთ-ერთი ჯარისკაცის დედის საჩივარი შაიშმელაშვილის უმსგავსო საქციელის გამო. შაიშმელაშვილზე გენერალურ ინსპექციაშიც ჩივიან ბაზის სხვადასხვა რანგის ოფიცრებიც.

როგორც ხედავთ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მინისტრების გამოცვლა დისციპლინასა და სამხედრო წესრიგზე არანაირად არ ასახულა და ქართული არმია „წარმატებით“ განაგრძობს ხრწნას.

**გიორგი კორძაძე**

მოკლედ

## ავღანეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ნატოს შტაბ-ბინასთან აიფეთქა

**ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მოწყობილ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა მოძრაობა „თალიბანმა“ დაიკისრა.** ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრ მუჰამედ ისმაილ კავუსის განცხადებით, აფეთქების შედეგად 327 ადამიანი დაიღუპა. თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ავღანეთის დედაქალაქში, სპეცსამსახურების შენობასთან აიფეთქა, რომლის სიახლოვესაც ავღანეთში ნატოს მისიის შტაბ-ბინა მდებარეობს. აფეთქების შედეგად შენობა არ დაზიანებულა.



**როდესაც ლევან მამალაძემ შევარდნაძის ფავორიტობისთვის ბრძოლა წააგო და ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ საქართველოდან გაქცეული ყოფილი გუბერნატორი რუსეთს შეაფარებდა თავს, პოლიტიკურ ვექტორსაც შეიცვლიდა და ერთ დროს რუსეთის მტერი, რომელიც მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ „ფსიქოპოლიტიკური ექსპერიმენტის“ განხორციელებაში ადანაშაულებდა 2016 წელს, ასე ვთქვათ, „პრორუსული“ ორიენტაციის პარტიას შექმნიდა.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართველებმა კარგად ვიცით, რა რთულია ცხოვრება, როცა ქვეყანას უპრინციპო, უზნეო ხელისუფლება მართავს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, და ეს იყო ზვიად გამსახურდია, არ გვყოლია პოლიტიკოსი, რომელიც ეროვნულ ფასეულობებს დაიცავდა, უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებაზე კი უარს იტყოდა. ბევრი ქართველი პოლიტიკოსის წარსული სამარცხვინო საქმეებით არის სავსე. ისინი ხშირად მოქმედებენ პირადი ინტერესებისთვის...

არჩევნები ახლოვდება და პოლიტიკური აჩრდილებიც იწყებენ გაცოცხლებას. არადა, ქართველ ხალხს ახსოვს მათი პოლიტიკური წარსული და ისიც, რაც გაუკეთებიათ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკოსია ლევან მამალაძე — ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში. ლევან მამალაძემ, რომელსაც პროკურატურამ 32 ეპიზოდში წაუყენა ბრალდება და 2004 წლიდან იძებნებოდა, ახლა პარტია „სახალხო ხელისუფლება“ შექმნა და პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს, თანაც ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს თვითონ არ ყოფილა ედუარდ შევარდნაძის უახლოესი გარემოცვის წევრი, გარემოცვისა, რომელმაც გააფუჭა ყველაფერი, რისი გაფუჭებაც მოასწრო, და მერე ხელისუფლებაში „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებული მანქურთების ბანდა მოიყვანა. სწორედ შევარდნაძის ხელისუფლებამ, რომლის ფავორიტიც ლევან მამალაძე იყო, შექმნა ის მანკიერი სისტემა, რომელმაც მოსახლეობის გაღატაკება, ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი უკიდურესად არახელსაყრელი და სახიფათო მიმართულებით მიმართა. მართალია, შევარდნაძის შემდეგ ხელისუფლება უკვე მეორედ შეიცვალა, მაგრამ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში ყველაფერი ძველებურად დარჩა — როგორც სააკაშვილის, ასევე, ივანიშვილის გუნდებიც უწინდებურად მანტრასავით იმეორებენ – „ნატო“, „ევროკავშირი“, „მალე სამოთხეში ვიქნებით“... სინამდვილეში კი საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერა და ვერ შედგა და დღემდე რჩება მარიონეტად სხვების გეოპოლიტიკურ თამაშებში. რა მეტამორფოზი განიცადა ლევან მამალაძემ 1990-იანი წლებიდან დღემდე — როგორი პოლიტიკური კურსი ჰქონდა და როგორი აქვს ახლა? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპრიანი იქნება, გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი ლევან მამალაძის ბიოგრაფიიდან.



# ლევან მამალაძის პოლიტიკური მეტამორფოზი

**2000 წელს გაზეთი „მერიდიანი-44“ წერდა:**

„საქართველოში სამხარეო გუბერნატორების ნამდვილ ფეოდალებსაც კი შეშურდებოდათ“.

„საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში 5000-ლარიანი მიწის ნაკვეთის მფლობელია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში, გარდაბნის რაიონში კი 15000-იანი ნაკვეთი აქვს, მისი მეუღლის ბინა რუსთავში 30000-ად არის შეფასებული, თბილისური კი — 40000-ად.

ბატონ ლევანს საკმაოდ მდიდარი ფანტაზია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი კარგა მანძილითაა მოშორებული ჩვენს ისედაც შეკვეცილ საზღვაო ზოლს, წყლის ტრანსპორტი მაინც შეიძინა. საგზაო ტრანსპორტიც ჰყავს 30000-იანი „მიცუბიში“. მეუღლეს 6000-იანი ბეჭედი შეუძინა და 5000-იანი როიალიც შეიტანა სახლში. მის მეუღლეს — მარიკა ქავთარაძეს, რომელიც უმუშევარია, კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანა „შევროლე“ გაუყიდია 55000 ლარად“.

**2006 წელს სასამართლომ მამალაძეს ბრალი სამი მუხლის მიხედვით, ქრთამის აღებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის, დაუსწრებლად წაუყენა და 17-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მასზე ძებნა ინტერპოლის მეშვეობით გამოცხადდა.**

**„ყოფილ მაღალჩინოსანთა დაუსაბუთებელი ქონება სახელმწიფოს გადაეცა“**

„ლევან მამალაძეს ჩამოერთვა თბილისში, ატენის ქუჩა №6-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, მის მშობლებს კი — სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისსა და წავკისში, 6-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა და ნაკვეთი გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში“.

**გაზეთი „24 საათი“, 2004 წელი, 8 დეკემბერი, №291.**

დიახ ლევან მამალაძეს მართლა ჰქონდა უთანხმოება ჟვანიას გუნდთან, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილთანაც მაგრამ ამ უთანხმოების მთავარი მიზეზი გახლდათ ბრძოლა შევარდნაძის ფავორიტობისათვის. სხვა რამე განხეთქილება და დაპირისპირება პოლიტიკური შეხედულებების, იდეების, ქვეყნის განვითარების გზების თვალსაზრისით მათ არ ჰქონიათ, ეს იყო პირადი მოტივებით გამოწვეული დავა შევარდნაძის ფავორიტობაზე კონკურენტებს შორის.

უფრო მეტიც — ლევან მამალაძე ზურაბ ჟვანიას და მიხეილ სააკაშვილს რუსეთის პროექტებად მიიჩნევდა, ყველა უბედურებაში მოსკოვს სდებდა ბრალს და ანტირუსული კომპანიის ავანგარდში ჩადგომასაც ლამობდა.

**იგი მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას რუსეთის ხელისუფლების დამქაშებად მოიხსენიებდა და რუსული პოლიტიკის გატარებაში სდებდა ბრალს. აი, მაგალითად:**

,,ვიცი, ვინ შეადგინა და ვინ ახორციელებს საქართველოს ფსიქოპოლიტიკური მართვის გეგმას. ისინი არიან რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები, რომლებიც ამუშავებენ მოსახლეობაზე ზეგავლენის ექსპერიმენტულ მეთოდებს. ჯგუფის ხელმძღვანელი გახლავთ სიტნიკოვი, რომელიც ამ დარგის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტია. ამ ჯგუფმა საქართველოში განახორციელა ექსპერიმენტი, რომლის გაკეთებაც რუსეთში ვერ შეძლო. ეს ექსპერიმენტი დღესაც მიმდინარეობს, მისი კონკრეტული შემსრულებლები — განმახორციელებლები სააკაშვილი და ჟვანია არიან.

გაინტერესებთ, ვინ არის სიტნიკოვი? მისი ფირმა „იმიჯ კონტაქტი“ — ეს არის რუსეთის უშიშროების სამსახურთან შექმნილი ინსტიტუტი“.

**გაზეთი „საქარველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 23 თებერვალი, №50.**

**როდესაც ლევან მამალაძემ შევარდნაძის ფავორიტობისთვის ბრძოლა წააგო და ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ საქართველოდან გაქცეული ყოფილი გუბერნატორი რუსეთს შეაფარებდა თავს, პოლიტიკურ ვექტორსაც შეიცვლიდა და ერთ დროს რუსეთის მტერი, რომელიც მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ „ფსიქოპოლიტიკური ექსპერიმენტის“ განხორციელებაში ადანაშაულებდა 2016 წელს, ასე ვთქვათ, „პრორუსული“ ორიენტაციის პარტიას შექმნიდა.**

**2016 წლის 26 მარტს, პარტია „სახალხო ხელისუფლების“ (რომლის ერთ-ერთი თავკაციც ლევან მამალაძე გახლავთ) ყრილობამ** ერთხმად დაუჭირა მხარი, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, სავაჭრო ბაზრის გახსნასა და სავიზო რეჟიმის გაუქმებას!

ყრილობის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა საქართველოში არჩევნების მარათონის დაწყება. „სახალხო ხელისუფლება“ გეგმავს, გამარჯვებით შევიდეს საქართველოს პარლამენტში და განახორციელოს ხალხთან ერთად შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების პროგრამა.

**საინტერესოა, როდის არის გულწრფელი ბატონი მამალაძე? 2003 წელს, როდესაც საქართველოს ყველა უბედურებაში რუსეთს ადანაშაულებს, თუ 2016 წელს, როდესაც ხსნას რუსეთში ხედავს?**

**გასაგებია, რომ ბოლოდროინდელი კვლევებით, საქართველოში მკვეთრად იზრდება უთავბოლო პოლიტიკანობით იმედგაცრუებული ამომრჩევლების რაოდენობა, რომლებიც ღიად ემხრობიან რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. ეს ზრდა იმდენად თვალშისაცემია, რომ აშშ-მა და დასავლეთმა უკვე გამოყვეს რამდენიმე ათეული მილიონი ე.წ. რუსული პროპაგანდის გასანეიტრალებლად.**

**როგორც ჩანს, „რუსული პროპაგანდის“ განეიტრალება „ტროას ცხენების“ გამოყენებასაც გულისხმობს. ეს ტაქტიკა მედასავლეთეებს კარგად აქვთ ათვისებული და ამის ნათელი მაგალითია კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელიც, როგორც გაირკვა, თურმე, ძირითადად, „ტროას ცხენებისგან“ შედგებოდა.**

**ქართველი ამომრჩეველი, იმედს ვიტოვებთ, პასუხისმგებლობით მოეკიდება თავის არჩევანს და შვიდჯერ იფიქრებს, ვიდრე ლევან მამალაძის მსგავსად შემოპარებულ ტროას ცხენებს მისცემს ხმას. ასევე სავსებით გასაგებია ხელმოცარულ პოლიტიკოსთა სურვილი — დრო იხელთონ და გამოიყენონ ამომრჩევლის კეთილგანწყობა რუსეთის მიმართ, თუმცა გაუგებარია, რატომ უდგებიან რუსეთის პოლიტიკური წრეები ზერელედ იმ პოლიტსუბიექტების პოლიტიკურ წარსულს, იდეურ კუთვნილებას, რომლებიც დღეს, ოპერირებენ რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებით, ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ ქართველი ამომრჩეველი, რეალურად კი ემსახურებიან „პრორუსულად“ განწყობილი ელექტორატის გადაბირებას. და ამას, ძირითადად, ახერხებენ რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან „კარგი კონტაქტების ქონაზე“ სპეკულირებით.**

**საინტერესოა, როდის არის გულწრფელი ბატონი მამალაძე? 2003 წელს, როდესაც საქართველოს ყველა უბედურებაში რუსეთს ადანაშაულებს, თუ 2016 წელს, როდესაც ხსნას რუსეთში ხედავს?**

მოამზადეს **ქრისტინე ტოგონიძემ** და **თათია ჯაფარიძემ**

მსოფლიო



# იაპონიაში რამდენიმე მიწისძვრის შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა

**იაპონიის კუმამოტოს პრეფექტურაში მომხდარი რამდენიმე მიწისძვრის შედეგად, ბოლო მონაცემებით, 41 ადამიანი დაიღუპა, 4 დაკარგულად ითვლება.** 600 საევაკუაციო პუნქტში 100 ათასი ადამიანი იმყოფება, საავადმყოფოებში — 2 ათასი ადამიანი.



საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნება“ აღარ არსებობს, პატარა ბიჭს ჩააბარეს — ირაკლი კობახიძეს, რომელიც ამბობს, ახალი ძალა უნდა მივიყვანო პარტიაში, ინგლისურის მცოდნეებიო... ვფიქრობ, მათთვის ეს ნაბიჯი სრული ფიასკო იქნება. მგონია, რომ „ოცნება“ ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, თუ მასობრივი გაყალბება არ მოხდება, თუმცა მათი გადარჩენა შეუძლია ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას და დაკავებულ თანამდებობაზე ოთხი წლით დარჩენას“.**

# მომავალი საპარლამენტო არჩევნები ამერიკისთვის სასურველი შედეგის მისაღებად გაყალბდება?

## რატომ დაეცა «ქართული ოცნების» რეიტინგი?

**არჩევნებამდე 5 თვით ადრე ამერიკის საერთაშორისო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის — „ენ-დი-აის“ კვლევის შედეგები ასეთია: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, გამოკითხულთა 16% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, 10% — „ნაციონალურ მოძრაობას“, 7% – „თავისუფალ დემოკრატებს“, ხოლო ლეიბორისტულ პარტიას, „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ — 3-3%.**

ამასთანავე, გამოკითხულთა 60%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ პარტიას დაუჭერს მხარს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს 35%-ს, ხოლო 3%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის გამაღიზიანებელი იყო „აი-რა-ისა“ და „ენ-დი-აის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც შედეგი ასე გამოიყურებოდა: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 47% დაუჭერდა მხარს; „კოალიცია ქართულ ოცნებას“ — 10%; „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ — 3%; დანარჩენი პარტიები კი არც ჩანდნენ...

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა მაშინ ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკულ ინსტიტუტებს. ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში — ჯონ ბასს და „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ კვლევების შეწყვეტა მოითხოვა. მიმართვას მალევე მოჰყვა ჯონ ბასის პასუხი: „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი არაკომერციული, არაპარტიული ორგანიზაციაა, რომელიც, 20 წელზე მეტია, მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერებაზე მუშაობს. კვლევები პოლიტიკურ პარტიებს ეხმარება, უკეთ უპასუხონ საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევებს“.

ამ წერილის შემდეგ ამერიკული ინსტიტუტების მიმართ საყვედური აღარავის გამოუთქვამს. არადა, როგორც ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, დიდი ხანია, მეზობელი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ამერიკულ ინსტიტუტებს „ფეხი ამოუკვეთეს“.

შევეცადეთ, პოლიტოლოგებთან და პოლიტიკოსებთან ერთად გაგვერკვია, თუ რა აქვთ ჩაფიქრებული ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელებს. იძლევა თუ არა კვლევის შედეგები საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ამერიკისთვის სასურველი შედეგის მისაღებად გაყალბდება? რატომ დაეცა „ქართული ოცნების“ რეიტინგი?



### «რაც ამ დღეებში ვიხილეთ, მოდელირებული კვლევაა, რომელიც მიმართულია იმ მკვდარი პარტიების გასაცოცხლებლად, რომელთა მფარველებიც იმ ქვეყანაში სხედან, რომელსაც «ენ-დი-აი» წარმოადგენს»

**ჯუმბერ კირვალიძე, პოლიტოლოგი:**

— დიდი ხანია, ამ ქვეყანაში „ენ-დი-აის“ სოციოლოგიურ კვლევას არავინ ენდობა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის ამინდს ქმნის. ბოლო კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა, მიანიშნებს თუ არა იმაზე, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები გაყალბდება?

— „ენ-დი-აის“ ბოლო კვლევა მიშასდროინდელ მოდელირებულ ქრონიკას ჰგავს. ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ იმიჯის გასალამაზებლად არის. აგრეთვე, სურთ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ამოტივტივება, რადგან **ალასანია** პოლიტიკაში ყოველთვის სათადარიგო მოთამაშე იყო. „ენ-დი-აის“ ეს კვლევა, ვფიქრობ, ყველაზე მეტად მიმართული იყო ე.წ. პრორუსული პარტიების დასაკნინებლად. ეს მათ მიერ ჩატარებულ ბოლო რამდენიმე კვლევაში ნათლად გამოჩნდა. **ნინო ბურჯანაძის პარტიასა და „პატრიოტთა ალიანსს“ არც ერთ კვლევაში საერთოდ არანაირი პროცენტი არ აქვთ, და რაც მთავარია, ამ ყველაფრისთვის პირველ ლეიბორისტს, შალვა ნათელაშვილს, იყენებენ, რომელიც რამდენიმე წელიწადია, „ნაცების“ თამაშს თამაშობს. ნათელაშვილი კვლევებში ჩანს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ მისი რეიტინგი ნულია.**

ასე რომ, რაც ამ დღეებში ვიხილეთ, „ენ-დი-აის“ მოდელირებული კვლევაა, რომელიც მიმართულია იმ მკვდარი პარტიების გასაცოცხლებლად, რომელთა მფარველებიც იქ სხედან, რომელ ქვეყანასაც „ენ-დი-აი“ წარმოადგენს.

**— ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის გარეშეც ვიცით, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი? ერთ-ერთი მიზეზი ის ხომ არ არის, რომ წინასაარჩევნოდ ივანიშვილის გუნდი ქართველ ხალხს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას დაჰპირდა, მაგრამ ამ მხრივ არაფერი გაკეთდა?**

— ეს მთავარი მიზეზი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი ნამდვილად არის. ხალხს მხოლოდ იმის მოლოდინი არ ჰქონდა, რომ მწვანილი გაეყიდა რუსეთში. მას სურდა, ყოვლისმომცველი ურთიერთობები ყოფილიყო. დღეს რუსეთთან პოლიტიკური დიალოგი არ მიმდინარეობს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ისე არიან დაშინებულები, რუსეთზე საუბარს საერთოდ ვერ ბედავენ. ასეთი ნახევარფაბრიკატივით გაკეთებული საქმით „ოცნებამ“ იმედი გაუცრუა მოსახლეობას.

**„ქართული ოცნება“ აღარ არსებობს, პატარა ბიჭს ჩააბარეს — ირაკლი კობახიძეს, რომელიც ამბობს, ახალი ძალა უნდა მივიყვანო პარტიაში, ინგლისურის მცოდნეებიო... ვფიქრობ, მათთვის ეს ნაბიჯი სრული ფიასკო იქნება. მგონია, რომ „ოცნება“ ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, თუ მასობრივი გაყალბება არ მოხდება, თუმცა მათი გადარჩენა შეუძლია ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას და დაკავებულ თანამდებობაზე ოთხი წლით დარჩენას.**



### «ჩვენ ხომ ამერიკის «სტრატეგიული» პარტნიორები და მონები ვართ? «აი-რა-ისა» და «ენ-დი-აის», თავზე რომ არ გვასხედან და არ გვაჭენებენ, მადლობა უნდა ვუთხრათ»

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— წლების განმავლობაში „ენ-დი-აიცა“ და „აი-რა-იც“ მხოლოდ რეიტინგების გაყალბებით არიან დაკავებულნი. ის, რაც დღეს ხდება, ხელისუფლების სისუსტეა. როდესაც „ენ-დი-აი“ და „აი-რა-ი“ ქვეყანაში თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების დანაშაულია. **აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ამერიკული ინსტიტუტები, დიდი ხანია, გააძევეს. საქართველოში ამას ვერავინ ბედავს, ჩვენ ხომ ამერიკის „სტრატეგიული“ პარტნიორები და მონები ვართ. ასე რომ, „აი-რა-ისა“ და „ენ-დი-აის“, თავზე რომ არ გვასხედან და არ გვაჭენებენ, მადლობა უნდა ვუთხრათ.**

ის, რასაც „ენ-დი-აი“ აკეთებს, ნიშნავს საზოგადოების შემზადებას იმისთვის, რომ მომავალ არჩევნებში პარლამენტში დიდი ადგილი დაიკავოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მასთან ერთად საქმეში „თავისუფალი დემოკრატები“ გაჰყავთ და ის ძალები, რომლებიც ამერიკელებს კუდს უქიცინებენ. როგორ დავიჯერო, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიას საერთოდ არანაირი პროცენტი არ აქვს?! ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ბურჯანაძე და მისი პარტია მიყვარს, უბრალოდ, არარეალურია ეს სურათი. **როგორ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ პროცენტს ეშინია რუსეთის და რუსეთთან ურთიერთობა მაინც სურს?! საქართველოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ნამდვილად არ უნდა არც ნატო და არც ევროკავშირი, კვლევები კი სულ სხვა რამეს ამბობს.**

**— „ენ-დი-აის“ კვლევების არ გვჯერა, მაგრამ ფაქტია, რომ „ოცნების“ რეიტინგი დაეცა. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების დაპირების შეუსრულებლობამ ხომ არ გამოიწვია ეს?**

— „ოცნების“ რეიტინგის დაცემა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლობას არ გამოუწვევია, ეს აუხდენელმა ოცნებებმა განაპირობა.

რუსეთთან ერთიერთობის მოგვარება ყველას სურს, მაგრამ უფრო მეტად ნორმალური ცხოვრების პირობები უნდოდათ. გარდა ამისა, ხალხს სურდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყელში არ გასჩხეროდა, მაგრამ ივანიშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ისე წაიყვანეს საქმე, რომ ამ პარტიამ მომავალ საპარლამეტო არჩევნებში, შესაძლოა, 13%-ზე მეტი მიიღოს.



### «საქართველოს კეთილდღეობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა დამოკიდებული»

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

**— „ენ-დი-აის“ ბოლო კვლევა ნიშნავს თუ არა იმას, რომ შესაძლოა, შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნები გაყალბდეს?**

— „ენ-დი-აი“ მარგინალების ორგანიზაციაა. ქართველი ხალხი მიეჩვია მის ასეთ გამოხდომებს. **„ევრაზიის ინსტიტუტმა“ ჩაატარა კვლევა, რომელიც ოდნავადაც არ ემთხვევა „ენ-დი-აის“ კვლევას, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. სასაცილოა, რომ დავით ბაქრაძე რეიტინგით თითქოს პირველ ადგილზეა. ეს ხომ წარმოუდგენელია?!**

**— რატომ დაეცა „ოცნების“ რეიტინგი? იმიტომ ხომ არა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას რომ დაჰპირდნენ ხალხს და არაფერი გააკეთეს?**

— ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად ეს იყო, რადგან საქართველოს კეთილდღეობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა დამოკიდებული. ერთხელ ვთქვი, არც ერთ პარტიას არ ვურჩევ ანტირუსული რიტორიკით არჩევნებზე გასვლას-მეთქი. ასეთი რიტორიკა არამხოლოდ უმართებულოა საქართველოს ინტერესებისთვის, არამედ ამით პარტიის რეიტინგიც დაეცემა.

ანტირუსული ელექტორატი ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულია და სწორედ მას არ აძლევს ხელს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, დანარჩენი ამომრჩევლისთვის კი ანტირუსული რიტორიკა მიუღებელია.



### «ენ-დი-აის» კვლევა სოციოლოგიური თაღლითობაა»

**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— არჩევნების გაყალბებას ყველა ვარაუდობს, რადგან ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს. საქართველოს ამჟამინდელი პარლამენტი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებასა და სურვილს. ეს იმიტომ ხდება, რომ არჩევნები იმთავითვე გაყალბდა და ეს მოხდა არა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, არამედ ქართველი ხალხის დასათრგუნავად. გაყალბება მასშტაბურია და ის ქართველი ხალხის ცნობიერებაზე აისახება. **პოლიტიკოსები ქართველი ხალხის ფსიქიკაზე ძალადობენ. ამის გამოხატულებაა ყველა მოწვევის პარლამენტი. ქართველი ხალხის სურვილია, იცხოვროს ღირსეულად. არჩევნების დროს ეს სურვილი ყალბდება, პირველ რიგში, და „ენ-დი-აის“ კვლევაც ამას ადასტურებს.**

„ენ-დი-აის“ კვლევა სოციოლოგიური თაღლითობაა. ისინი ახერხებენ, ციფრები იყოს სინამდვილესთან მიახლოებული, მაგრამ მთავარსა და არსებითში შეაცდინონ საზოგადოება. სოციოლოგიური კვლევა არ ტარდება იმისთვის, რომ გავიგოთ, როგორია ხალხის განწყობა, ტარდება პროპაგანდისთვის და ემსახურება მათთვის სასურველი მიმართულების საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევა ხალხის უნდობლობას იწვევს და არა მხოლოდ ხალხის, პოლიტიკური სუბიექტების უნდობლობასაც.

„ენ-დი-აის“ კვლევა ნათლად გვიჩვენებს, თუ ▶

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰილარიმ არაერთხელ ჩააგდო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება, არაერთხელ შეკმაზა ორპირობითა და უკადრებელით ისედაც აყროლებული კერძი, რომელიც თვითონ დაამზადა.**

რა სურთ მათ, სად და რა ნაწილში უნდათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

დღეს ერთმანეთს ებრძვიან პრორუსული და პროდასავლური ძალები და აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ შემთხვევითი არ არის პოლიტიკური სპექტრის დაყოფა პრორუსულ და პროევროპულ ძალებად. არავინ ამბობს, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც პრორუსულს უწოდებენ, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ხედავს საქართველოს პერსპექტივას. აქ კი სალანძღავი არაფერია. ასე ფიქრობს საზოგადოების დიდი ნაწილი, პროდასავლური პოლიტიკოსები ამ სეგმენტში შესვლას ცდილობენ და მისი გამოყენება თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისთვის სურთ. რუსეთის თემა საჯილდაო ქვად იქცა.

თუ გავაცნობიერებთ, რასთან გვაქვს საქმე, შეიძლება ითქვას, **საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება არის გასაღები იმისა, რომ მოჯადოებული წრე გაიხსნას, რათა გზა გავიკვლიოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. ეს არის პერსპექტივა იმისა, რომ ეკონომიკური და სულიერი აღორძინება დაიწყოს.**

ივანიშვილისა და მისი გუნდის რეიტინგის დაცემა სწორედ იმან გამოიწვია, რომ უმთავრესი გზავნილი — რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, არ შესრულდა. ქართველი არ არის ისეთი სულელი, რომ ის დაეჯერებინა, რასაც ივანიშვილი ჰპირდებოდა. მას ხალხმა ნდობა იმისთვის გამოუცხადა, რომ იცის, ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლი რა არის. სწორედ ამას შეეხო ივანიშვილი და დაჰპირდა, რომ რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებდა, რაც, ასე თუ ისე, სარწმუნო იყო. აი, ამის გამო დაუდგა გვერდით ქართველი ხალხი ივანიშვილს, მაგრამ მან ყველა მიმართულებით გაუცრუა იმედი. ქართველისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია ის, რომ ივანიშვილის მთავრობამ რუსეთთან არათუ ურთიერთობის რეალური მოწესრიგება ვერ შეძლო, შეხვედრაც ვერ მოახერხა რუსეთის ხელისუფლებასთან. ეს „ოცნების" ფიასკოა.

**უბედურება არის ის, რომ „ენ-დი-აის" კვლევა ამტკიცებს: ქართულ პოლიტიკაში კვლავ „ოცნება" და „ნაციონალები" არიან მთავარი მოთამაშეები, ანუ, რაც აქამდე იყო, ისევ იმ გზით უნდა გაგრძელდეს ცხოვრებაო.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**




# 7 მიზეზი, რომელთა გამოც ჰილარი კლინტონი აშშ-ის პრეზიდენტობის ღირსი არ არის

**ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა მასალა, რომელშიც ჩამოთვლილია 7 არაკომპეტენტური გადაწყვეტილება ამერიკის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რომლებითაც „თავი გამოიჩინა" ჰილარი კლინტონმა.**



ავტორები განმარტავენ, რომ ეს ფაქტები ამორჩეულია მსგავსი, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მრავალთა მასივიდან, რომელთა ერთობლიობა საეჭვოს ხდის აღნიშნული ქალბატონის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის მიზანშეწონილობას.

14 ივნისს მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის მასშტაბის პრესკონფერენციის — პირდაპირი ხაზის — მზადებისა და მიმდინარეობის პროცესში **ვლადიმერ პუტინმა** ორი მილიონ რვაას ათასზე მეტი შეკითხვა მიიღო. ერთი ჯგუფი ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებზე იყო. მათ შორის ასეთიც: ვინ უფრო კარგი იქნებოდა რუსეთისთვის — **ტრამპი თუ კლინტონი?**

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სწორედ ეს ორი კანდიდატი ლიდერობს წინასაარჩევნო მარათონში.

რუსეთის პრეზიდენტის პასუხის დედაარსი ასეთი იყო: ამერიკაში, პრაქტიკულად, ერთი და იგივე კლანები იბრძვიან პრეზიდენტობისთვის. მაგალითად დაასახელა მამაშვილი ბუშები, რომლებსაც სხვადასხვა პერიოდში პრეზიდენტის პოსტი ეკავათ და კიდევ ერთი ძმა, რომელიც პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში წელსაც იყო ჩართული; ცხადია, ცოლ-ქმარი კლინტონებიც დაასახელა. ბილი ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად, ჰილარი ერთხელ უკვე ცდილობდა ქვეყნის პირველ პირობას, ახლა მეორედ შეუდგა.

და ეს მსჯელობა შეაჯამა რუსული ანდაზით, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დიპლომატიური ეთიკის ჩარჩოებს არ გასცდენია, მაგრამ მწარე ქვეტექსტი აშკარად ჰქონდა: „მუჟ ი ჟენა ოდნა სატანა" („ცოლი და ქმარი ერთი ეშმაკიაო"), რომელსაც პრესკონფერენციის მონაწილე ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, კულტურის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების წარმომადგენელთა თავშეკავებული რეაქცია მოჰყვა. ამ „რბილი" იუმორის მინიშნება ყველასთვის გასაგები იყო: პრეზიდენტის არჩევა ამერიკელების საქმეა, რუსეთისთვის კი, ვინც გინდა იყოს, სულერთია, ერთი ეშმაკია.

## რას უწუნებენ ჰილარი კლინტონს ამერიკელები?



*** როგორც თეთრი სახლის პირველი ლედი, ჰილარი ჩათრეული აღმოჩნდა თავისი ქმრის სექსუალურ სკანდალში, რომელიც ამერიკის ისტორიაში ყველაზე უფრო სამარცხვინო ფაქტი იყო.**

* ჰილარი კლინტონმა ისე ჩაფუშა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის რეფორმა, რომ შედეგები დღესაც არ არის აღმოფხვრილი.

*** ჰილარიმ ერთხელ განაცხადა, თუ რა საფრთხეებს შეიცავს, საერთოდ, ომი და, მათ შორის, ომი ირანთან, მაგრამ თავადვე უღალატა თავის თვალსაზრისს.**

* ობამას რომ ეპაექრებოდა საპრეზიდენტო არჩევნებისას, ჰილარის სწორი პოზიცია ეკავა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის რიგ საკითხებში, მაგრამ, სახელმწიფო მდივნის სავარძელში რომ ჩაჯდა, უარი თქვა თავის წინასაარჩევნო დაპირებებზე.

*** ნაცვლად იმისა, რომ პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდა და დაეცვა კანონმდებლობა ეროვნული უსაფრთხოების საკითხში, ჰილარიმ გამოიყენა კერძო სერვერი თავისი ელექტრონული ფოსტისთვის, შემდეგ კი ეს შეცდომა სხვებს გადააბრალა. მან თავი ვერ გაართვა საკუთარი ელექტრონული წერილების კლასიფიკაციას, რომელთა შორის, სულ ცოტა, ათასი დახურულ კატეგორიას განეკუთვნებოდა, 100 კი — მკაცრად საიდუმლოს. დღეს ბევრი იზიარებს მოსაზრებას, რომ მას შეხება არ უნდა ჰქონდეს ეროვნული უშიშროების საიდუმლოებებთან.**

* ერთ დროს ჰილარი ასახელებდა მიზეზებს, რომელთა გამო ამერიკა უნდა შეჭრილიყო ლიბიაში. მან იცრუა შეჭრის მოტივაციის დასაბუთების საკითხში და დამარცხდა.

*** ჰილარიმ არაერთხელ ჩააგდო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება, არაერთხელ შეკმაზა ორპირობითა და უკადრებელით ისედაც აყროლებული კერძი, რომელიც თვითონ დაამზადა.**

იმოქმედებს თუ არა საგრძნობლად აღნიშნული შენიშვნები ჰილარი კლინტონის საარჩევნო რეიტინგზე, მომავალი გვიჩვენებს.



## «მუსლიმანები ცეკვავდნენ, როდესაც ტერაქტების შესახებ შეიტყვეს»

**ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნაციონალისტური პარტია „ახალი ფლამანდური ალიანსის" წარმომადგენელმა იან იამბონმა პოლიტკორექტულობა დაივიწყა და განაცხადა, რომ ქვეყანაში უცხოელთა ინტეგრაციის პოლიტიკა ჩაფლავდა.**

ფლამანდიური გაზეთ „დე სტანდაარდს" მოჰყავს მინისტრის ციტატა: **„მუსლიმანთა თემის მნიშვნელოვანი ნაწილი ცეკვავდა, როცა ტერაქტების შესახებ შეიტყო, ხოლო როდესაც სალაჰ აბდუსლამს აპატიმრებდნენ, პოლიციელებსა და ჟურნალისტებს ქვებსა და ბოთლებს ესროდნენ".**

ეს ის აბდუსლამია, რომელიც 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მოწყობილი ტერაქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

„შეიძლება დააპატიმრო, საზოგადოებას მოაშორო ტერორისტი, — მსჯელობდა მინისტრი, — მაგრამ ისინი მხოლოდ ჩირქგროვაა, მის ქვეშ კი სიმსივნური წარმონაქმნია, რომლის მკურნალობა გაცილებით რთულია. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, მაგრამ არა რამდენიმე დღეში... ეს დიდი პრობლემაა".



ბაჩუკი სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუნდაც დავიჯეროთ ის სიდებილე, რომ, თვითონ კი არ სურდათ, არამედ „რუსეთის აგენტმა“ აიძულა ასე მარტივად ამერიკელები, სულხან წულაძე-„სპლიყვის“ დაკავება მოეთხოვათ, ხოლო „შნირმა“ ქართველმა სამართალდამცველებმა მყისვე შეუსრულეს მოთხოვნა — ეს კიდევ უფრო მეტად იწვევს განცდას, რომ ამერიკელები მძიმე სიდებილით არიან დაავადებულნი, ხოლო ქართული ოფიციოზის წარმომადგენლები მათი გულისამრევი მონები არიან და მეტი არაფერი.**

# ენვერის გასპლიყვება, ანუ ამერიკული ნაკელი ნოყიერი რუსული პროპაგანდისთვის

**რუსულ „კა-გე-ბეს“ იუმორი რომ არ აქვს, ახალი ამბავი არ არის. მაგრამ ყველაზე სკეპტიკოსი „რუსეთუმეც“ კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში შეიძლებოდა ხუმრობისთვის ადამიანის დაპატიმრება.**

არადა, ეს მოხდა. მოხდა ჩვენ თვალწინ, დღისით-მზისით. **ინტერნეტტროლინგის მოყვარული ცნობილი ხუმარა ქართველი, საელჩოს მოთხოვნით, ქართველმა სამართალდამცველებმა ერთობ ოპერატიულად დააკავეს. არადა, რომ ჰკითხოთ, იმ ქვეყნის მესვეურნი, რომელსაც ხსენებული საელჩო წარმოადგენს, კატეგორიულად უარყოფენ ანტიდემოკრატიულ რეჟიმს მათ ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის მესვეურნი კი კატეგორიულად უარყოფენ ამ ქვეყნის მიმართ მონურ მორჩილებას.** ფაქტია: რუსეთის საელჩოზე თავდასხმის მზადებაში მხილებულია ტერორისტი „სპლიყვი“. არ მოგესმათ, „სპლიყვი“ სწორედ იმ ადამიანის ინტერნეტმეტსახელია, რომელმაც ხუმრობით ფორუმზე საჯაროდ გამოაქვეყნა „საელჩოზე თავდასხმის გეგმა“ და სადამსჯელო მანქანამაც არ დააყოვნა. ამ ტრაგიკომედიას ამძაფრებს ისიც, რომ ხუმარა „სპლიყვი“ კი არ დაკითხეს და გაუშვეს, არამედ ქართულმა სასამართლომ მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. რა გაეწყობა, რუსებს თუ ასე ექნებოდათ დაჩლუნგებული იუმორის გრძნობა, ეტყობა, ვერც ერთი სპლიყვი ვერ წარმოიდგენდა. არადა, თავდასხმის გამოქვეყნებული გეგმის ირონიულობას და აბსურდულობას თავი რომ დავანებოთ, თუნდაც **მხოლოდ მეტსახელი „სპლიყვი“ ნორმალური ადამიანებისთვის უკვე საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ საქმე ჩვეულებრივ ინტერნეტტროლინგთან გვაქვს, თუმცა შეუცნობელია კრემლის გზები და პუტინია მოციქული მისი...**

რაო, ფიქრობთ, რაღაც ამერია? სულაც არა! უბრალოდ, ფანტაზია დავძაბე და წარმოვიდგინე, როგორ დაიწყებოდა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება, შემდეგ კი ამ ფაქტისადმი მიძღვნილი „კურიერი პი-ეს“-ის სპეციალური სიუჟეტი და რა სარკასტულ-ირონიულ-დამამცირებელ სიტყვათა მარაგს დახარჯავდა, დავუშვათ, **თენგო გოგოტიშვილი**, ასეთი რამ რუსეთის საელჩოს რომ ჩაედინა და არა ამერიკისას...

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ უკლებლივ ყველა ქართული ე.წ. თოქშოუ დასვამდა ეთერში „ბრძნული“ გამომეტყველების მქონე სათვალიან და ტუჩპრუწია გოგო-ბიჭებს და ბევრს ალაპარაკებდა, როგორი ჩამორჩენილი და ბნელია ის ქვეყანა, რომელშიც ადამიანი ელემენტარული ხუმრობის გამო დააპატიმრებინეს ქართველ სამართალდამცველებს.

თუკი ვინმე გაბედავდა და იკითხავდა, რატომ აქცია ყველა ტელევიზიამ და ყველა თოქშოუმ დღის, კვირისა და თვის უმთავრეს თემად ამ ადამიანის დაპატიმრება, პასუხსაც დაუყოვნებლივ მიიღებდა — სოციალური ქსელები ააფეთქა ამ თემამ, უამრავი ადამიანი წერს პოსტებს, აკომენტარებს, წუხს ამ „სპლიყვის“ ბედზე და ჩვენ, ჟურნალისტები, მოვალენი ვართ, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რაც ხალხს აწუხებსო!

აკი, არაერთხელ მოგვისმენია ჩვენი უკვე საყოველთაოდ ანგაჟირებული, მოსყიდული და დაქირავებული ჟურნალისტებისგან მსგავსი თავის მართლება, მაშინ, როდესაც მასისთვის მართლაც არც ისე საინტერესო თემა სკანდალად გამოუცხადებიათ და მთელი თვის განმავლობაში უმთავრეს თემად უქცევიათ.

რეცეპტიც ნათელია: **დაქირავებულ „იუზერებს“ განგებ „ააფეთქებინებენ“ სოციალურ ქსელებს რაიმე თემით, მაგალითად, „ქართველი მუტრუკების ძალადობა ქალებზე“ ანდა „უკრაინელი ნადეჟდა სავჩენკოს პატიმრობა რუსეთში“ და მერე ეს თემა უკვე გადააქვთ ტელევიზიებში, სწორედ ამ საბაბით, რომ, აქაოდა, სოციალური ქსელები „აფეთქდა“ და ჩვენც იძულებულნი ვართ, ხალხის ინტერესი დავაკმაყოფილოთო...**

არადა, **საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის შესახებ გამოქვეყნებული ხუმრობის გამო დაპატიმრებული სულხან წულაძის თემამ, მართლაც ყოველგვარი „მოსყიდვისა“ და „დაკვეთის“ გარეშე, რეალურად „ააფეთქა“ სოციალური ქსელები, თუმცა ტელევიზიები ამ თემისადმი ყურადღების დათმობის მხრივ მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში გასული რამდენიმე სრულიად ნეიტრალური სიუჟეტით შემოიფარგლნენ.**

მარტივად რომ ვთქვათ, ქართულმა ტელევიზიებმა მხოლოდ ინფორმაცია მოგვაწოდეს მომხდარი ფაქტის შესახებ და კიდევ — ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ძალიან „დიპლომატიური“ და თავშეკავებული განცხადება გაგვაცნეს.

სინამდვილეში რა მოხდა? **მოხდა ის, რაც ამ წერილის შესავალშია მოთხრობილი, ოღონდ ყველგან, სადაც წერია „რუსეთი“, იგულისხმეთ „ამერიკა“ და ეგაა...**

სამაგიეროდ, სოციალურ ქსელებში საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოხატულმა მილიონობით გულისწყრომამ, ამერიკის მიმართ აშკარა აგრესიამ და წყევლა-კრულვამ, როგორც ჩანს, მართლა შეაწუხათ და სცადეს იმავე სოციალურ ქსელებში საწინააღმდეგოდ გაფართხალებულიყვნენ.

მაგრამ, როდესაც ადამიანს ჩვეულებრივი ხუმრობის გამო დააპატიმრებინებ და, მით უმეტეს, როდესაც ჩვეულებრივი დაკითხვითა და გაფრთხილებით კი არ შემოიფარგლები, არამედ მიუსჯი ორთვიან წინასწარ პატიმრობას, აი, ამ სიდებილის შემდეგ, რაც უნდა „გაფართხალდე“ და ამ იდიოტური ქმედების „გაპრავება“ სცადო, ეს ყველაფერი უარეს შედეგს რომ მოიტანს, ალბათ, ამის გააზრების გიონებრივი უნარიც აღარ აქვთ თავგადაკლულ „ამერიკანებს“.

აი „შედევრიც“, რომელიც ინტერენეტფორუმზე გამოაქვეყნა ერთმა, დაპატიმრებული სულხან წულაძის ვითომ „გულშემატკივარმა“, თანაც ტვინით მძიმედ დაავადებულმა „ამერიკანელმა“. ამ „სიბრძნის“ ავტორი ცდილობს, რამენაირად ნამუსი მოსწმინდოს ამერიკის საელჩოს და, როგორც ასეთ ტვინით კოჭლს ახასიათებს ხოლმე, პოულობს საუკეთესო გამოსავალს — რუსეთს და მის აგენტებს.

მოკლედ, **ეს ვინმე „იუზერი“, რომლის ინტერნეტმეტსახელია „ფრი ვორლდ“, სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ რუსეთის აგენტებმა სპეციალურად „გაუჩალიჩეს“ ამერიკის საელჩოს ის, რომ მათ მოეთხოვათ ქართველი სამართალდამცველებისგან სულხან წულაძის დაპატიმრება.** „გაჩალიჩება“ კი მოხდა მარტივად — სულხან წულაძის, იმავე „სპლიყვის“, მიერ გამოქვეყნებული სახუმარო „თავდასხმის გეგმის“ გადაგზავნით ამერიკის საელჩოს ვებგვერდზე, ანუ რუსეთის აგენტმა ასე უბრალოდ აიღო „სპლიყვის“ გეგმა, გაუგზავნა აშშ-ის საელჩოს და შედეგს დაელოდა. სულ ეს იყო.

სამაგიეროდ, იუზერი **„ფრი ვორლდ“** ძალიან „ფილოსოფიურად“ ხსნის მიზეზებს, თუ რატომ ჩაიდინა „რუსეთის აგენტმა“ ეს „სამარცხვინო“ საქციელი:

**„ამერიკის საელჩოს მოთხოვნაზე ქართული მხარე უეჭველი მოახდენდა რეაგირებას და სულხანის დაკავებას მიაღწევდა — მომხდარი ფაქტი თავცხელ ქართულ მოსახლეობაზე იმოქმედებდა შემდეგნაირად — ამერიკელი იმპერიალისტები ხუმრობაზეც კი აჭერინებენ უდანაშაულო ადამიანს, ქართული სამართალდამცველი ინსტიტუტები ამერიკის მონები და უსამართლო დავალებების აღმსრულებლები არიან.**

**— ეს ყველაფერი ერთადერთი მიზნისკენ მიდის, რაც შეიძლება მძაფრად გაღვივდეს ანტიამერიკული განწყობა საქართველოს მოსახლეობაში, მოხდეს ამერიკისა და მისი ელჩის, საელჩოს დისკრედიტაცია... ეს რუსული აქტიური დავალებებია...“**

დანარჩენი სისულელე, როგორც ამ ამონარიდამდე, ასევე ამ ამონარიდის შემდგომი რამდენიმე სრულიად რეგვნული ფრაზა, მკითხველს შეუძლია თვითონ წაიკითხოს თანდართულ „ინტერნეტსქრინის“ ფოტოზე და ისიამოვნოს...

ეს ნაწყვეტი იმისთვის მოვიხმეთ, რომ ის არ არის მხოლოდ ამ ერთი „იუზერის“ პირადი აზრი. ასეთი „სიბრძნეებით“ უკვე გაავსეს ინტერნეტი „ამერიკანელმა“ მონდომებულმა „გამპრავებლებმა“ და ამიტომ ეს კონკრეტული ამონარიდი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მათ ზოგად პოზიციად...

ამ პოზიციიდან კი რა გამოდის? პირდაპირ ვთქვათ, მთელი ამ ბოდვიდან გამოდის ერთადერთი დასკვნა: ვინმე „რუსეთის აგენტმა“ და აქედან გამომდინარე რუსულმა სპეცსამსახურებმა ზუსტად იციან, რა დონის გამოშტერებულები სხედან ამერიკის საელჩოში, რა დონის ტუტუცია ამერიკული სპეცსამსახური და რომ ისინი აუცილებლად მოითხოვდნენ ცნობილი „ინტერნეტტროლერის“ დაპატიმრებას ხუმრობის გამო.

კიდევ რა გამოდის? უფრო ზუსტად, კი არ „გამოდის“, არამედ ამ „სიბრძნის“ ავტორი პირდაპირ წერს: **„ამერიკის საელჩოს მოთხოვნაზე ქართული მხარე აუცილებლად მოახდენდა რეაგირებას“... კი მაგრამ, რატომ? დავიჯეროთ ასევე „უეჭველ“ რეაგირებას მოახდენდა „ქართული მხარე“ სხვა რომელიმე ქვეყნის საელჩოს მოთხოვნაზეც?**

ხომ არ გვაქვს საქმე სწორედ ამასთან — **„ამერიკელი იმპერიალისტები ხუმრობაზეც კი აჭერინებენ უდანაშაულო ადამიანს, ხოლო ქართველი სამართალდამცველი ინსტიტუტები ამერიკის მონები და საელჩოს უსამართლო დავალებების უსიტყვო აღმსრულებლები არიან“, ანუ ის, რასაც პატივცემული „ამერიკანელები“ თავიანთი ჭკუით „რუსულ პროპაგანდად“ ასაღებენ, სინამდვილეში სრულიად რეალური ფაქტი ხომ არ არის?**

ყოველ შემთხვევაში, სულხან წულაძის ეს ▶

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის შესახებ გამოქვეყნებული ხუმრობის გამო დაპატიმრებული სულხან წულაძის თემამ, მართლაც ყოველგვარი «მოსყიდვისა» და «დაკვეთის» გარეშე, რეალურად «ააფეთქა» სოციალური ქსელები, თუმცა ტელევიზიები ამ თემისადმი ყურადღების დათმობის მხრივ მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში გასული რამდენიმე სრულიად ნეიტრალური სიუჟეტით შემოიფარგლნენ**


Free_World
16 Apr 2016, 14:57

**მესმის, ჩვენთან გსურთ ყოფნა და ჩვენც გიდასტურებთ პატივისცემას, აგერ კარიც ღია მქონდა, უბრალოდ, ამ ეტაპზე შემიძლია მხოლოდ „ფეისბუქზე“ დაგიმეგობროთ ან სკაიპში დაგამატოთ, განსაკუთრებულს ამ ეტაპზე ვერაფერს შემოგთავაზებთ. ვიმეგობროთ ვირტუალურ სივრცეში, დავაკვირდებით თქვენს აქტივობებს, ვნახავთ, რამდენი გალაიქებთ, გიკომენტარებთ, რას წერენ და ამის მერე ვიფიქრებთ სხვა, უფრო მაღალ ღირებულებებზე, ჰა? რას იტყვით? მგონი, მაპზე უკეთესი კი უნდა იყოს ჩვენი „ფეისბუქმეგობრობა“?**

## სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ვითომ „დასაცავი“ ბრძნული გამოხდომა, სწორედ ამას ქადაგებს რეალურად, თანაც ისე, რომ მისი ავტორი ვერც კი ხვდება, რამხელა იდიოტიზმი დაწერა და როგორ უწყობს ხელს თავადვე მისგან ასე მტკიცედ „დაგმობილ“ ე.წ. რუსულ პროპაგანდას.**

რაც შეეხება ამ „დიადი სიბრძნის“ იმ ნაწილს, რომ „რუსეთის აგენტის“ ეს „მზაკვრული ქმედება“ ემსახურება მიზანს — „რაც შეიძლება მძაფრად გაღვივდეს ქართულ მოსახლეობაში ანტიამერიკული განწყობები და მოხდეს ამერიკის, მისი საელჩოსა და მისი ელჩის დისკრედიტაცია“ — ამ ნაწილში მასაც და სხვა ყველა ტვინით კოჭლ ამერიკანელსაც აბსოლუტურად ვეთანხმები.

**ასეთი იდიოტური ქმედებები აუცილებლად გამოიწვევს და იწვევს კიდეც სრულიად სამართლიან ანტიამერიკულ განწყობებს საქართველოს მოსახლეობაში და სერიოზულ დისკრედიტაციას უწევს ამერიკულ ორგანიზაციებს და ინტერესებს ჩვენს ქვეყანაში...**

სხვათა შორის, **თუნდაც დავიჯეროთ ის სიდებილე, რომ ამერიკელებს თვითონ კი არ სურდათ, არამედ, „რუსეთის აგენტმა“ ასე მარტივად აიძულა ამერიკელები, სულხან წულაძე -„სპლიყვის“ დაკავება მოეთხოვათ, ხოლო „შნირმა“ ქართველმა სამართალდამცევლებმა მყისვე შეუსრულეს მოთხოვნა — ეს კიდევ უფრო მეტად იწვევს განცდას, რომ ამერიკელები მძიმე სიდებილით არიან დაავადებულნი, ხოლო ქართული ოფიციოზის წარმომადგენლები მათი გულისამრევი მონები არიან და მეტი არაფერი.**

ანუ, თუ ამ სიდებილის ავტორს ან მის სხვა მიმდევრებს ჰგონიათ, რადგან „რუსეთის აგენტს“ ახსენებენ, ეს რამეს შეცვლის, ძალიან ცდებიან. უფრო ზუსტად, კი არ ცდებიან, სწორედ საკუთარ „თავგაცხელებულობას“ უსვამენ ხაზს და ასეთ ტვინით ავადმყოფებს გულწრფელად ვურჩევდი, რომ, ვიდრე „თავცხელ ქართულ მოსახლეობაზე“ ტუტუცურ ბჟუტურს დაიწყებენ, საკუთარი რეგვენი თავების ტემპერატურა გაიზომონ ხოლმე...

დასკვნისთვის კი, შემიძლია ერთადერთი ვთქვა: აი, ასე დაიხვეწა ქართულ-ამერიკული დემოკრატია „ენვერიდან“ „სპლიყვამდე“. სპეცოპერაცია „სპლიყვი“ არანაკლები წარმატებით არის შესრულებული, ვიდრე სპეცოპერაცია „ენვერი“ თავის დროზე, როდესაც თურმე სამეგრელოს მივარდნილი სოფლიდან ჩამოსულ ვიღაც საცოდავ ტიპს ამერიკის საელჩოს 5-მეტრიანი ბეტონის ღობის ძირში მიგდებული 1 ცალი „ლიმონკით“ უნდა მოეხდინა მთელი საელჩოს, მისი კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებისა და დაცვის პოლიციის ლიკვიდაცია, განადგურება, ნგრევა და ათასი უბედურება...

დიახ! ნოყიერია ე.წ. რუსული პროპაგანდა საქართველოში, მაგრამ ამისთვის, როგორც ჩანს, „რუსეთის აგენტებს“ სულაც არ სჭირდებათ მილიონების დახარჯვა... ფაქტია, „რუსული ინტერესების“ ნიადაგის გასაპოხიერებლად ყველაზე ეფექტიანი ნაკელი თვით ამერიკის საელჩოში „ყრია“...

# ამერიკის ელჩმა «სიზმარას» დააპატიმრება ბრძანა

**ჩვენს ხელთ არსებული უსკანდალურესი ინფორმაციით, უკვე ფეხზე დგას საქართველოს პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, აგრეთვე, სასამართლო, რათა, როგორც კი იპოვიან ვინმე „სიზმარას“, სასწრაფოდ დააპატიმრონ და მიჰგვარონ ამერიკის ელჩს... უი, უკაცრავად, პატიმარსა და დამნაშავეს რა უნდა საელჩოში?! წაიყვანონ და ჩასვან ციხეში!**



საქმე ის არის, რომ **საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბატონი იან კელი, თურმე, ბოლო ხანს ფრიად უსიამოვნო სიზმრებმა შეაწუხა. კერძოდ, იგი გამუდმებით ხედავს, თურმე, ერთსა და იმავე სიზმარს — სპლიყვები მის გარშემო დაფრინავენ და ზოგი რუსული წარმოების ბალისტიკურ რაკეტას უმიზნებს, ზოგი — კალაშნიკოვის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს და ზოგიც — ჩვეულებრივ რუსულ „რაგატკას“.**

აი, ასეთი სიზმრებით იტანჯება ბატონი ელჩი, ყოველ ღამე შიშის ცახცახით ეღვიძება და განწირული ხმით ითხოვს შველას. მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველ ღამე ეახლებიან ხოლმე ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები და ფეხებს უთბილავენ, მაინც არაფერი შველის.

როგორც ჩვენი სანდო წყარო გვატყობინებს, იან კელი საპყრობილეშიც კი წაუყვანიათ, რათა საკუთარი თვალით ენახა და დარწმუნებულიყო, რომ საშიში ტერორისტი მეტსახელად „სპლიყვი“ დაპატიმრებულია და სასჯელს იხდის, მაგრამ ელჩი მაინც ვერ დაწყნარდა და კოშმარული სიზმრები დღემდე ტანჯავს.

როგორც ამბობენ, გამოსავალი თვითონ იან კელიმ იპოვა. მას ინტერნეტფორუმზე წაუკითხავს ერთი „იუზერის“ საჯარო პოსტი. „ხალხო, ხომ ვერ ამიხსნით, რა მჭირს, ამ ბოლო დროს სულ ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ, აქეთ — მოსკოვი, იქით — კრემლი, უკან კიდევ — პუტინები და, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდესო?“ — წერდა ინეტერნეტ-მომხმარებელი მეტსახელით „სიზმარა“.

ამის წაკითხვის შემდეგ **ელჩი კელი სასწრაფოდ დარეგისტრირებულა ფორუმზე (ვარაუდობენ, რომ მანამდეც იყო დარეგისტრირებული და არ ამხელდა) მეტსახელით „ნაკელი“ და „სიზმარასთვის“ მიუწერია, საწრაფოდ შენი სიზმარი უნდა მომცეო. რა თქმა უნდა, „სიზმარას“ ეს „ნაკელი“ ვიღაც შეშლილი ეგონა და დაუბლოკია.**

ჰოდა, ახლა გამოცხადებულია ძებნა „სიზმარაზე“, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა კანონით უნდა აუკრძალონ კრემლზე, პუტინსა და ოკუპანტებზე სიზმრის ნახვა და დაავალდებულონ, თავისი სიზმარი ელჩ კელის გადასცეს.

სხვათა შორის, თურმე ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ამერიკის ელჩს რისთვის სჭირდება სიზმარი, რომელშიც კრემლი და პუტინი ფიგურირებენ? ამაზე კელის ომახიანად გაუცია პასუხი: რას ამბობთ, პირიქით — ჩვენ ხომ უშიშარი ამერიკელები ვართ, სიზმარში ყოველ ღამე მტრის ნახვა კიდევ უფრო გამოაწრთობს ჩემს ნებისყოფას და, ისედაც გულადსა და გამბედავს, კიდევ უფრო შეუდრეკელს გამხდისო!

ამერიკის ელჩის ამ ფრაზაზე ქართველი ჟურნალისტები, სამართალდამცველები და კიდევ სხვა ტიპის “შნირები” მას ფეხზე წამოუდგნენ და ტაშით დაანგრიეს დარბაზი.

მხოლოდ ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა გაბედა და ჰკითხა ამერიკის ელჩს: **„ბატონო კელი, თუკი სპლიყვების გეშინიათ სიზმარში, რატომ გგონიათ, რომ პუტინის არ შეგეშინდებათ?“**

ამაზე ჩვენს წინდაუხედავ კორესპონდენტს სასწრაფოდ პირში ეცნენ ქართველი “შნირები” და დაამუნათეს, — როგორ ბედავ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩს ასეთ უხერხულ კითხვებს უსვამო, ახლავე შეწყვიტე ეს რუსული პროპაგანდა და კრემლის დავალებების შესრულებაო!

ჩვენს დაჩაგრულ კორესპონდენტსაც სხვა რა გზა ჰქონდა? „დემოკრატიულად“ ჩაიგდო ენა და თავჩაღუნული სასწრაფოდ გამოიქცა რედაქციაში, რათა, ამერიკული დემოკრატიული სტანდარტების მიხედვით, იქ მყოფ ქართველ სამართალდამცველებს ისიც სასწრაფოდ არ დაეპატიმრებინათ და დემოკრატიული განაჩენის მომლოდინე „სპლიყვის“ გვერდით არ მიესვათ.

**აჭუჭუ კაია**

# მაპის მიღებამდე ნატო და თინა «ფეისბუქზე» დამეგობრდნენ

**ბრიუსელი. დილის 8 საათი. დეკემბრის 25. ევროპა შობისთვის ემზადება. ქუჩაში ჟრიამულია. ავდარია — ქარი და თოვლი ერთმანეთში ერევა. „ნატოოოო, ნატოოოო!“ — ყრუდ ჩამესმა ქალის განწირული ყვირილი. „ნატოოოო, ნატოოოო!“ — მეორდება ამჯერად ქალის და კაცის ნაზავი ხმის ტონი.**

— მიდი, გახედე, ვინ არის, — მეუბნება ქალბატონი ნატო. გავიხედე, ქალი და მამაკაცი დგას, ორივეს სათვალე უკეთია, ვიცანი.

— თინა და დათო არიან, — ვეუბნები.

— უჰ, გააწყალეს გული რა! ადამიანი ერთხელ რომ უარს მეტყვის, მეორედ როგორ შევაწუხებ! — თქვა ჩემმა უფროსმა და მანიშნა, შემოიყვანეო. ფანჯრიდან ხელი დავუქნიე და გავძახე, ამოსულიყვნენ. კარგად ციოდა. ქალბატონი ნატო ბუხრის პირას იჯდა, მაყვლის ჯემს მიირთმევდა და ჩაფიქრებული მიშტერებოდა ერთ წერტილს. თინა და დათოც მოვიდნენ. ქალბატონი ნატო, რა თქმა უნდა, თავაზიანად დახვდა, ოთახში შეიპატიჟა და ყავის მიტანა მთხოვა, თვითონ კი თავის მოსაწესრიგებლად გავიდა. გარდა იმისა, რომ საშინაო საქმეები მევალება, სტენოგრამისტიც ვარ და ნებისმიერი ვიზიტის ჩანაწერს ვაკეთებ.

სტუმრებმა პალტოები გაიხადეს და მისაღებში დასხდნენ, ქალბატონი თინა კი ტელეფონში რაღაცას აკეთებდა. ბოლოს დავინახე, დაჩექინდა — Checked in NATO. ამასობაში ქალბატონი ნატოც გამოვიდა, კიდევ ერთხელ მიესალმა და მოიკითხა, ისე, როგორც პროტოკოლი ითვალისწინებს.

თინამ პარკიდან ბომბონერი და ბელგიური ვაფლი ამოიღო, — ეს თქვენ საჩუქრადო. ტკბილეული გავხსენი და მაგიდაზე დავაწყვე. დაიწყო დიალოგი, მეც დავიწყე სტენოგრამა.

**ნატო:** — აბა, როგორ ხართ, რა ხდება თქვენთან? გავიგე, ბატონი მეჭიაური და თოფაძე მებრძვიან.

თინას და დათოს სახეზე უხერხულმა ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ არ დაიბნენ და მიუგეს:

— მაგათ არავინ ეკითხება, ჩვენ ბატონმა ბიძინამ გამოგვგზავნა.

— კარგი, არა უშავს, ერთიორი მყვირალა თავი ყველგან გამოჩნდება ხოლმე. ერთი ის მითხარით, ვოვა რას ამბობს, გქონდათ კომუნიკაცია? როგორც ვიცი, დიდად არ სიამოვნებს ჩვენი კეთილი დამოკიდებულება.

— ვოვას სიტყვებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ხო იცით, სიმთვრალეში რას არ იტყვის კაცი...

— მოკლედ, ბევრი რომ არ მივკიბ-მოვკიბოთ, მეგობრებო, საქმე არცთუ მარტივად არის. **მესმის, ჩვენთან გსურთ ყოფნა და ჩვენც გიდასტურებთ პატივისცემას, აგერ კარიც ღია მქონდა, უბრალოდ, ამ ეტაპზე შემიძლია მხოლოდ „ფეისბუქზე“ დაგიმეგობროთ ან სკაიპში დაგამატოთ, განსაკუთრებულს ამ ეტაპზე ვერაფერს შემოგთავაზებთ. ვიმეგობროთ ვირტუალურ სივრცეში, დავაკვირდებით თქვენს აქტივობებს, ვნახავთ, რამდენი გალაიქებთ, გიკომენტარებთ, რას წერენ და ამის მერე ვიფიქრებთ სხვა, უფრო მაღალ ღირებულებებზე, ჰა? რას იტყვით? მგონი, მაპზე უკეთესი კი უნდა იყოს ჩვენი „ფეისბუქმეგობრობა“?** — უთხრა ქალბატონმა ნატომ.

— ჩვენთვის დიდი პატივია ის, რომ „ფეისბუქზე“ დავმეგობრდებით, ამით დავანახვებთ ჩვენ მტრებს, რომ მარტო არ ვართ. უბრალოდ, ერთი თხოვნა გვაქვს, როდესაც რამეს დავპოსტავთ, დაგვილაიქეთ ხოლმე, ვოვას თვალები რომ დავთხაროთ. ვიცით, ხშირად უყურებს ჩვენ პოსტებს და გვინდა, რომ დაინახოს.“ — მიუგო თინამ

— ოჰ, ეგ რა პრობლემაა! დაგილაიქებთ კი არა, აგერ ჩემი თანაშემწე იმდენ კომენტარს დაგიწერთ, ბევრს ჩვენი წევრი ეგონებით. მაგაზე არ იდარდოთ, თუ გინდათ, ყალბ ჩექინებსაც გავაკეთებთ, მიშას დროს ასე ვაკეთებდით ხოლმე და ხალხი გიჟდებოდა. ვოვა სულ გულზე სკდებოდა, ერთხელ დამირეკა კიდეც გაცოფებულმა, რა იცოდა, ყალბი რომ იყო. მოკლედ, არ არის პრობლემა, ჩვენ გიმატებთ მეგობრებში, გილაიქებთ, გიკომენტარებთ, აგერ ობამას „ფეისბუქის“ პაროლიც გვაქვს, ოლანდისაც და მერკელისაც, ეგენიც დაგილაიქებენ ხოლმე პოსტებს და მგონი, თქვენც არ იქნებით უკმაყოფილო“, — განუცხადა ქალბატონმა ნატომ.

— თქვენ გაიხარეთ, ქალბატონო ნატო“, — სიხარულის ხმა აღმოხდა უსუფაშვილს და ჩემს ქალბატონს ჩაეკონა.

— აბა, მითხარით, როგორ დაგამატოთ მეგობრებში“, — მიმართა სტუმრებს ნატომ.

— **თინატო**, — მიუგო ხიდაშელმა.

ქალბატონ ნატოს კეთილად ჩაეღიმა და უთხრა, აი მესმის მისწრაფებაო და თავზე ხელი გადაუსვა. გამოგიგზავნეთ მეგობრობა, თბილისში რომ ჩახვალთ, დაადასტურეთო. თინამ და დათომ დიდი მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ნატოს და სულ ჟივილ-ხივილით გამოვიდნენ ბინიდან. ჩემმა ქალბატონმა კი მაყვლის ჩაის მიტანა მთხოვა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის!“.

**ველქომ ოფენდორი**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალების ხელისუფლების პოლიტიკამ, ძალიან შეუწყო ხელი თურქეთის ინტერესების განხორციელებას საქართველოში. ეს მაშინ, როცა ასლან აბაშიძის პერიოდში ამ საკითხს ფრთხილად ეკიდებოდნენ. სააკაშვილის პერიოდში ბათუმში შემოდიოდნენ ყველა ჯურისა და კატეგორიის ადამიანები, მათ შორის ბევრი ავანტიურისტიც იყო. ეს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის თურქებს: ნორმალური სახელმწიფო ასეთებს ქვეყანაში არ გააჭაჭანებსო.**

### ჯემალ ფუტკარაძე:

# სააკაშვილი განსაკუთრებული მონდომებით ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას ჰემშილებს – გათურქებულ სომხებს

**ჯემალ ფუტკარაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად „ქართული ოცნების“ პროპორციული სიით აირჩიეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მან ეს ფრაქცია დატოვა.**

**— რატომ, ბატონო ჯემალ?**

— აჭარის უმაღლეს საბჭოში, რომელიც 21 წევრისგან შედგება, 13 დეპუტატი, ანუ უმრავლესობა კოალიციის წევრები ვიყავით. სამწუხაროდ, ეს უმრავლესობა დაიშალა და 2015 წელს, არჩევიდან ორი წლის თავზე, იძულებული შევიქენი, დამეტოვებინა „ქართული ოცნების“ რიგები. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები.

აღნიშნულ თემაზე საუბარი, გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, რადგან, ამ პრინციპული გადაწყვეტილების მიუხედავად, დავრჩი იმ იდეების ერთგული, რომლებითაც 2012 წელს წარვდექით ამომრჩევლების წინაშე.

**პასუხისმგებლობა იმ დაპირებების შესრულებაზე, რომლებიც ხალხს მივეცით და ვერ სრულდებოდა, ეტყობა, მე უფრო მეტი აღმომაჩნდა, ვიდრე სხვებს, და ასეთ ვითარებაში ჩემ მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა ლოგიკური იყო.**

ვერ ვიტყვი, რომ არაფერი გაკეთდა ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად, სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ უფრო მეტი რჩებოდა გასაკეთებელი. ამას ყოველთვის ხმამაღლა ვეუბნებოდი როგორც რეგიონის ხელმძღვანელობას, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას, პრინციპულად ვაყენებდი საკითხებს, მაგრამ **ჩემი აქტივობა ზოგიერთს ამბიციურ ქმედებად მოეჩვენა და დამიპირისპირდა კიდეც.** არ მინდოდა, ეს საკითხები შიდაპარტიულ ჩარჩოებს გასცდენოდა, ვილაპარაკეთ კიდეც არაერთხელ პოლიტსაბჭოს სხდომაზე. ჩემი მთავარი მოთხოვნა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ქმედუნარიანობის ამაღლება იყო. გადავდგით კიდეც გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, მაგრამ არასაკმარისად მიმაჩნდა.

**ეს ჩაგვითვალეს ამბიციად და არასწორ ქმედებად.**

**— სეპარატიზმის გამოვლენად?**

— შეიძლება ასეც მოინათლოს, მაგრამ სეპარატიზმთან საერთო არაფერი აქვს. იმთავითვე მიგვაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია: მუნიციპალიტეტის დონის საკითხები მუნიციპალიტეტს უნდა გადაეწყვიტა, რეგიონისა — რეგიონს, სოფლის საჭიროებისთვის ადგილობრივ საკრებულოს უნდა ეზრუნა. ეს, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაციისთვის. მხოლოდ ასე შეიძლებოდა იმ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ფორმალურ წარმონაქმნად წარმოგვიდგებოდა, რადგან, ცენტრიდან წამოსული დირექტივების შესრულების გარდა, დამოუკიდებლად საკითხების გადაწყვეტის სხვა უფლება არ გააჩნდა.

ვფიქრობდი და ვაცხადებდი, რომ, თუ რეგიონში რაიმე პრობლემა წამოიჭრებოდა, უწინარეს ყოვლისა, ავტონომიური მნიშვნელობის, იგი ადგილობრივ უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები — მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებულად.

ჩვენს პრაქტიკაში ასეთი მიდგომა უცხო იყო: ყველა წვრილმანზე თბილისის დირექტივას უნდა დავლოდებოდით, რაც დაგმობილ კომუნისტურ ცენტრალიზაციას ნიშნავდა.

**— შეგიძლიათ, მაგალითი დაასახელოთ?**

— ამის დამადასტურებელი მაგალითი ბევრია. მე მხოლოდ ერთს დაგისახელებთ, რომელიც ბათუმის ისტორიულ ბულვარის მიმართ წამოიჭრა.

**ვიღაცას გაუჩნდა ინტერესი, აჭაური ინფრასტრუქტურა თავისი ინტერესებისთვის მოერგო. ასეთი მცდელობა ჩვენს ქალაქს არ აკლდა — გარკვეული ჯგუფები ბათუმს უყურებდნენ, როგორც მსუყე ლუკმას, როგორც შემოსავლის წყაროს თავიანთი ბიზნესისთვის. ჩვენი ისტორია და ადგილობრივი ტრადიციები აბსოლუტურად იგნორირებული იყო.**



**«ავტონომიურ რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებები. სხვა თუ არაფერი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აჭარის მაგალითზე უნდა დავანახვოთ, როგორ გვესახება სუვერენულ სახელმწიფოებში ავტონომიის ფუნქციონირება»**

ამჯერადაც **მოინდომეს სასეირნო ხეივნის ნაცვლად მაღაზიების, გასართობი ცენტრების და ა.შ. აშენება. ამით ბათუმის ისტორიული გული სრულად კარგავდა თავის სახეს და ტრადიციულ დანიშნულებას. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ თქვენი გაზეთის მკითხველებს შევახსენებ, რომ ბათუმის ბულვარი უნიკალურია და შავი ზღვის სანაპიროზე მისი მსგავსი არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არსებობს.**

ეს გამორჩეულობა ეკარგებოდა ჩვენს ქალაქს.

ასეთი პერსპექტივა არ ადარდებდა არც რეგიონის ხელმძღვანელობას, არც ქვეყნის სათავეში მდგარ ადამიანებს. პირიქით, „ვიღაც“ ფრიად იყო დაინტერესებული თავისი კერძო გეგმებიდან გამომდინარე.

როგორც იქნა, ჩვენი გავიტანეთ და 7 მარტს ბატონმა ხაბაძემ აჭარის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ბულვარის ტრადიციული სახე შენარჩუნებულ იქნება.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია.

ახლა სხვასაც მოგახსენებთ იმ კომიტეტის პრაქტიკიდან, რომელსაც ვხელმძღვანელობ აჭარის უმაღლეს საბჭოში და რომლის საკურატორო დარგებია ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები.

საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის პირველივე დღეებში დავრწმუნდი, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ერთგვარად უფუნქციო წარმონაქმნია, რომელიც განახორციელებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამებს, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთადერთი ფუნქციაა. ამასთანავე, მას უფლება არ აქვს, გააკონტროლოს ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურების ხარისხი. არ შეუძლია, ვთქვათ, ექიმსა და პაციენტს შორის წარმოქმნილ კონფლიქტზე პრაქტიკული რეაგირება, მით უფრო, გადაწყვეტილების მიღება: ექიმის მომსახურებით უკმაყოფილო პაციენტმა უნდა მიმართოს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, რადგან აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დარგის სამინისტროსგან რაიმე შედეგის მიღება ამაო მცდელობა იქნება. **ფარმაცევტული მომსახურება ჩვენთანაც და ქვეყანაშიც წამლებით ვაჭრობაზეა გადასული, ფარმაციას თავისი უმთავრესი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს კი არავითარი ბერკეტი არ გააჩნია თავის საკურატორო ტერიტორიაზე მოაწესრიგოს ეს პრობლემა.** აღარაფერს ვამბობ პრობლემაზე, როცა ადგილობრივ მოკლებული ვართ ქვეყანაში შემოტანილი სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხისა და ეფექტიანობის შემოწმების უფლებას.

ჩვენი ეს წინადადება დახვეწილი სახით წარვუდგინეთ აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მას მხარი. წესისამებრ, ეს გადაწყვეტილება გავუგზავნეთ საქართველოს პარლამენტს და მოვითხოვეთ, რომ საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შეეტანათ ცვლილება, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროს აჭარის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის შემოწმების უფლება მიეცემოდა.

**— მიიღეს თქვენი წინადადება?**

— არა. წინააღმდეგი წავიდნენ. რის გამოც, ჩემდა სამწუხაროდ, მომიწია ამ კანონპროექტის გამოწვევა.

**ანალოგიური ვითარებაა განათლების სფეროშიც. აჭარის განათლების მინისტრს (განათლება, კულტურა, სპორტი ერთობლივადაა წარმოდგენილი) რომელიმე შორეულ სოფელში, მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ ბაკიბაკოში, სკოლის დირექტორის არც დანიშვნა შეუძლია და არც გათავისუფლება. არადა, ჰყავს ოთხი მოადგილე, თანამშრომელთა სერიოზული აპარატი...**

**— და რჩება პარაზიტულ წარმონაქმნად სახელმწიფოს მმართველობის სხეულზე.**

— ავტონომიურ რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებები. სხვა თუ არაფერი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აჭარის მაგალითზე უნდა დავანახვოთ, როგორ გვესახება სუვერენულ სახელმწიფოებში ავტონომიის ფუნქციონირება. დემოკრატიის ერთგვარ მოდელად უნდა ვაქციოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობისა და ურთიერთშემავსებლობის პრაქტიკულ ნიმუშად.

**— პირდაპირ მითხარით, პროტესტის იმ ფორმამ, თქვენ რომ განახორციელეთ, გამოიღო სასარგებლო ნაყოფი?**

— მხოლოდ ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა უმრავლესობა აჭარის უმაღლეს საბჭოში.

**— ე. ი., როცა საქართველოს პარლამენტი სათანადოდ ვერ აანალიზებს და ვერ აფასებს რეგიონების მიერ დაყენებულ წინადადებებს, საპარლამენტო უმრავლესობას ეს ადგილებზე გავლენის დაკარგვად უჯდება?**

— ასე გამოდის. გვაკარგვინებს იმ ტემპს, რომელიც არჩევნების წინ მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებების შესასრულებლად გვქონდა აღებული, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნოდ გარკვეულ უარყოფით ფონს ქმნის მმართველი კოალიციისთვის.

**— თურქეთის ექსპანსიის თემა, რომელიც დეპუტატმა გოგი თოფაძემ წამოჭრა, საქართველოს პარ-** ▶

მსოფლიო



## ჯორჯ სოროსი: ევროკავშირი სასიკვდილო საფრთხეშია

**მილიარდერი ბიზნესმენის — ჯორჯ სოროსის განცხადებით, ევროკავშირს მიგრანტთა კრიზისის გამო „სასიკვდილო საფრთხე“ ემუქრება, თუ იგი მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს არ გამონახავს კრიზისის მოსაგვარებლად. სოროსის თქმით, კრიზისის დასაძლევად ევროკავშირს წელიწადში, სულ ცოტა, 34 მილიარდი დოლარის გამოყოფა დასჭირდება.**

„ევროკავშირის ლიდერებმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ და გაიღონ დიდი თანხა კრიზისის მოსაგვარებლად, რაც უფრო დაგვიანდება თანხების გამოყოფა, მით უფრო გაიზრდება კოლაფსის რისკი. ყოველწლიურად 300-500 ათასი მიგრანტის მიღება ოპტიმალურია ევროპისთვის, ამ მიზნის განხორციელებას 30 მილიარდი ევრო დასჭირდება ყოველწლიურად. ეს დიდი თანხა ჩანს, მაგრამ საჭიროება კიდევ უფრო მეტია“, — წერს სოროსი.



# მწვავე რეაქცია და დაპირისპირება რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე რეალურ კონტურებს იძენს, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს პრობლემა კანონის ჩარჩოებში, თანასწორობის პრინციპით გადავწყვიტოთ.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ლამენტში მწვავე დებატების მიზეზი გახდა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?**

— თურქეთთან მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მტრობასა და დაპირისპირებაზე უმჯობესია, მაგრამ საგარეო პოლიტიკა ამ მიმართულებით დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით უნდა განხორციელდეს. ამას გვიკარნახებს აჭარაში და, უპირველეს ყოვლისა, ბათუმში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ვითარება და, მეორე, — დღევანდელ ეტაპზე რუსეთსა და თურქეთს შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა.

ნაციონალების ხელისუფლების პოლიტიკამ, პირდაპირ გეტყვით, ძალიან შეუწყო ხელი თურქეთის ინტერესების განხორციელებას საქართველოში. ეს მაშინ, როცა ასლან აბაშიძის პერიოდში ამ საკითხს ფრთხილად ეკიდებოდნენ.

— **ნაცების მმართველობის პერიოდში თურქებისთვის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მიცემა სააკაშვილს ჰობად ექცა.**

— **იმ პერიოდში ბათუმში შემოდიოდნენ ყველა ჯურისა და კატეგორიის ადამიანები, მათ შორის ბევრი ავანტიურისტიც იყო. ეს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის თურქებს: ნორმალური სახელმწიფო ასეთებს ქვეყანაში არ გააჭაჭანებსო.**

ჩემი და — **შუშანა ფუტკარაძე**, ერთ-ერთი პირველი იყო ნიკო მარის შემდეგ, რომელიც „თურქეთის საქართველოს“ სამეცნიერო მიზნით ეწვია. სხვათა შორის, ტერმინი „ჩვენებურები“ პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ არის დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სასაუბრო ენაში. სწორედ ჩვენებურებთან იყო ჩასატარებელი მნიშვნელოვანი სამუშაო, ქართული თვითმყოფადობისა და ქართული ცნობიერების შენარჩუნება-გაღვივებისთვის. ეს ერთი; მეორე — ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მათ ჩასართავად და არა გარკვეული ჯგუფების კერძო ინტერესების განხორციელებისთვის ხელშესაწყობად.

— **მათ, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა სააკაშვილმა, როგორც ამბობენ, ქართულ ფესვებთან არავითარი კავშირი არ აქვთ...**

— ბევრი მკვლევარი და არა მხოლოდ ისინი, საქვეყნოდ მიიჩნევს მათ ქართულ წარმომავლობას. მათ თურქეთში ჩასული ჩვენი ყოფილი დიდმოხელეებისთვის მასპინძლობის გაწევის საპასუხოდ ჰპირდებოდნენ საქართველოს მოქალაქეობას და (ტელევიზიით ნანახი გექნებათ) ურიგებდნენ საქართველოს პასპორტებს.

— **თავისთავად ჩნდება ასოციაცია პარტიაში ლენინურ მასობრივ გაწევასთან...**

— ნიშანდობლივი პარალელია... საკმაოდ ახლო შეხება მაქვს თურქეთში ქართულ დიასპორასთან, ქართველობით სულანთებულ ჩვენებურებთან, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

— **სააკაშვილის სიმპათია მათზე არ გავრცელდა.**

— დიახ. **თურქეთი, მოგეხსენებათ, მრავალეროვანი ქვეყანაა — არიან სომხებიც, ქურთებიც, ჰემშილებიც — გათურქებული სომხებიც, რომლებსაც სააკაშვილი განსაკუთრებული მონდომებით ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას. ამ საკითხს უნდა მიხედოს ჩვენმა ხელისუფლებამ.**

კიდევ ერთი.

ამას წინათ პრეზიდენტყოფილი ტელევიზიით გამოდიოდა და ტრაბახობდა, როგორ გაიზარდა ბათუმში მცხოვრებთა რაოდენობა მისი პოლიტიკის წყალობით, რომელმაც მიიზიდა ხალხი, როგორც პერსპექტიულმა კურორტმა.

— **ბათუმის ნიუ ვასიუკივით აყვავებას გვპირდებოდა... ასიათასობით სამუშაო ადგილის შექმნას.**

— ქალაქის მოსახლეობის გაზრდაც მაგ ოპერიდანაა: სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, **ბათუმს შემოუერთეს მიმდებარე რაიონების სოფლები. იმ სოფლებს ქალაქისა არაფერი დატყობია, პირიქით: „გაზრდილ-გაფართოებული“ ბათუმის ქუჩებში, ინდოეთის არ იყოს, ძროხები დასეირნობენ.**

მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ეს სიმახინჯე — სოფელი სოფლად უნდა დარჩეს. გაუგებარია, რატომ აქამდე არ დაუბრუნეს ეს სოფლები რაიონებს კუთვნილებისამებრ.

— **უთუოდ მიაქცევდით ყურადღებას, რომ ქართულ პრესაში დაუფარავად იწერება ბათუმში თურქული ექსპანსიის შესახებ. ადგილობრივ მოსახლეობას რა რეაქცია აქვს ამ რეალობისადმი?**

— ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს ის, რომ მას ბიზნესის წამოსაწყებად და გასაძლოლად არ აქვს იგივე პრიორიტეტები, რომლებითაც თურქეთიდან ჩამოსულები სარგებლობენ. ასეთი დისპროპორცია ყოფილი ხელისუფლებისგან მოდის. ამ პრობლემის მოგვარებას წინ რა უდგას, ვერ გამიგია.

**როცა გაჭირვებულ-გაღატაკებული ადგილობრივები მშობლიური ქალაქის ქუჩებში მომრავლებული, ხშირად საეჭვო დანიშნულების თურქული „ობიექტებიდან“ ისმენენ მხოლოდ აღმოსავლურ მუსიკას, მხოლოდ თურქულ საუბარს, რა თქმა უნდა, ღიზიანდებიან. მწვავე რეაქცია და დაპირისპირება რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე რეალურ კონტურებს იძენს, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს პრობლემა კანონის ჩარჩოებში, თანასწორობის პრინციპით გადავწყვიტოთ.**

დღეს კი ვითარება სახიფათოა და ამის დაუნახაობა დანაშაულია.

— **თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობის ეჭვქვეშ დაყენება გამორიცხულია, მაგრამ რუსეთ-თურქეთის მწვავე დაპირისპირების ფონზე როგორ გესახებათ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ განსახორციელებელი პოლიტიკა აჭარაში, რომელიც თურქეთთან უშუალოდ მოსაზღვრე რეგიონია?**

— ერთმა ჩემმა თურქმა მეგობარმა, რომელსაც რუსეთში დიდი სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ სანქციების დაწესების შედეგად იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა საქმიანობა, თქვა ასეთი რამ: თუ თქვენ რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებთ (მოგეხსენებათ, დღეს ამ მხრივ ჩვენთან დათბობის პერიოდია დაწყებული), შეიძლება ამან ჩვენი მდგომარეობაც გამოასწოროსო. საქართველომ შეიძლება ერთგვარი მედიატორის როლიც კი იტვირთოს ამ სიტუაციაში. **რუსეთსაც და თურქეთსაც საქართველოში თავიანთი ინტერესები აქვთ, და ჩვენ ჭკვიანური პოლიტიკით შეგვიძლია ამ ურთულესი საქმის მოგვარებაში პოზიტიური წვლილის შეტანა.**

ესეც არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიული მისია დროის მოცემულ მონაკვეთში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



საააკაშვილმა თურქეთში იქაური ქუდი რომ დაიხურა, თავის თავს დაემსგავსა

**«მათ თურქეთში ჩასული ჩვენი ყოფილი დიდმოხელეებისთვის მასპინძლობის გაწევის საპასუხოდ ჰპირდებოდნენ საქართველოს მოქალაქეობას და ურიგებდნენ საქართველოს პასპორტებს»**

**«აჭარის განათლების მინისტრს (განათლება, კულტურა, სპორტი ერთობლივადაა წარმოდგენილი) რომელიმე შორეულ სოფელში, მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ ბაკიბაკოში, სკოლის დირექტორის არც დანიშვნა შეუძლია და არც გათავისუფლება. არადა, ჰყავს ოთხი მოადგილე, თანამშრომელთა სერიოზული აპარატი...»**

## ვინ აირჩიონ ამერიკელებმა? პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ომის გამჩაღებელია!

**მშვიდობის მიღწევა პოლიტიკოსების გარეშეც შეიძლება, — წერს „ანტივარ.კომ“-ი.**

რა მოხდება, თუკი პრეზიდენტობის კანდიდატი პოლიტიკური მიტინგის მოწყობას განიზრახავს, მაგრამ არავინ მივა? რა მოხდება, თუ მთავრობა არჩევნებს დანიშნავს, მაგრამ ხმის მისაცემად არავინ მივა? რა მოხდება, თუ მთავრობა ომს დაიწყებს, მაგრამ მასში მონაწილეობაზე ყველა უარს იტყვის?

ბევრი ადამიანი უფრთხის **ჰილარი კლინტონს.** განა ამისთვის შეიძლება მათი გაკიცხვა? **სახელმწიფო მდივნის რანგში, „ქალის კოსტიუმში გამოწყობილი დიკ ჩეინი“, ბებიაქალი იყო უამრავი კატასტროფისა, რომლებიც დღესაც იწვევს მსოფლიოში ქაოსსა და სისხლისღვრას.** ომის მოწინააღმდეგე ბევრი ამომრჩევლის ყურადღება მიპყრობილია **ბერნი სანდერსისკენ.** სხვები იმაზე ფიქრობენ, როგორ ჩამოართვან ნეოკონსერვატორებს ძალაუფლება. მათ უნდა გავუგოთ. ჩვენი გეოპოლიტიკური უბედურების ფესვები უნდა ვეძებოთ იმ პერიოდში, როცა ბუში-უმცროსის ადმინისტრაციაში მოკალათებულმა ნეოკონსერვატორებმა აამუშავეს ახლო აღმოსავლეთის გადაკეთების გეგმა. დღეს ომის წინააღმდეგ განწყობილი მემარჯვენე თვალსაზრისის მქონე ადამიანებს იმედი აქვთ, რომ **დონალდ ტრამპი** ნეოკონსერვატორების განადგურებას მოახერხებს, მაგრამ ეს განა საუკეთესო გამოსავალია?

ბერნი სანდერსი ზომიერი ინტერვენციონისტია, რომელიც დიდად არ არის დაინტერესებული საგარეო პოლიტიკით. ნუთუ ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებისთვის მისაღები იქნება მისი კანდიდატურა მხოლოდ იმიტომ, რომ დაუპირისპირდეს კლინტონის ჰიპერინტერვენციონისტულ პოლიტიკას?

სინამდვილეში **დონალდ ტრამპი ბევრ რესპუბლიკელზე მეტი ქორია, როცა ლაპარაკია წამების გამოყენებაზე, სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, მსხვერპლზე მშვიდობიან მოსახლეობაში და ნავთობის საფასურის სისხლით გადახდაზე. ღირს კი ასეთი ადამიანის არჩევა ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ლიდერად?**

არჩევნების დღეს რაც უფრო ნაკლები ადამიანი ჩადგება რიგში იმისთვის, რომ მორჩილად მისცეს ხმა იმპერატორს, რომელიც ასარჩევად მიისწრაფვის, და რაც მეტი ადამიანი დაგმობს იმპერიას, მით უკეთესი იქნება მსოფლიოში მშვიდობის პერსპექტივა.

მოკლედ

## «ისლამურმა სახელმწიფომ» ნინევიის კარიბჭე გაანადგურა

**ე. წ. ისლამურმა სახელმწიფომ ერაყის ქალაქ მოსულის სიახლოვეს უძველესი არქიტექტურული ნაგებობა გაანადგურა.**

მაშკის ჭიშკარი, რომელსაც ღმერთის კარიბჭესაც უწოდებენ, ერთ-ერთი იყო იმ უზარმაზარ კარიბჭეთაგან, რომელიც ასურეთის უძველეს ქალაქ ნინევიას იცავდა.

ნინევია ძვ. წ.აღ. VII საუკუნით თარიღდება და იგი ბიბლიაშიცაა მოხსენიებული; იმ დროისათვის ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო.

ეს აქტი ამ დროისთვის ბოლო ინციდენტია იმ კულტურული ვანდალიზმის კამპანიისა, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია დაპყრობილ ტერიტორიაზე აწარმოებს.



ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ელტონ ჯონის ქმარმა, რეჟისორმა ფერნიშმა მუსიკოსი „ცოლის“ ფულით ლონდონში ბინა უყიდა თავის 33 წლის საყვარელს, ფიტნესის მწვრთნელ დენი უილიამსს.**

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ბრიტანეთის განათლების სამინისტრომ 13 წლის ბავშვების სექსი «ნორმად» აღიარა

**ბრიტანეთის განათლების სამინისტროს ინსტრუქციამ, რომლის თანახმადაც, 13 წლის მოზარდისთვის სექსი „უსაფრთხოდ, ჯანმრთელად და ზრდასრულობის ნაწილად“ უნდა ჩაითვალოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღშფოთება გამოიწვია.**






როგორც გაირკვა, მთავრობის მიერ ბრიტანელებისთვის შეთავაზებული პროგრამის მიხედვით, 13 წლის მოზარდისთვის, ურთიერთთანხმობის შემთხვევაში, სექსი დასაშვებია.

13-17 წლის მოზარდების ქცევები, საგზაო მოძრაობის წესების მსგავსად, აღწერილია პროგრამა „შუქნიშანის“ ქვეთავებში — „წითელი“, „ყვითელი“, „მწვანე,“ რომლებიც ბავშვებს მასწავლებლებმა უნდა აუხსნან.

13-17 წლის ბრიტანელი ბავშვებისთვის ნორმალურ საქციელად ითვლება პორნოფილმებით დაინტერესება, სექსზე საუბარი, მათ შორის, ინტერნეტშიც, აგრეთვე, ორალური და ჩვეულებრივი სექსი მისივე ან საწინააღმდეგო სქესის პარტნიორთან, თუ ისიც თანახმაა. ე.წ. მწვანე საქციელი უნდა შეესაბამებოდეს „უსაფრთხო და ჯანმრთელ სქესობრივ განვითარებას“.

9-დან 13 წლის ბავშვებისთვის „მწვანე საქციელი“ გულისხმობს „მასტურბაციას“ და საუბარს სექსზე.

განათლების საკითხების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის — **გრემ სტიუარტის** განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ 13 წლის მოზარდებში სექსუალური ურთიერთობა შეიძლება ჩვეულებრივ ამბად ჩაითვალოს, ეს იდეა (განათლების სამინისტროს ახალი ინსტრუქცია — ს.კ.) მავნე და სახიფათოა, რადგან საფუძველს უყრის პრაქტიკას, რომელიც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ახალგაზრდებისთვის.

ოჯახური განათლების საკითხების საზოგადოების წარმომადგენელმა **სარა კარტერმა** განაცხადა, რომ 13 წლის მოზარდების სექსუალური ურთიერთობა ურთიერთანხმობით, რომელიც ინსტრუქციაში მოხსენიებულია, როგორც „ნორმალური“, არღვევს ქვეყნის კანონს, რომელიც 16 წლამდე ადამიანს უკრძალავს სექსუალურ ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ამისთვის მომწიფებული. პროგრამა „შუქნიშნის“ შემქმნელი **ჯო ჰეიმანი** კი ამტკიცებს, რომ „ამ საგნის სწავლება გამოწვეულია იმ რეალობით, რომელშიც ბავშვებს უწევთ ცხოვრება და ამიტომ მათ კარგად მომზადებულმა მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ“.

## ინგლისსა და უელსში ქალების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების სარეკორდო რაოდენობა აღინიშნა

**გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წელს ინგლისსა და უელსში გაასამართლეს 78 773 პირი, რომლებმაც ქალებზე იძალადეს.** სულ განხილული იყო 107100 საქმე, რომლებიც ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობას ეხებოდა — 18,3 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით. ბრალდებულთა უმრავლესობა 25-დან 59 წლამდე მამაკაცია (59%), 18-დან 24 წლამდე მამაკაცების მიერ ჩადენილია დანაშაულთა 21%, 56 მსჯავრდებული კი 10-13 წლის ბავშვია.

# სერ ელტონ ჯონს ქმარი ღალატობს

**68 წლის ბრიტანელი მომღერალი ელტონ ჯონი და 53 წლის კანადელი რეჟისორი დევიდ ფერნიში, უკვე 20 წელია, ერთად ცხოვრობენ. 2005 წელს წყვილმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაცია, ხოლო ორი წლის წინათ ქორწილიც გადაიხადა.**



სახლი, რომელიც ელტონ ჯონის ქმარმა თავის ახალ საყვარელს უყიდა ლონდონში



ელტონ ჯონი და დევიდ ფერნიში



დევიდ ფერნიში და მისი ახალი სატრფო

ჰომოსექსუალი წყვილი სუროგატი დედის მიერ გაჩენილ ორ შვილს ზრდის. რამდენიმე დღის წინათ ბრიტანელმა გამოცემა „დეილი მეილმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკია დევით ფერნიშის ახალ რომანზე ფიტნესის მწვრთნელთან, რომელსაც ელტონ ჯონის ფულით ინახავს.

**როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ელტონ ჯონის ქმარმა, რეჟისორმა ფერნიშმა მუსიკოსი „ცოლის“ ფულით ლონდონში ბინა უყიდა თავის 33 წლის საყვარელს, ფიტნესის მწვრთნელ დენი უილიამსს.** ჰომოსექსუალმა სერმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ წყნარი ოჯახური ცხოვრება სურს და ამის გამო აპირებს, კარიერა შეწყვიტოს. მომღერალმა ხაზი გაუსვა, მას სურს, ბავშვები — 5 წლის ზაქარია და 3 წლის ელაიჯი შოუბიზნესს არ გააკაროს და მათი ნორმალური ბავშვობა უზრუნველყოს.

**რუსეთის საზღვაო ავიაციის ბალტიის ზღვის ფლოტის ბომბდამშენებმა ორჯერ შემოუფრინეს ხომალდს, როგორც ამერიკელები ამტკიცებენ, ზღვის დონიდან 30 მეტრის სიმაღლეზე და 900 მეტრის დაშორებით. ამ მომენტში „დონალდ კუკის“ ბორტზე პოლონეთის ვერტმფრენი საწვრთნელ მისიას ასრულებდა, მაგრამ რუსეთის თვითმფრინავების გამოჩენის შემდეგ ხომალდზე პანიკა ატყდა და პოლონურ-ამერიკული სწავლება ჩაიშალა.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დონალდ კუკი» კვლავ დაცინვის ობიექტია

**2 წლის წინანდელი კურიოზული შემთხვევის შემდეგ, როცა რუსული თვითმფრინავის მიერ შეშინებულმა ამერიკელმა მეზღვაურებმა უარი თქვეს ფლოტში მსახურების გაგრძელებაზე, სამხედრო ხომალდი „დონალდ კუკი“ კვლავ იქცა დაცინვის ობიექტად. რამდენიმე დღის წინათ ხომალდი პოლონეთის ნაპირებს მიადგა, რათა, როგორც პოლონეთში აშშ-ის საელჩოს სამხედრო ატაშემ ტომას კირსტედმა განაცხადა, „ეჩვენებინა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების უნარები ზღვაზე მუშაობისას“.**



„დონალდ კუკი“ მონაწილეობას გეგმავდა ნატოს სწავლებაში („ატლანტიკური გაბედულება“) ბალტიის ზღვაზე, მაგრამ ბალტიის ზღვის საერთაშორისო წყლებში შესული ხომალდის ეკიპაჟს დეჟავიუ დაემართა: **რუსეთის საზღვაო ავიაციის ბალტიის ზღვის ფლოტის ბომბდამშენებმა ორჯერ შემოუფრინეს ხომალდს, როგორც ამერიკელები ამტკიცებენ, ზღვის დონიდან 30 მეტრის სიმაღლეზე და 900 მეტრის დაშორებით.**

**ამ მომენტში „დონალდ კუკის“ ბორტზე პოლონეთის ვერტმფრენი საწვრთნელ მისიას ასრულებდა, მაგრამ რუსეთის თვითმფრინავების გამოჩენის შემდეგ ხომალდზე პანიკა ატყდა და პოლონურ-ამერიკული სწავლება ჩაიშალა.**

ევროპაში აშშ-ის ჯარების სარდლობამ 14 აპრილს განაცხადა, რომ „რუსული ბომბდამშენები ორი დღის განმავლობაში სახიფათოდ ახლოს დაფრინავდნენ რაკეტმზიდი „დონალდ კუკის“ თავზე, რომელიც ბალტიის ზღვის საერთაშორისო წყლებში გამართულ სწავლებაში მონაწილეობდა. პირველი ინციდენტი მოხდა 11 აპრილს, როდესაც „სუ-24“-მა ხომალდს ძალიან ახლოს ჩაუფრინა, მეორე დღეს გემთან ახლოს ფრენდნენ რუსული თვითმფრინავები და ვერტმფრენი „კა-27“.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ამერიკას ჰქონდა რუსულ „სუ-24“-ის ჩამოგდების უფლება.

„რუსული თვითმფრინავების „დონალდ კუკთან“ ძალიან მიახლოება ამერიკელი სამხედროების მოგონილია. რუსმა მფრინავებმა პროფესიონალურად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა — მიზნის პოვნა და იდენტიფიცირება. შესაბამისად, ყველა პროცედურა შესრულდა ისე, როგორც საჭირო იყო და **ჩვენს თვითმფრინავებს ამერიკული ხომალდისთვის ხიფათი არ შეუქმნიათ. რაც შეეხება ამერიკელთა ისტერიკულ რეაქციას, ისინი მიჩვეულნი არ არიან, რომ უცხო სახელმწიფოების თვითმფრინავები მათ სამხედრო ხომალდებს გარს უვლიდნენ, ისინი მიჩვეულნი არიან ბატონობას და „დემოკრატიის“ დამკვიდრებას. აქ კი, რუსეთის სანაპიროსთან, მათ რუსეთის შეიარაღებული ძალების ძლიერება დაინახეს.** ჩანს, ამან ამერიკელებზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. ადრე „დონალდ კუკი“ შავ ზღვაშიც იმყოფებოდა, საიდანაც შერცხვენილი გაიქცა, რის შემდეგაც ხომალდი რამდენიმე ათეულმა მეზღვაურმა დატოვა. ამერიკელები უნდა მიეჩვიონ, რომ, თუ რუსეთის საზღვრებს მოუახლოვდებიან, ჩვენი რეაგირება სიტუაციის შესაბამისი იქნება. ჩვენ კი სრული უფლება გვაქვს, ვიფრინოთ ნეიტრალურ წყლებში და მფრინავებმა დასახული ამოცანები შეასრულონ. პილოტები მკაფიოდ, სუფთად და თვითდაჯერებულად მოქმედებდნენ, ამიტომ ამერიკელთა ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა“, — განაცხადა სამხედრო ექსპერტმა, ჟურნალ „ნაციონალნაია ობორონას“ მთავარმა რედაქტორმა **იგორ კოროტჩენკომ.**

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აპრილში, როცა „დონალდ კუკი“ ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპიროსთან ცურავდა, მის თავზე რუსული „სუ-24“ საათ-ნახევრის განმავლობაში დაფრინავდა — შეტევის იმიტაციას ახორციელებდა. ამის შემდეგ, როგორც მედიასაშუალებები იუწყებოდნენ, „დონალდ კუკის“ 27-მა მეზღვაურმა დაწერა რაპორტი ფლოტიდან გათავისუფლებაზე.

ცხადია, რომ „დონალდ კუკის“ თავზე ფრენა რუსების პროპაგანდისტული მანევრია. უფრო მეტიც, წელს რუსებმა „კუკის“ ეკიპაჟი უკვე მეორედ ააფორიაქეს. პირველი ასეთი ინციდენტი მოხდა, როცა ამერიკულმა ხომალდმა პოლონეთის საზღვარი გადაკვეთა და გდინიაში შევიდა. ვიდრე ამერიკული ხომალდი ბუქსირით პორტში შეჰყავდათ, რუსებმა კალინინგრადიდან დაანახვეს მათ, რა შეუძლია სადესანტო ხომალდ „მორდოვიას“ — ჯერ ამ ხომალდის 30 მმ-იანი ქვემეხებიდან გაისროლეს, შემდეგ კი სანაპიროზე დესანტი გადასხეს.

რუსეთის ბალტიის ფლოტის საზღვაო ავიაციის წარმომადგენლები პირველად არ იჩენენ საზრიანობას და მახვილგონიერებას. 2015 წლის ზაფხულში ბალტიის ზღვაზე წვრთნის მიმდინარეობისას რუსმა მეზღვაურებმა სასწავლო ავიაბომბებზე მარკერით დააწერეს „ბერლინზე!“, „სტალინისთვის!“.

**„დონალდ კუკის“ ტექნიკური მახასიათებლები:**

„დონალდ კუკი“ — ეს არის აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის 22-ე ესკადრის საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც აღჭურვილია „არლი ბიორკის“ ტიპის სამართავი რაკეტებით. ექსპლუატაციაშია 1998 წლის 21 აგვისტოდან.

* **წყალწყვა — 8915 ტ**
* **სიგრძე — 153,9 მ**
* **სიგანე — 20,1 მ**
* **ძრავა — 4 აირტურბინული. 108 ათასი ცხ. ძ. სიმძლავრით.**
* **სიჩქარე — 32 კვანძი (1 კვანძი უდრის 1852 მ/წმ).**
* **ცურვის სიშორე — 8000 კმ. 20 კვანძი სიჩქარით**
* **ეკიპაჟი — 337 კაცი.**

**შეიარაღება:**

* **„იჯისის“ სისტემის რაკეტების გამშვები ორი დანადგარი.**
* **ფრთოსანი რაკეტები „ტომაჰავკი“.**
* **საზენიტო-სამართავი რაკეტები „რაიმ-66 ეს-ემ-3“**
* **გემსაწინააღმდეგო სარკეტო კომპლექსი „რუმ-139“**
* **საარტილერიო დანადგარი „მარკ 45“ 600 ყუმბარით**
* **ორი 6-ლულიანი 22 მმ-ის „ფალანკსი“.**
* **სატორპედე აპარატი „მკ“ (50 ტორპედოთი)**
* **1 ვერტმფრენი SH-60 LAMPS-ი.**





„სუ-24“ „დონალდ კუკითან“



**„სუ-24“-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

„სუ-24“ (ნატოს კოდიფიკაციით, Fencer-ი „მოფარიკავე“) — ეს არის რუსული ტაქტიკური ბომბდამშენი, რომლის დანიშნულებაა რაკეტებითა და ბომბებით დარტყმა ნებისმიერ ამინდში, დღისით თუ ღამით, სახმელეთო თუ საზღვაო მიზნებზე. ექსპლუატაციაშია 1982 წლიდან, გამოშვებულია 1400 ერთეული.

* **ეკიპაჟი — 2 კაცი**
* **სიგრძე — 24,5 მ**
* **ფრთების განშლა — 17,6 მ**
* **სიმაღლე — 6,1 მ**
* **მასა (სრული) — 22 300 კგ**
* **მასა (შეიარაღებით) — 33 500 კგ**
* **მაქსიმალური ასაფრენი მასა — 39 700 კგ**
* **დასაფრენი მასა — 28 000 კგ**
* **მაქსიმალური სიჩქარე 200 მ სიმაღლეზე — 1320 კმ/სთ, დიდ სიმაღლეზე — 1600 კმ/სთ**
* **ფრენის ზღვრული სიმაღლე — 11 500 მ**
* **საბრძოლო მოქმედების რადიუსი — 560 კმ**

**შეიარაღება:**

* **23 მმ-იანი ქვემეხი — 1**
* **რაკეტა „ჰაერი-ჰაერი“ — 2 ც**
* **რაკეტა „ჰაერი-მიწა“ — 15 ც**
* **უმართავი რაკეტები — 28 ც**
* **ბომბები.**

# ჩინეთმა ყველაზე შორსმოქმედი ბალისტიკური რაკეტა დაამზადა



**წლეულს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არმია ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტით შეიარაღდება — მყარსაწვავიანი ბალისტიკური რაკეტა „დუნფენ-41“-ის გამოცდა დასასრულს უახლოვდება.**

ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა „დუნფენ-41“-ს მსოფლიოში „ყველაზე შორს მოქმედი რაკეტა“ უწოდეს. მას შეუძლია, 14 500 კმ-ის მანძილზე გადაიტანოს 10 თერმობირთვული ბლოკი, ამასთანავე, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას საკონტინენტთაშორისო რაკეტის გაშვება შეეძლება არა მხოლოდ შახტიდან, არამედ მობილური გამშვები პლატფორმიდანაც.

**ახალ ბალისტიკურ რაკეტებს განალაგებენ ჩინეთის სტრატეგიული სარაკეტო ჯარების ბაზაზე ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია ხენანის ქალაქ სინიანში. იქიდან ახალი ბალისტიკური რაკეტა აშშ-ის ტერიტორიამდე 30 წთ-ში მიაღწევს, თუ ჩრდილოეთ პოლუსის გავლით გაუშვებენ, ხოლო წყნარი ოკეანის გავლით რამდენიმე წუთით მეტი დასჭირდება.**

სპეციალისტების აზრით, ჩინეთს შეუძლია, კიდევ უფრო გაზარდოს ბალისტიკური რაკეტის მოქმედების სიშორე, თუ ნავიგაციის სისტემას გააუმჯობესებს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის ფრაზები სამაგალითოდ იმიტომ მოვიყვანე, რომ საქართველოში დღესაც ბევრია ადამიანი, რომლებსაც პატიოსნების ეტალონად მიაჩნიათ ბატონი ნოდარ ჭითანავა, რომლის შრომისუნარიანობაზე, სიწმინდესა და პატიოსნებაზე ადამიანური მორალის კოდექსიც შეიძლება დაიწეროს.**

ჩემი სტატიები, რომლებიც რეგულარულად იბეჭდება გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“, ძირითადად აგებულია სხვა ადამიანების შეხვედრების დეტალურ აღწერაზე. დღეს ოდნავ გადავუხვევ ჩემს სტილს და მოგითხრობთ ადამიანზე, რომელთანაც უამრავი შეხვედრა მქონია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა და მომავალშიც გააკეთებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

# სტალინური კადრები

## «კადრები წყვეტენ ყველაფერს!»

**სტალინი** წერს:

**„რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან გვაძლევს ახალი ქვეყნის მშენებლის დამთავრებული ტიპის მუშაკს (სტალინი „ლენინიზმის საკითხების შესახებ“. 1935 წ. გვ. 92-93).**

სწორედ ასეთი ტიპის ხელმძღვანელად მიმაჩნდა და მიმაჩნია აკადემიკოსი **ნოდარ ჭითანავა.**

სტალინი იმავე ნაშრომში იქვე შენიშნავს, თუ რას ნიშნავს რუსული **„რევოლუციური გაქანება“:**

**„რუსული რევოლუციური გაქანება უმოქმედობის, რუტინის, კონსერვატიზმის, აზროვნების გაყინვის, ტრადიციებისადმი მონური მორჩილების საწინააღმდეგო წამალია. რუსული რევოლუციური გაქანება — ეს არის მაცოცხლებელი ძალა, რომელიც აღვიძებს აზრს, წინ მიჰყავს, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უამისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა, მაგრამ ამას აქვს ყველა შანსი, პრაქტიკაში დაინერგოს უბრალო რევოლუციურ „მანილოვშინად“ (კეთილდღეობის უსაფუძვლო მოლოდინი, გარემოსადმი ილუზორული დამოკიდებულება — გრ. ონიანი), თუ იგი შეერთებული არ იქნება ამერიკულ საქმიანობასთან.**

**ამერიკული საქმიანობა პირიქით — „რევოლუციური“ „მანილოვშინისა“ და ფანტაზიორობის საწინააღმდეგო წამალია. ამერიკული საქმიანობა — ეს არის ის დაუცხრომელი ძალა, რომელმაც არ იცის, რა არის დაბრკოლება Dდა არ ცნობს მას; რომელიც თავისი ბეჯითი საქმიანობით სპობს ყველანაირ დაბრკოლებას; რომელსაც არ შეუძლია, ბოლომდე არ მიიყვანოს დაწყებული საქმე, გინდაც პატარა იყოს, და ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული აღმშენებლობითი მუშაობა. მაგრამ ამერიკულ საქმიანობას აქვს ყველა შანსი, გადაიქცეს წვრილმან და უპრინციპო საქმოსნობად, თუ ის შეერთებული არ იქნება რუსულ რევოლუციურ გაქანებასთან. ვინ არ იცის წვრილმანი პრაქტიციზმისა და უპრინციპო საქმოსნობის სენი, რომელსაც ზოგიერთი „ბოლშევიკი“ ხშირად გადაგვარებამდე მიჰყავს და აშორებს მას რევოლუციის საქმეს?**

**სწორედ რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან არის პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის დედაარსი. სწორედ ასეთი შეერთება გვაძლევს ქვეყნის მშენებლის დასრულებულ ტიპს“.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ახალგაზრდა ქართველ პატრიოტსა და ორგანიზატორ ნოდარ ჭითანავას ყოველთვის ჰქონდა თავისი ფუნქცია და გავლენა არა მხოლოდ საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ელიტაში, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმშიც, სადაც ერთ-ერთ კომისიას თავმჯდომარეობდა.

რა პრინციპებით გაიზარდა ნოდარ ჭითანავა, როგორც ოჯახში, ისე პარტიაში? შეიძლება თამამად ითქვას — სტალინური პრინციპებით.

**სტალინი** წერს:

**„მინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ადამიანთა შერჩევასა და მათ გამოყენებაზე. ჩვენში არის მუშაკების ორი ტიპი, რომლებიც აფერხებენ ჩვენს მუშაობას, ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას, ხელს გვიშლიან წინსვლაში.**

**მუშაკთა ერთი ტიპი — ესენი არიან წარსულში გარკვეული დამსახურების მქონე ადამიანები, რომლებიც დიდკაცებად იქცნენ, ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარტიული და საბჭოთა კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ბრიყვებისთვის. Eეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ, შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები და რომლებიც ანგრევენ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის საფუძვლებს. რისი იმედი აქვთ მათ, როდესაც პარტიულ და საბჭოთა კანონებს არღვევენ? იმის იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ძველი დამსახურების გამო, ვერ გაბედავს, ხელი ახლოს მათ. ეს თავგასული დიდკაცები ფიქრობენ, რომ ისინი უბადლონი არიან და, რომ შეუძლიათ დაუსჯელად დაარღვიონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები. რა უნდა ვუყოთ ასეთ მუშაკებს? ისინი უყოყმანოდ უნდა მოვხსნათ ხელმძღვანელი პოსტებიდან, მიუხედავად მათი დამსახურებისა წარსულში. ისინი უნდა გადავაყენოთ თანამდებობიდან და ეს პრესაში გამოვაქვეყნოდ. Eეს აუცილებელია იმისათვის, რომ ამ თავგასულ დიდკაცბიუროკრატებს რიხი შევუმციროთ და კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ განვამტკიცოთ პარტიული და საბჭოთა დისციპლინა ჩვენს მუშაობაში.**

**ახლა კი — მეორე ტიპის მუშაკების შესახებ. მხედველობაში მყავს ტიპი მოლაყბეებისა, მე ვიტყოდი, პატიოსანი მოლაყბეებისა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული პატიოსანი ადამიანებისა, მაგრამ, რომლებსაც არ აქვთ ხელმძღვანელობის უნარი, არ აქვთ რაღაცის მოწყობის უნარი. შარშან საუბარი მქონდა ერთ-ერთ ასეთ ამხანაგთან, ძალიან პატივცემულ ამხანაგთან, მაგრამ გამოუსწორებელ მოლაყბესთან, რომელსაც შეუძლია ცოცხალი საქმე ჩაახჩოს ლაყბობაში. აი ეს საუბარი:**

**მე: — როგორ არის თქვენში თესვის საქმე?**

**ის: — თესვის საქმე, ამხანაგო სტალინ? ჩვენ ჩავატარეთ მობილიზაცია.**

**მე: — მერე?**

**ის: — ჩვენ პირდაპირ დავსვით საკითხი.**

**მე: — შემდეგ.**

**ის: — ჩვენ გვაქვს გარდატეხა, ამხანაგო სტალინ, მალე გვექნება გარდატეხა.**

**მე: — მაინც?**

**ის: — ჩვენში ისახება ძვრები.**

**მე: — კი მაგრამ, მაინც რა მდგომარეობაა თქვენთან თესვის მხრივ?**

**ის: — თესვის საქმეში ჯერ არაფერი გამოდის, ამხანაგო სტალინ.**

**აი მოლაყბე. მათ მოახდინეს მობილიზაცია, პირდაპირ დასვეს საკითხი, მათ აქვთ გარდატეხაც, ძვრებიც, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის.**

**სწორედ ისე, როგორც ამას წინათ დაახასიათა ერთმა უკრაინელმა მუშამ ერთ-ერთი ორგანიზაციის მდგომარეობა, როცა მას ჰკითხეს ამ ორგანიზაციის ხაზის შესახებ: „რაც შეეხება ხაზს... ხაზი, რა თქმა უნდა არის, მაგრამ მუშაობა არ ჩანს“. ეტყობა, ამ ორგანიზაციასაც ჰყავს თავისი პატიოსანი მოლაყბეები.Dდა როცა პოსტიდან ხსნი ასეთ მოლაყბეებს და გზავნი რაც შეიძლება შორს ოპერატიული სამუშაოდან, ისინი ხელებს გაშლიან და გაკვირვებული კითხულობენ: „რატომ გვხსნით? Fგანა ჩვენ არ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც საჭიროა საქმისთვის? განა ჩვენ არ მოვიწვიეთ დამკვრელთა შეკრება? განა ჩვენ დამკვრელთა კონფერენციაზე არ გამოვაცხადეთ პარტიისა და მთავრობის ლოზუნგები? განა ჩვენ არ ავირჩიეთ საპატიო პრეზიდიუმი ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობით? განა არ გავუგზავნეთ მისალმება ამხანაგ სტალინს... რაღა გინდათ ჩვენგან?“**

**რა უნდა ვუყოთ ამ გამოუსწორებელ მოლაყბეებს? თუ მათ დავტოვებთ ოპერატიულ სამუშაოზე, ხომ შეუძლიათ ყოველი ცოცხალი საქმე ჩაახრჩონ წყალწყალა და გაუთავებელი სიტყვების ნიაღვარში. აშკარაა, რომ საჭიროა მათი დათხოვნა ხელმძღვანელი პოსტებიდან და გადაყვანა არაოპერატიულ სამუშაოზე. მოლაყბეები არ უნდა იყვნენ ოპერატიულ სამუშაოზე“.**

სტალინის ფრაზები სამაგალითოდ იმიტომ მოვიყვანე, რომ საქართველოში დღესაც ბევრია ადამიანი, რომლებსაც პატიოსნების ეტალონად მიაჩნიათ ბატონი ნოდარ ჭითანავა, რომლის შრომისუნარიანობაზე, სიწმინდესა და პატიოსნებაზე ადამიანური მორალის კოდექსიც შეიძლება დაიწეროს.



ნოდარ ჭითანავა სოფლის მეურნეობის მინისტრად პარტიის ერთ-ერთი დიდი რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გადმოიყვანეს. ახალდანიშნული იყო მინისტრად, როდესაც მასთან ლეგენდარულმა **აკაკი მგელაძემ** წარმადგინა, როგორც აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი, და შუამდგომლობა გამიწია დილმის მებოსტნეობა-მერძევეობის დირექტორად დანიშვნაზე თაობაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ახალგაზრდა ქართველ პატრიოტსა და ორგანიზატორს — ნოდარ ჭითანავას ყოველთვის ჰქონდა თავისი ფუნქცია და გავლენა არა მხოლოდ საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ელიტაში, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმშიც, სადაც ერთ-ერთ კომისიას თავმჯდომარეობდა**

მიუხედავად იმისა, რომ ახალდანიშნული მინისტრი კარგად არ მიცნობდა, ენდო სახელმოხვეჭილ მხცოვან ხელმძღვანელ აკაკი მგელაძეს და ჩემი დირექტორად დანიშვნის ბრძანებაც დაიწერა.

სულ მალე, როგორც საგარეუბნო ზონის ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობის დირექტორი, ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მიმიწვიეს და ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად განიხილეს ჩემ მიერ წარდგენილი დილმის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელმაც გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ყველაზე მეტად ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი **პეტრე ჟღენტი** აქტიურობდა, რომელსაც არ სურდა ძველი დოგმებიდან გადახვევა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მინისტრმა მხარი დაუჭირა ჩემს თვალსაზრისსა და მოთხოვნას მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლის თაობაზე და საგეგმო კომიტეტსაც შესაბამისი მითითება მიეცა.

მეურნეობაში საქმიანობა ნორმალურად მიმდინარეობდა, მის განვითარებას მხარს უჭერდა, როგორც აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე აკაკი მგელაძე, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოდარ ჭითანავა.

**დილით, ოპერატიული თათბირის შემდეგ, ჩემთან კაბინეტში ვაჭრობის ერთი ცნობილი მუშაკი შემოვიდა და მაგიდაზე დამიდო დაკეცილი ფურცელი, რომელზეც ეწერა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“ შემდეგ კი „განკარგულება“.**

**„განკარგულება“ მავალებდა, „ცეკავშირისთვის“ გადამეცა თბილისში შემოსასვლელ ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარე „სოკოს სახლი“ თავისი 5 ჰექტარი მიწის ფართობით.**

„განკარგულება“ ისევ ისე დავკეცე, როგორც გადმომცა, და უკან დავუბრუნე ვაჭრობის მუშაკს.

— მე ამას არ შევასრულებ, — პრინციპულად განვუცხადე.

მან კი რიხით მითხრა, რომ ეს მინისტრთა საბჭოს განკარგულება იყო.

ამის შემდეგ სტუმარმა კაბინეტი დატოვა, მე კი ჩემი საქმე განვაგრძე. ორი საათის შემდეგ მინისტრ ნოდარ ჭითანავას კაბინეტში „სმირნაზე“ ვიყავი გაჭიმული.

— რატომ არ ასრულებთ მინისტრთა საბჭოს განკარგულებას? — მომმართა მინისტრმა.

— მიწის კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ჯერ კიდევ სტალინის პერიოდში შეიქმნა, არავის აქვს უფლება, ხელი ახლოს კოლმეურნეობისა და მეურნეობის კუთვნილ მიწას, თუ მისი ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან დირექტორის თანხმობა და ხელისმოწერა არ იქნება დასმული დოკუმენტზე. აღნიშნულ „განკარგულებაზე“ კი დირექტორის თანხმობა არ არის და ამიტომ ჩავთვალე, რომ „განკარგულება“ არაკანონიერი იყო, — დაბეჯითებით ვუპასუხე მინისტრს.

ბატონმა ნოდარმა სწრაფად აიღო ტელეფონის ყურმილი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილს** დაუკავშირდა:

— გივი დიმიტრის ძევ, ჩემთან არის მეურნეობის დირექტორი ონიანი, მას მტკიცე არგუმენტები აქვს, რომ განკარგულება არასრულფასოვანია. მასზე არ არსებობს დირექტორის თანხმობა. ონი-

▶

**გამაოცა ძაღლებისა და ცხვრების ურთიერთობამ. ძაღლები, როგორც სანიტრები, ისე უვლიდნენ გარშემო ცხვრის ფარას და წყალში ტოპავდნენ. მეცხვარეები კი ხეებზე ასულიყვნენ და იქიდან დაჰყურებდნენ შეშინებულ ცხოველებს. თოკის კიბეს არც ერთი მწყემსი არ ამოჰყოლია ვერტმფრენში, მათ ცხვრები არ მიატოვეს, ხოლო 3000 ცხვრის აყვანა ვერტმფრენზე შეუძლებელი იყო. მდგომარეობა კატასტროფული ჩანდა. თუ წყლის დონე 30-40 სანტიმეტრით მოიმატებდა, გარდა ხეზე ასული 6 კაცისა, კუნძულზე აღარაფერი გადარჩებოდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ანს ვეთანხმები და აღნიშნული ობიექტის გადაცემაც, ვფიქრობ, არ მოხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას გამოტანილი ჰქონდა „განკარგულება“, როდესაც სამართლიან წინააღმდეგობას წააწყდა, ეს „განკარგულება“ გააუქმა.

სატყეო მეურნეობის სამინისტრომ (მინისტრი **მიტროფანე კუჭავა**) გადაწყვიტა, თავის მფლობელობაში გადაეტანა სოფელი ლისი და მისი 1200 ჰექტარი მიწის ფართობი. ეს ამბავი შევიტყვე მაშინ, როდესაც ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე ექსპარცეტს კომბაინებით ვილებდი და სასენაჟე ორმოებში ვაბინავებდი.

სათიბში მოსული მინისტრის ორი მოადგილე მივატოვე და გეზი სოფლის მეურნეობის სამინისტროსაკენ ავიღე. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მოსაცდელში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, სამუშაო ფორმაში, ზურგზე ბალახდაყრილი ურიგოდ შევედი მინისტრთან.

როგორც კი კარი შევაღე, მინისტრს გაბრაზებულმა ვუთხარი, თუ რძე, ხორცი და ბოსტნეული ქალაქს არ სჭირდება, რაღას გვაწვალებთ და გვაჩხუბებთ ამ ხალხთან. მთელი სატყეო მეურნეობის სამინისტრო ლისის ტერიტორიაზე მოვიდა და ფართობებს იზომავენ-მეთქი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლისი დადგენილებით ყოფილა გადაცემული სატყეო მეურნეობის სამინისტროსთვის, სანამ ბატონი ნოდარ ჭითანავა მინისტრად, ხოლო მე დირექტორად დავინიშნებოდი, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თვით დადგენილება (რომელიც შემდგომში გაუქმდა) თავისი არსით იყო მიუღებელი და მავნებლური.

მინისტრი ფეხზე წამოდგა. ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ოდნავ გაიღიმა და მთხოვა, ცოტა ხანს მოსაცდელში გავსულიყავი.

— მერე ველარ შემოვალ, იქ ბევრი ხალხია, მითხარით, რა ვქნა.

— არავის შემოუშვებენ, მალე შემოხვალ.

როგორც კი კარი მივხურე, ერთ-ერთმა მთხოვნელმა შესვლა დააპირა, მაგრამ მდივანმა კატეგორიულად განუცხადა, მინისტრი ტელეფონზე საუბრობს და კაბინეტში ვერავის შეგიშვებთო. ცოტა ხანში მინისტრმა სელექტორზე დარეკა და მდივანმა შესვლა მთხოვა.

— ოჯახში პატიმარი ხომ არავინ გყავთ ან საზღვარგარეთ? – მკითხა მინისტრმა.

— არავინ, — ვუპასუხე.

პაპანაქება ზაფხული იყო. მინისტრმა ბრძანა, გარეთ გავყოლოდი. ჩიტაძის ქუჩა გადავჭერით და ცენტრალური კომიტეტის შენობაში შევედით... მეორე დღეს, დილის 8 საათი იქნებოდა, როდესაც მინისტრის პირველი მოადგილე **დუგლას ნიკურაძე** და მე ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ორჯონიკიძეს მივუახლოვდით. ასე აღმოვჩნდი ნოდარ ჭითანავას ძალისხმევით ყიზლარის ზამთრის საძოვრების უფროსად.

მინისტრის მიერ სამთავრობო სატელეფონო სადგური გაფრთხილებული იყო, თუ ჩემი ზარი შევიდოდა კომუნტატორში ჩრდილოეთ კავკასიიდან, აუცილებლად დავეკავშირებინეთ მასთან.




**მინისტრს პირველს უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი უბედური შემთხვევის თაობაზე და, ამბავი მთავრობის სხვა წევრებისაგან რომ არ შეეტყო, სასწრაფოდ მოვთხოვე სამთავრობო კომუნტატორს მინისტრთან დაკავშირება. გაირკვა, რომ ნოდარ ჭითანავა პარტიის აფხაზეთის პლენუმზე სიტყვით გამოდიოდა. როდესაც პლენუმის პრეზიდიუმში ჩოჩქოლი ატყდა, — ჩრდილოეთ კავკასიიდან მინისტრთან დაკავშირება სურთო, მინისტრმა ტრიბუნიდან იკითხა, — რა ხდებაო. როდესაც უთხრეს, ხაზზე კოჩუბეიაო, მინისტრმა საოლქო კომიტეტის მდივანს სთხოვა სიტყვის გაგრძელება, თვითონ კი ტელეფონთან მოვიდა**

ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადარეკვისას სტანიცა იშორიდან დაბა კოჩუბეიში დაშიფრული ტელეგრამა მივიღე:

**„თერგი ადიდდა და იშორის ხიდთან თერგის ორმა ნაკადმა შუაში მოიქცია 3000 სული ცხვარი და 6 მწყემსი, მოგვეშველეთ“.**

მინისტრს პირველს უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი უბედური შემთხვევის თაობაზე და, ამბავი მთავრობის სხვა წევრებისაგან რომ არ შეეტყო, სასწრაფოდ მოვთხოვე სამთავრობო კომუნტატორს მინისტრთან დაკავშირება. გაირკვა, რომ ნოდარ ჭითანავა პარტიის აფხაზეთის პლენუმზე სიტყვით გამოდიოდა. როდესაც პლენუმის პრეზიდიუმში ჩოჩქოლი ატყდა, — ჩრდილოეთ კავკასიიდან მინისტრთან დაკავშირება სურთო, მინისტრმა ტრიბუნიდან იკითხა, რა ხდებაო. როდესაც უთხრეს, ხაზზე კოჩუბეიაო, მინისტრმა საოლქო კომიტეტის მდივანს სთხოვა სიტყვის გაგრძელება, თვითონ კი ტელეფონთან მოვიდა.

— რა ხდება, ხომ არაფერი გიჭირს?

— 3000 სული ცხვარი და 6 მწყემსი იშორის ხიდთან მდინარე თერგის 2 ტოტს შორის არის მოქცეული, სასწრაფოდ გვჭირდება ვერტმფრენები და სამხედრო ნავტიკები.

— ახლავე ყველა ზომას მივიღებ, — გაისმა ყურმილში და ტელეფონიც გაითიშა.

შემდეგ ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოსაც ვაცნობე ვითარების შესახებ და სასწრაფოდ გროზნოსკენ ავიღე გეზი. ედუარდ შევარდნაძის მეგობარს, ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან **ვლასოვს** უკვე მიღებული ჰქონდა თბილისიდან შეტყობინება და ადგილზე ვერტმფრენების მობილიზაციას ხელმძღვანელობდა. პირველმა მდივანმა მანქანაში ჩამსვა და სამხედროების თანხლებით იშორის ხიდისკენ გავემგზავრეთ. როდესაც შემთხვევის ადგილს ვუახლოვდებოდით, იქვე ახლოს, საძოვარზე ვერტმფრენი დაეშვა. ვლასოვმა მითხრა, ალბათ, ედუარდ ამბროსის ძე ჩამოვიდაო, მაგრამ, ადგილზე რომ მივედით, ვერტმფრენიდან ნოდარ ჭითანავა გადმოვიდა. ვლასოვი და ჭითანავა კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის და სწრაფი ნაბიჯით ხიდისკენ გავეშურეთ.

იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი და ყველა ხიდის ქვეშ დამაგრებულ წყლის საზომ ლარტყას აკვირდებოდა — იკლებდა თუ იმატებდა წყლის დონე მდინარის კალაპოტში. კუნძული კი ნელ-ნელა იტბორებოდა წყლით. ვერტმფრენიდან თოკის კიბე ჩაუშვეს წყლით დაფარულ კუნძულზე, სადაც ცხვრები, ძაღლები და ადამიანები ერთ ხმაში ბლაოდნენ.

გამაოცა ძაღლებისა და ცხვრების ურთიერთობამ. ძაღლები, როგორც სანიტრები, ისე უვლიდნენ გარშემო ცხვრის ფარას და წყალში ტოპავდნენ. მეცხვარეები კი ხეებზე ასულიყვნენ და იქიდან დაჰყურებდნენ შეშინებულ ცხოველებს. თოკის კიბეს არც ერთი მწყემსი არ ამოჰყოლია ვერტმფრენში, მათ ცხვრები არ მიატოვეს, ხოლო 3000 ცხვრის აყვანა ვერტმფრენზე შეუძლებელი იყო. მდგომარეობა კატასტროფული ჩანდა. თუ წყლის დონე 30-40 სანტიმეტრით მოიმატებდა, გარდა ხეზე ასული 6 კაცისა, კუნძულზე აღარაფერი გადარჩებოდა. არსებული მდგომარეობის შენარჩუნების შემთხვევაში კი გადარჩენის მცდელობას აზრი ჰქონდა.

სამხედროებმა გასაბერი ხიდები მოიტანეს, მაგრამ მასზე ცხვრის გამოტარება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი დინებას მიჰქონდა. ასე დაგვაღამდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. ყოველ ნახევარ საათში იშორაზე დადგმული მორზეს გადამცემი აპარატი შეუსვენებლად აკაკუნებდა, იღებდა და გადასცემდა ცნობებს არსებული მდგომარეობის შესახებ. გამთენიისას რადისტმა ქალმა გვამცნო, რომ ჯვრის უღელტეხილზე, სადაც არნახული სეტყვა მოდიოდა, უკვე გამოიდარა. მოსალოდნელი იყო წყლის დონის დაცემა. დილის 9 საათისთვის გროზნოს სამხედრო ბაზიდან მოიყვანეს სპეცნაწილი, რომელიც მზად იყო, წყლის დონის ოდნავ დაწევისთანავე კუნძულიდან ნაპირზე ცოცხალი ჯებირი გაეკეთებინა.

ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ზედიზედ ჯდებოდა ვერტმფრენები: დაღესტნიდან ჩამოვიდა პირველი მდივანი **მაგომედ უმახანოვი**, კრასნოდარიდან — **გიორგი რაზუმოვსკი**, აგრეთვე, ჩრდილოეთ ოსეთის პირველი და მეორე მდივნები და უამრავი სხვა. დაეშვა ვერტმფრენი, რომელშიც ისხდნენ **ედუარდ შევარდნაძე** და ცკ-ის ბიუროს მთელი შემადგენლობა. დღის 2 საათისთვის ჯარისკაცებმა მდინარეში შესვლა დაიწყეს. ერთნაირი სიმაღლის ბრგე ვაჟკაცები ერთმანეთის მიჯრით მხრებამდე წყალში ჩადგნენ და დაიწყო ცხვრის ხელიდან ხელში გადაცემით ნაპირზე გადმოყვანა. მეცხვარის ძაღლები, რომლებსაც სხვა დროს ახლოსაც ვერ მიეკარებოდი, მორჩილად გადადიოდნენ ხელიდან ხელში და მადლიერების თვალით შეჰყურებდნენ მაშველებს. 3 საათზე მეტი დასჭირდა ცხვრის ნაპირზე გადმოყვანას. ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. მასპინძელმა ვლასოვმა ყველა სტუმარი თავისთან მიიპატიჟა. ნოდარ ჭითანავამ კატეგორიული უარი განუცხადა ედუარდ შევარდნაძეს გაყოლაზე და მითხრა, სასწრაფოდ ვერტმფრენში ავიდეთო. ერთი საათის შემდეგ ჩვენი ვერტმფრენი დაბა კოჩუბეიში ჩემი რეზიდენციის ეზოში დაჯდა. მთელი ღამის უძინრებმა და უჭმელებმა თავი ძილს მივეცით და დავისვენეთ.

დოლის პერიოდში მინისტრმა დამირეკა და მითხრა:

— ხომ ადგილზე ხართ, ხვალ დილით მოვდივარ, დოლის მიმდინარეობა მინდა ვნახოო.

ავტომანქანით ჩამოვიდა. ზამთარი ყიზლარში რბილია, მაგრამ, თუ აცივდა და აურია, ძაღლს გარეთ არავინ გააგდებს. სწორედ ნოდარ ჭითანავას ჩამოსვლის ღამეს აირია ამინდი. დღე ისე ჩამობნელდა თოვლისა და ქარბუქისგან, ჰაერში ატანილი სტეპის ქვიშისგან, რომ თითს თვალთან ვერ მიიტანდი. თოვლის საფარი ნელ-ნელა იმატებდა.

მეცხვარისთვის ყველაზე რთული და გაუსაძლისი სწორედ ასეთი ამინდია, თუნდ ცხვარი ბაკებში ჰყავდეთ დამწყვდეული. ნადირიც თითქოს გუმანით გრძნობს, რომ სწორედ ასეთ ამინდში უნდა იხელთოს დრო და, არათუ მინდორში, ცხვარს ბინებშიც კი უვარდებიან. მაოცებდა ძაღლების ერთგულება, როგორ ბეჯითად უვლიდნენ გარშემო ცხვრის ბინებსა და ბაკებს, როგორ ფხიზლობდნენ და ნადირის გამოჩენისას ერთად როგორ იცავდნენ ცხვარსაც და მეცხვარესაც.

მინისტრმა მთხოვა, ყველგანმავალი მანქანით გავსულიყავით სტეპში და მოგვენახულებინა ცხვარ-მეცხვარეები. გზას ძლივს მივიკვლევდით. ბურუსში მიმართულება ამერია და მივადექით ლეკების ფერმას, სადაც საშინელ ვითარებას წავაწყდით — გამძვინვარებული სტიქიის პირისპირ მხოლოდ ერთი მეცხვარის ამარა და უწყლოდ და უსაკვებოდ დარჩენილი 2500 სული ცხვარი საშინელი სანახავი იყო. ეს ფერმა მინისტრს ჯერ ჩვენი ეგონა, რის გამოც განრისხებას ვერ ფარავდა. მტკიცება იმისა, რომ, აი, ხომ ხედავ, მწყემსი ლეკია, არ არწმუნებდა მას, რადგან ჩვენს ფერმებში ლეკი მწყემსი ბევრი უნახავს. შემდეგ, როგორც იქნა, დარწმუნდა. სასწრაფოდ დავიწყეთ ცხვარ-მეცხვარის დახმარება. გვერდით, იქვე ახლოს, მე-13 „რაზიეზდზე“ უხეში საკვებისა და გრანულირებული საკვების საამქროში გადავედით. საიდანაც სასწრაფოდ გადავუტანეთ კომბინირებული და გრანულირებული საკვები, თივა და მივახმარეთ 2 თუ 3 მწყემსი. ავდარი 3 დღეს გაგრძელდა.

გავიდა ხანი. ყველაფერი რომ მიწყნარდა, ქალაქ მახაჭყალიდან დაღესტნის პირველი მდივანი უმახანოვი დამიკავშირდა:

— როდესაც თქვენთან მინისტრი ჭითანავა ჩამოვა, აუცილებლად შემატყობინე, კოჩუბეიში უნდა ამოვიდე და მადლობა გადავუხადო იმ დახმარებისთვის, რომელიც მან დაღესტნელ მეცხვარეებს გაუწია.

ისინი მართლაც შევახვედრე ერთმანეთს, რაც ძალზე სასიამოვნო სანახავი იყო.

ასეთი იყო სტალინური ეპოქიდან შემორჩენილი სტალინური კადრების მუშაობის სტილი და მეთოდები.

ნოდარ ჭითანავა — რაიკომის მდივანი, მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი, უამრავი წიგნის ავტორი, სახელმწიფოს მიერ აშენებულ სტანდარტულ ბინაში ცხოვრობს, მის მოკრძალებულ ხელფასს მხოლოდ კოლექტიური მებაღეობის დროს მიღებული 600 კვ.მ მიწის ფართობზე, თავისი ხელით მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ემატება. ამ კაცს სხვა არაფერი აქვს — არც დანაზოგი, არც აგარაკი და არც გადაადგილების რამე საშუალება.

ეს არის ალენ დალესის პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების მაგალითი, როდესაც ცდილობენ, ღირსეულ ადამიანს ღირსება დააკარგვინონ, უღირსები კი საზოგადოების ღირსეულ ადამიანებად წარმოაჩინონ.




## ყურადღება!

ამა წლის 20 მარტიდან „ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქურთების ე.წ. სტრატეგიული უბედურება 1514 წელს დაიწყო ჩალდირანის (ირანის პროვინცია) ბრძოლით, რომლის შედეგადაც ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებულმა ირანმა დაკარგა ქურთებით დასახლებული ოლქები ერაყში, სირიასა და თურქეთში და ეს გაგრძელდა 1918 წლის შემდეგაც, როცა ოსმალეთის იმპერია დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გაიყვეს. ქემალ ათათურქის მიერ თურქეთის გათავისუფლებისთვის დაწყებულმა მესამე ომმა ამ ტერიტორიების დაყოფა ლოზანის ხელშეკრულებით განამტკიცა და ქურთებს თავიანთი სახელმწიფოს შექმნის საშუალება არ მისცა, თუმცა დაუტოვა იმედი, რომ ოდესმე მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას.**

# გაეროს 195-ე წევრი — ქურთების სახელმწიფო?

**მნიშვნელოვანმა როლმა, რომელიც ქურთების თავდაცვითმა რაზმებმა ითამაშეს ტერორიზმთან ბრძოლაში, პოლიტიკური ძალების ფართო სპექტრში — მემარჯვენეებიდან დაწყებული მემარცხენეებამდე, შექმნა ილუზია, რომ ერაყისა და სირიის ტერიტორიებზე, სადაც ქურთები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, შეიძლება შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო — ქურთეთი.**



ეს პოლიტიკური ძალები არა მხოლოდ მიიჩნევენ, რომ სირიისა და ერაყის დაშლა უკვე ფაქტია, არამედ უხარიათ კიდეც ეს. მოსალოდნელია, რომ **ქურთების სახელმწიფო ჯილდო იქნება მათთვის, ვინც საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც თავიანთი სამხედროების სირიაში საომრად გაგზავნა არ ისურვეს.**

ახლო აღმოსავლეთის ყველა ეთნოლინგვისტურმა ჯგუფმა, ქურთებისა და ბელუჯების გამოკლებით, სახელმწიფო შექმნა, მაგრამ ახალი სახელმწიფოს შექმნა, მის მოქალაქეებზე კი არა, სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღიარებაზეა დამოკიდებული. **ქურთების ე.წ. სტრატეგიული უბედურება 1514 წელს დაიწყო ჩალდირანის (ირანის პროვინცია) ბრძოლით, რომლის შედეგადაც ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებულმა ირანმა დაკარგა ქურთებით დასახლებული ოლქები ერაყში, სირიასა და თურქეთში და ეს გაგრძელდა 1918 წლის შემდეგაც, როცა ოსმალეთის იმპერია დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გაიყვეს. ქემალ ათათურქის მიერ თურქეთის გათავისუფლებისთვის დაწყებულმა მესამე ომმა ამ ტერიტორიების დაყოფა ლოზანის ხელშეკრულებით განამტკიცა და ქურთებს თავიანთი სახელმწიფოს შექმნის საშუალება არ მისცა, თუმცა დაუტოვა იმედი, რომ ოდესმე მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას.**

### წინაღობები დამოუკიდებლობის გზაზე

ობამას ადმინისტრაციის უარი. ცხადია, რომ ამ ზესახელმწიფოს თანხმობის გარეშე ვერც ერთი ხალხი, რაოდენ მრავალრიცხოვანი და ჩაგრულიც უნდა იყოს, სახელმწიფოებრიობას ვერ მოიპოვებს. ერაყში ქურთების ავტონომიური ოლქი, სადაც არ არის ნავთობის საბადოები და კომპაქტურად ცხოვრობენ ქურთები, 1991 წლის ინტერვენციისას შექმნა აშშ-მა. ქურთების მინიქვეყანას არ ჰქონდა ეროვნული სუვერენიტეტი და ვაშინგტონს ემორჩილებოდა.

2015 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც ერაყელმა ქურთებმა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გაათავისუფლეს ნავთობსაბადოებით მდიდარი კირკუკი, ერაყში ქურთების ავტონომიური ოლქის ლიდერმა **მასუდ ბარზანიმ** აშშ-ს მიმართა ამ ტერიტორიის დამოუკიდებლობის გამოცხადების თხოვნით, მაგრამ ობამასგან უარი მიიღო. თეთრი სახლის უფროსმა ზუსტად ასევე უპასუხა სირიელ ქურთებსაც. მიზეზი ბევრი იყო:

* პოლიტიკური დანაკარგები მეტი იქნებოდა, ვიდრე სარგებელი.

* ეს ნაბიჯი გააფუჭებდა აშშ-ის ურთიერთობას თურქეთთან, რომელიც იმუქრება, რომ დახურავს ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზას, თუკი აშშ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში არ შეიყვანს ქურთების მემარცხენე პარტიებს.

* კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ობამა ვერ გარისკავდა დაძაბულობის კიდევ ერთი კერის შექმნას.

* ბაღდადთან მკვეთრი განხეთქილების ფონზე, რაიონში კიდევ უფრო გაღრმავდება კრიზისი და ქურთების ავტონომიამ შეიძლება საერთოდ დაკარგოს სტატუსი.

* აშშ ვერ უზრუნველყოფდა მტრულ გარემოცვაში მყოფი ახალი სატელიტი სახელმწიფოს უსაფრთხოებას. ქურთებზე თურქეთის თავდასხმის შემთხვევაში ვისი მხარე უნდა დაიკავოს ვაშინგტონმა? ეშმაკი **ერდოღანი,** რომელიც 2013 წელს ქურთების შრომის პარტიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ლამობდა, უარს ამბობდა ქურთების გათურქების პოლიტიკაზე და აწარმოებდა მათი ისლამიზაციის პოლიტიკას, რომლითაც ქურთებს აშორებდა ნაციონალისტური ძალებისგან, განსაკუთრებით — მემარცხენეებისგან.

რელიგიურ დიქტატურას ერდოღანისა, რომელიც თვალის დაუხამხამებლად ბომბავს საარტილერიო ჭურვებით სირიელ მუსლიმანებს, მშვენივრად ეგუებიან ქურთები. **თურქეთი აწარმოებს ბიზნესს ერაყის ქურთული ავტონომიის ფეოდალურ რეჟიმთან, იყენებს სამხედრო ბაზას, ყოველდღიურად იღებს 600 ათას ბარელ ნავთობს, ახლა კი დაიწყო სირნაკის მშენე**




**ბარე გაზსადენის გამოყენება, რომლითაც ქურთების ავტონომიიდან ბუნებრივ აირს მიიღებს.**

ლტოლვილების მეორე კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც თურქეთმა გამოიწვია, იყო მემარცხენე განწყობილების მქონე სირიელი ქურთებისთვის ხელის შეშლა ავტონომიის შექმნაში.

* **ერაყს,** ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, არ სურს ტერიტორიის დაკარგვა. ნავთობის მარაგით მსოფლიოში მეოთხე ქვეყანას, რომელიც ირანის მოკავშირეა, შეუძლია დაარწმუნოს ევროპა, საუდის არაბეთი და ისრაელი, უარი თქვან ერაყის დანაწევრებაზე. სწორედ კირკუკის ახლოს აღმოჩენილი ნავთობის ახალი საბადოებია მიზეზი იმისა, რომ ევროპელებმა არ შეასრულეს დაპირება ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

1905 წელს **უინსტონ ჩერჩილმა**, იმხანად ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო უწყების ხელმძღვანელმა, ქვანახშირი, რომელსაც ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყენებდა, ნავთობით შეცვალა.



ამასთანავე, „ნორტერნოილმა“ და საშიშმა სპარსულმა ნავთობკომპანიამ, რომელიც მოგვიანებით „ბრიტიშ პეტროლიუმად“ იქცა, ხელში ჩაიგდეს ამ ზონაში არსებული უზარმაზარი ნავთობსაბადოები. ქალაქ **კირკუკთან, რომელიც 5 ათას წელს ითვლის, ერაყის ნავთობის 40%-ია თავმოყრილი.**

* ირანი არ დაეთანხმება ქურთების სახელმწიფოს შექმნას, იქ ირანელი ქურთებიც რომ გადავიდნენ საცხოვრებლად, რადგან ახლა სირია ირანისთვის დაკარგულია. ირანი ბაღდადთან პოლიტიკური კავშირის დამყარებას შეეცდება.

* ქურთული სახელმწიფოს შექმნა ახლა მხოლოდ **ბენიამინ ნეთანიაჰუს** მხარდაჭერას ეყრდნობა და არა მსოფლიოში გაბნეული და დევნილი ხალხის სოლიდარობას. არადა, რიგითმა ქურთებმა უნდა იცოდნენ, როგორ იყენებდა მათ ისრაელი თავისი საზღვრების დასაცავად, რაც გათვალისწინებული იყო დავიდ ბენ-გურიონის დოქტრინაში პერიფერიების შესახებ.

### ქურთების შიდა პრობლემები

* ქურთების სახელმწიფოს, რომელიც მონათესავე ტომებისგან უნდა შეიქმნას და არა — ერისგან, ქურთებს შორისაც ჰყავს სერიოზული მოწინააღმდეგეები. ის ფაქტორები, რომლებიც აშორებს ქურთებს ერთმანეთისგან, უფრო მეტია, ვიდრე დამაკავშირებელი.

ენობრივ, კულტურულ, პოლიტიკურ და რელიგიურ სხვაობას (მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტია, თუმცა შიიტების რაოდენობაც მილიონებს აღწევს, ისლამის ორივე მიმდინარეობაში მნიშვნელოვანი წილი აქვთ ფუნდამენტალისტებს) ემატება კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი: დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად. ერაყში, ქურთების ავტონომიურ ოლქში პრემიერმინისტრის პოსტი უკავია **ნეჩირვან ბარზანის**, ამ ოლქის პრეზიდენტის ძმისშვილს, რომელიც, ამასთანავე მთავარ ქურთულ სატელევიზიო არხს აკონტროლებს; მეორე ძმისშვილი, **შირვან ბარზანი,** — მობილურ კავშირგაბმულობას. მილიონობით მშრომელი კი რომელიც ხელფასს ვერ იღებს და ამის გამო საპროტესტო აქციებს მართავს, სვამს კითხვას: **სად წავიდა მილიარდობით ბარელი ნავთობის გაყიდვიდან მიღებული ფული?**

**ერაყის ქურთული ავტონომიური რაიონის ხელმძღვანელობა უკვე აღიარებს, რომ დამოკიდებული ქურთული სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანი არ იქნება. ამ იდეის განხორციელებაზე აბდულა ოჯალანმაც კი თქვა უარი. სირიელი ქურთები გაფანტულნი არიან სხვადასხვა მიწაზე, აქვთ 15 პარტია (რომლებიც სხვადასხვანაირად უდგებიან პრობლემებს) და მიისწრაფვიან არა დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ, არამედ ჩრდილოეთ სირიაში კონფედერაციის შექმნისკენ, რომელშიც სირიის ნაციონალური და რელიგიური უმცირესობები შევლენ**

* ერაყის ქურთული ავტონომიური რაიონის ხელმძღვანელობა უკვე აღიარებს, რომ დამოკიდებული ქურთული სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანი არ იქნება. ამ იდეის განხორციელებაზე **აბდულა ოჯალანმაც** კი თქვა უარი. სირიელი ქურთები გაფანტულნი არიან სხვადასხვა მიწაზე, აქვთ 15 პარტია (რომლებიც სხვადასხვანაირად უდგებიან პრობლემებს) და მიისწრაფვიან არა დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ, არამედ ჩრდილოეთ სირიაში კონფედერაციის შექმნისკენ, რომელშიც სირიის ნაციონალური და რელიგიური უმცირესობები შევლენ.

* ქურთების ტომების ლიდერთა შორის მძაფრმა უთანხმოებამ შეიძლება სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. 1994 წლის პატრიოტული კავშირისა და ქურთების დემოკრატიული პარტიის დაპირისპირებამ ათასობით ქურთის სიცოცხლე შეიწირა.

ახლო მომავალში გამოჩნდება, შეძლებენ თუ არა ქურთები თურქების, არაბებისა და ირანელების მონობის უღლის გადაგდებასა და აშშ-ისა და ფრანგების მარიონეტებად გადაქცევას თუ უცხოელ ოლიგარქებს თავიანთი ოლიგარქებით ჩაანაცვლებენ.

**ნეზანინ არმანიანი**
პუბლიკო.ეს. (ესპანეთი)

დოკუმენტებში მოხსენიებულია საეჭვო ინვესტორი და სპეკულანტი — ფლორიან ჰომი, გასამართლებული თაღლითი ჰელმუტ კინერი და საეჭვო რეპუტაციის სხვა ბიზნესმენები. დოკუმენტებში, აგრეთვე, მოხსენიებულია ფირმა, რომლის გავლითაც „ფორმულა 1“-ის ხელმძღვანელმა ბერნი ეკლსტოუნმა ქრთამი გადაურიცხა ბავარიელ ბანკირ გერჰარდ გრიბოვსკის. სიაშია კომპანია „ვალპერ ჰოლდინგიც“, რომლის გავლითაც მილიონები ირიცხებოდა გრიბოვსკის ანგარიშზე. სხვა ფირმები დაკავშირებულნი არიან ფარმაცევტულ სფეროში ან წყალქვეშა ნავების შესყიდვების გარშემო ატეხილ სკანდალთან.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორდენების მფლობელები, ბორდელთა მეფეები და საზოგადოების ელიტა — გერმანელები «პანამურ» დოკუმენტებში

**„ათასობით გერმანელი სარგებლობდა კომპანია „მოსეკ ფონსეკას“ მომსახურებით. გერმანელები, როგორც „პანამური დოკუმენტები“ მიუთითებს, დიდძალ ფულს ინახავენ ოფშორულ ფირმებში“, — წერს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“.**



პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ ორდენები გერმანიის წინაშე დამსახურებისთვის, ბორდელების მეფეები, ტოპმენეჯერები, ელიტის მთელი ბატალიონი, უძრავი ქონების გამყიდველები — ყველა იყენებდა ოფშორულ კომპანიებს — იურიდიული ფირმა „მოსეკ ფონსეკას“ მიერ პანამაში დაარსებულ ფირმებს. ზოგიერთი დიდი გერმანული ფირმის სამეთვალყურეო საბჭო ოფშორულ კომპანიებს ბალეარის კუნძულებზე ან კიდევ სხვა ადგილას ვილების შესაძენად იყენებდა. ასეთი მომსახურება ხელს აძლევს მას, ვისაც სურს, გადასახადებს თავი აარიდოს, აგრეთვე, შემოსავლები უკანონო ბიზნესის საწარმოებლად გამოიყენოს.

დოკუმენტებში მოხსენიებულია საეჭვო ინვესტორი და სპეკულანტი — **ფლორიან ჰომი,** გასამართლებული თაღლითი **ჰელმუტ კინერი** და საეჭვო რეპუტაციის სხვა ბიზნესმენები. დოკუმენტებში, აგრეთვე, მოხსენიებულია ფირმა, რომლის გავლითაც „ფორმულა 1“-ის ხელმძღვანელმა **ბერნი ეკლსტოუნმა** ქრთამი გადაურიცხა ბავარიელ ბანკირ **გერჰარდ გრიბოვსკის.** სიაშია კომპანია „ვალპერ ჰოლდინგიც“, რომლის გავლითაც მილიონები ირიცხებოდა გრიბოვსკის ანგარიშზე. სხვა ფირმები დაკავშირებულნი არიან ფარმაცევტულ სფეროში ან წყალქვეშა ნავების შესყიდვების გარშემო ატეხილ სკანდალთან.

**ძნელად მოიძებნება ისეთი გერმანული ბანკი, რომელიც „პანამურ დოკუმენტებში“ არ ფიგურირებს. კომპანია „მოსეკ ფონსეკას“ დოკუმენტების მიხედვით, მისი სერვისებით ათასობით გერმანელი სარგებლობდა. შუამავლის როლში კი, პრაქტიკულად, ყველა დიდი თუ საშუალო გერმანული ბანკი იყო, რადგან გერმანელი კლიენტები უშუალოდ „მოსეკ ფონსეკას“ არ მიმართავდნენ.**

აღსანიშნავია, რომ „მოსეკ ფონსეკას“ დამფუძნებელი გერმანელია — **იურგენ მოსაკი.** მის კომპანიას შვეიცარიაში, ლიხტენშტეინსა და ლუქსემბურგში აქვს რამდენიმე ოფისი, რომლებშიც გერმანულენოვანი თანამშრომლები მუშაობენ. დოკუმენტებში, რომლებიც „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა“ მოიპოვა, მოხსენიებულია ქვეყნის პრაქტიკულად ყველა ბანკი — მათ შორის, სახელმწიფო ბანკებიც, რომლებმაც შესაბამისი ფედერალური მიწის ინტერესები უნდა დაიცვან და მოგების ნაწილი ფედერალურ ხაზინაში გადარიცხონ. თანაც, ამ ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებში სხედან ფედერალური მიწების ფინანსთა მინისტრები, რომლებიც გადასახადების მთავარი შემკრებნი უნდა იყვნენ. გერმანულ პოლიტიკას არ უნდა უკვირდეს მისი მოქალაქეების მიერ ფულის გადარიცხვა უცხოეთში ან დამალვა ოფშორულ ზონებში.

„გერმანელების სწრაფვა გადასახადების შემცირებისკენ უფრო ძლიერია, ვიდრე მომატებისკენ“, — განაცხადა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ **ერვინ ჰუბერმა** 1990-იანი წლების ბოლოს. ათასობით გერმანელს თავისი ქონება გადაჰქონდა ლუქსემბურგსა და ლიხტენშტეინში, შვეიცარიაში თუ ბრიტანეთის კუნძულებზე — ჯერსისა და გერნსიზე. ამ გერმანელებს შორის არიან მუშები და საშუალო კლასის წარმომადგენლები, ფირმების მფლობელები და მეწარმეები. მათი მრჩევლები კი უფრო ეშმაკურ კომბინაციას მიმართავდნენ — ანგარიშები — კარიბის ზღვის კუნძულებზე, ოფშორული ფირმები — პანამაში, სეიშელზე ან ბრიტანეთის ვირჯინიაზე.

**„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“**

# «დი ველტი»: დაივიწყეთ პანამა. ფულს ბრიტანეთში უფრო ათეთრებენ

**ოფშორულ ზონებზე მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ყველა მხოლოდ პანამაზე ლაპარაკობს. არადა, შედარებით ახლოს მდებარე ქვეყნებში მეტი ფული თეთრდება. „როგორც ჩანს, ამისთვის გერმანიაში გაცილებით მეტი შესაძლებლობებია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია“, — წერს გერმანული გამოცემა „დი ველტი“.**



„სრულიად მსოფლიოდან წამოსულმა მილიარდებმა ლონდონის ლუქს კლასის უძრავი ქონების ბაზარზე მოიყარა თავი, თანაც ისე, რომ ჩრდილში რჩება. ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ რაიონებში 350 ათასი სახლი და ბინა უცხოელი ინვესტორების ხელშია. მაგალითად, გაერთიანებული არაბული საამიროების შეიხი ხალიფის ქონება ტემზის ნაპირებზე მდებარე ქალაქში 1,2 მლრდ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ქონებას ფლობს. პაკისტანის პრეზიდენტმა და ნიგერიის სახელისუფლო ეშელონების წარმომადგენლებმა თავიანთი უძრავი ქონება ლონდონში პანამური კომპანიების დახმარებით შეიძინეს.

პანამური კომპანია „მასეკ ფონსეკას“ მოღვაწეობაზე მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, რამდენიმე დღეა, ცენტრალური ამერიკის ნამცეცა საგადასახადო ოაზისზე ხუმრობს, მაგრამ ამ კონტექსტში არავინ ახსენებს გაერთიანებულ სამეფოს და ეს გასაოცარია: „ევროკავშირმა დიდი ბრიტანეთის სახით ოფშორულ ოაზისებში შესასვლელ კარს მიაგნო“, — მიაჩნია გერმანელი ადვოკატების კოლეგიის წარმომადგენელ **კარსტენ რანდტს.**

აშშ-საც არავინ ახსენებს ოფშორულ სკანდალებში. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ დელავერის შტატში ოფშორული ფირმების ფართო ასორტიმენტი ბიზნესის წარმოების ტიპური მოდელია. ამასთანავე, უკვე რამდენიმე წელია, აშშ ეკონომიკური ზემოქმედებით აიძულებს სხვა სახელმწიფოებს, გასცენ ინფორმაცია თავიანთი მოქალაქეების ფინანსური და საგადასახადო მოღვაწეობის შესახებ უცხოეთში. თვითონ კი ასეთი მონაცემების გაზიარებას არ ჩქარობს“, — ნათქვამია „დი ველტში“ გამოქვეყნებულ მასალაში.

**ის, ვინც თავის საცხოვრებელს ტემზის ნაპირებზე მდებარე ქალაქში დაარეგისტრირებს, გადასახადს იხდის მხოლოდ იმ შემოსავლებიდან, რომლებსაც დიდ ბრიტანეთში საქმიანობით იღებს. ფული ხშირად აღმოჩნდება ხოლმე იმ კონსტრუქციებში, რომლებიც მხოლოდ აქ არის: ეს არის ბრიტანული სატრასტო ფონდები, რომლებიც კლიენტებს შესაძლებლობას აძლევს, შეინარჩუნოს ანონიმურობა.**

„საგადასახადო ოაზისების შავ ხვრელში შესასვლელი კარი ლონდონშია, მდიდარი ადამიანებისთვის, სახელდობრ, ლონდონიდან არის ხელმისაწვდომი საგადასახადო ოაზისები, პირველ რიგში, ვირჯინიის კუნძულებზე მდებარე“, — ასკვნის ექსპერტი საგადასახადო საკითხებში, ჰანოვერის იურიდიული ფირმის წარმომადგენელი **მიხაელ ვებერ-ბლანკი.**

„ასეთი მდგომარეობა ლონდონს თავისი ფინანსური პოზიციების განმტკიცებისა და ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას აძლევს. სწორედ ამიტომ არ არის დაინტერესებული დიდი ბრიტანეთი მისი გავლენის სფეროში არსებულ საგადასახადო ოაზისებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალოს“, — აღნიშნავს ევროპის ეკონომიკური კვლევების ცენტრის თანამშრომელი **ანდრეას პაიხალი.**

ფულს გერმანიაშიც ათეთრებენ. ლაპარაკია ყოველწლიურად 100 მლრდ ევროზე, — წერენ სტატიის ავტორები.

**„დი ველტი“**

> **«სრულიად მსოფლიოდან წამოსულმა მილიარდებმა ლონდონის ლუქს კლასის უძრავი ქონების ბაზარზე მოიყარა თავი, თანაც ისე, რომ ჩრდილში რჩება. ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ რაიონებში 350 ათასი სახლი და ბინა უცხოელი ინვესტორების ხელშია. მაგალითად, გაერთიანებული არაბული საამიროების შეიხი ხალიფის ქონება ტემზის ნაპირებზე მდებარე ქალაქში 1,2 მლრდ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ქონებას ფლობს»**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანები ყოველწლიურად 64 მლნ კუბურ მეტრ წყალს მოიხმარენ და ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი სითხის მოხმარება გამუდმებით იმატებს. იმ პერიოდიდან, როცა პლანეტის მოსახლეობა 3-ჯერ ნაკლები იყო, წყლის მოხმარება 17-ჯერ გაიზარდა, 20 წლის შემდეგ კი მტკნარ წყალზე მოთხოვნა კიდევ სამჯერ მოიმატებს.**

# 25 წლის შემდეგ დედამიწის მოსახლეობა მტკნარი წყლის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება

**წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, რომ დედამიწაზე მტკნარი წყალი უკვე 25 წლის შემდეგ აღარ იქნება საკმარისი. და ეს მოხდება პლანეტის მოსახლეობის სიჭარბის გამო.**

პლანეტის მოსახლეობამ უკვე გადააბიჯა 7-მილიარდიან ზღვარს. დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად 83 მილიონი ადამიანით იმატებს. **მეცნიერები ამბობენ, რომ ადამიანები ყოველწლიურად 64 მლნ კუბურ მეტრ წყალს მოიხმარენ და ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი სითხის მოხმარება გამუდმებით იმატებს. იმ პერიოდიდან, როცა პლანეტის მოსახლეობა 3-ჯერ ნაკლები იყო, წყლის მოხმარება 17-ჯერ გაიზარდა, 20 წლის შემდეგ კი მტკნარ წყალზე მოთხოვნა კიდევ სამჯერ მოიმატებს.**

ამჟამად ყოველი მე-6 ადამიანი მტკნარი წყლის დეფიციტს განიცდის, ხოლო ყოველი მეხუთე ცხოვრობს რაიონებში, სადაც სასმელი წყლის მწვავე უკმარისობაა. ამასთანავე, დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს ქვეყნებში, რომლებშიც სასმელი წყლის დეფიციტი ინფრასტრუქტურის არარსებობითაა გამოწვეული. **სასმელი წყლის უკმარისობა არის იმ რაიონებშიც კი, რომლებშიც უხვი ატმოსფერული ნალექი მოდის და მტკნარი წყლის მარაგიც დიდია,** თუმცა ეს მარაგი უსაზღვრო არ არის და მალე ამოიწურება. კვლევის შედეგების მიხედვით, **უკვე 10 წლის შემდეგ ქვეყნების ნახევარზე მეტს სასმელი წყლის დეფიციტით გამოწვეული პრობლემები შეექმნება, XXI საუკუნის შუა წლებში კი წყურვილით სიკვდილის საფრთხე დაემუქრება. და ეს იმ ფონზე, როდესაც პლანეტის მოსახლეობა განუხრელად იმატებს.**

მხოლოდ აფრიკაში 2020 წელს კლიმატის ცვლილების გამო სასმელი წყლის გარეშე დარჩება 200 მლნ-მდე ადამიანი, უფრო მეტიც — უდაბნო და ნახევრადუდაბნო რეგიონები კიდევ უფრო გაუწყლოვდება და დაიწყება მოსახლეობის მიგრაცია. ექსპერტთა გათვლებით, მშობლიური კერიდან შეიძლება აიყაროს 700 მილიონამდე ადამიანი. ვარაუდობენ, რომ ისინი წავლენ ჩრდილოეთისკენ, ევროპაში. **მტკნარი წყლის დეფიციტის გამო, გამორიცხული არ არის, შეიარაღებული კონფლიქტები ქვეყნებს შორის. შეიძლება ბევრს აღარც კი ახსოვს, რომ „არაბული გაზაფხულის" საკვანძო მომენტი იყო ნალექის შემცირება და გვალვები ეგვიპტის, ტუნისის, ლიბიის, სირიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.**

ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ **ნალექების რაოდენობის კორექტირება, რათა ამა თუ იმ ქვეყანაში წვიმა დიდი ხნის განმავლობაში არ მოვიდეს და ამას სახალხო მღელვარება მოჰყვეს, დიდი ხანია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული აღმოჩენა აღარ არის. და ადამიანებს, რომლებსაც არსებობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროს გარეშე დარჩენა ემუქრებათ, როგორიც არის მტკნარი წყალი, ფსიქიკური გადახრები ეწყებათ.** თანაც, ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს და ალბათობა სამხედრო შეტაკებებისა და ტერორისტული აქტებისა სასმელი წყლის დასაუფლებლად ყოველწლიურად მოიმატებს.



სასმელი წყლის უკმარისობის მწვავე პრობლემის წინაშე უკვე არის აფრიკისა და აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეს პრობლემა წყლის რესურსით მდიდარ საქართველოს არ შეეხება, მაგრამ ჩვენს ახლოს ბევრია ისეთი ქვეყანა, რომლებიც უკვე განიცდის მტკნარი წყლის დეფიციტს, ამიტომ **საქართველოს ხელისუფლების, საერთოდ, ქართველი საზოგადოების ვალია, გაუფრთხილდეს და დაიცვას თავისი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის მწვავე დეფიციტიც სულ რამდენიმე წელიწადში შეიქნება მსოფლიოში.**

**საქართველოს ხელისუფლების, საერთოდ, ქართველი საზოგადოების ვალია, გაუფრთხილდეს და დაიცვას თავისი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის მწვავე დეფიციტიც სულ რამდენიმე წელიწადში შეიქნება მსოფლიოში**



**ცნობისთვის:**

**მტკნარი წყალი — ეს არის ხელმისაწვდომი წყლის ნაწილი, რომელიც მარილს მინიმალური რაოდენობით შეიცავს. წყალი თუნდაც ორთქლის ან ყინულის ფორმით, რომელშიც მარილი 0,1%-ს არ აჭარბებს, მტკნარია. ყინულის მასივები (მაგალითად, აისბერგები) ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების რაიონებში და მყინვარები ყველაზე მეტ მტკნარ წყალს შეიცავს. გარდა ამისა, მტკნარი წყალი არის, აგრეთვე, მდინარეებსა და ნაკადულებში, მიწისქვეშა წყლებში, მტკნარ ტბებსა და ღრუბლებში. მტკნარი წყალი დედამიწის წყლების 2,5-3%-ია.**

## საქართველოს წყლის რესურსი

*** წყლის რესურსების მართვა საქართველოში რეგულირდება კანონებით „გარემოს დაცვის შესახებ", „წყლის შესახებ", „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ", აგრეთვე, გარემოს დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტებით.**

* საქართველოს მდინარეების წლიური ჯამური ჩამონადენი 65 800 კუბ. მეტრია, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე — 56 500 მლნ კუბ.მ., სულ საქართველოში 26 060 მდინარეა, მათ შორის, 99,4% — მცირე (სიგრძე 25 კმ-ზე ნაკლები); ჰიდროლოგიურად შესწავლილია 555 მდინარე შავი ზღვის აუზში და 528 მდინარე — კასპიის ზღვის აუზში.

*** საქართველოში 860-მდე ტბაა. უმეტესობა ძალიან პატარა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170კვ.კმ-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0,24%), მათი უმეტესობა მტკნარია. საქართველოში ფართობით ყველაზე დიდია ტბა ფარავანი, მოცულობით — ტაბაწყურის, სიღრმით — რიწის (იგი უღრმესია ამიერკავკასიის ტბებს შორის).**

* საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (მტკნარი, მინერალური და თერმული), რომლებიც ხასიათდება დიდი რესურსით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და, მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, დროში განახლებით. მტკნარი მიწისქვეშა წყლები ყველაზე ძვირფასი წიაღისეული და სასმელად ვარგისი, უმაღლესი ხარისხის წყლების, ყველაზე საიმედოდ დაცული წყაროა. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისთვის უპირველეს მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და ამიტომაც ითვლება უნიკალურ წიაღისეულად, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა. მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილს — 95%-ს შეადგენს სასმელი წყლები, რომლებიც ფართოდ, მაგრამ არათანაბრად არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. მათი საერთო რაოდენობის 63,4% მოდის დასავლეთ საქართველოზე, 24,1% — აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 12,5% — სამხრეთ საქართველოზე. უდიდესი ნაწილი დამტკიცებული მარაგებისა მოდის 17 საბადოს სამკურნალო წყლებზე, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო აბაზანებისთვის – მაგალითად, წყალტუბოში, მენჯში და სხვ.

მინერალური წყლების მეორე ჯგუფი გამოიყენება ადგილზე სასმელ-სამკურნალოდ და ჩამოსასხმელად (ბორჯომი, ნაბეღლავი), ასევე სამკურნალო აბაზანებში (კურორტებზე).

მესამე ჯგუფი მინერალური წყლებისა, რომელთა დამტკიცებული მარაგები 6 ათას კუბურ მეტრს აჭარბებს დღეღამეში, გამოიყენება მხოლოდ ჩამოსასხმელად (მაგ., საირმე, მიტარბი).

**ნალექების რაოდენობის კორექტირება, რათა ამა თუ იმ ქვეყანაში წვიმა დიდი ხნის განმავლობაში არ მოვიდეს და ამას სახალხო მღელვარება მოჰყვეს, დიდი ხანია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული აღმოჩენა აღარ არის. და ადამიანებს, რომლებსაც ემუქრებათ არსებობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროს გარეშე დარჩენა, როგორიც მტკნარი წყალია, ფსიქიკური გადახრები ეწყებათ**



ამ გარყვნილი ჟურნალისტიკისგან მომდინარე, ყველაზე დიდი საფრთხე არის ის, რომ ამზადებს „რეჟიმის შესაცვლელად“ საჭირო ნიადაგს, რაც იწვევს ქვეყნების დესტაბილიზაციას, ანგრევს ჭეშმარიტ დემოკრატიას და ხელს უწყობს სამოქალაქო ომების გაჩაღებას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კორუფცია, როგორც დასავლეთის პროპაგანდისტული იარაღი

## «დასავლურმა მედიასაშუალებებმა, უკვე დიდი ხანია, უგულებელყვეს ცნება ობიექტურობა»

**აშშ-ში გაბატონებული ჟურნალისტიკისა და პროპაგანდის ერთმანეთისგან გარჩევა სულ უფრო რთული ხდება იმ „კორუფციული“ ისტორიების ნაკადის ფონზე, რომლებიც მიმართულია რუსეთის, მისი პრეზიდენტისა და სხვა ქვეყნების ლიდერების დემონიზაციისკენ.**




სამწუხაროდ, ჟურნალისტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვალეობა, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, კეთილსინდისიერება ადამიანის უფლებების დარღვევისა და საფინანსო კორუფციის გამოვლენისას, ისე დაბლა დაეცა ბევრი ავტორის კარიერული მისწრაფებისა და სახელმწიფო პროპაგანდის მოთხოვნების გავალისწინების გამო, რომ, როცა გაბატონებული მედიასაშუალება იუწყება სენსაციურ ისტორიაზე, რომლის ყურადღების ფოკუსშიც ერთ-ერთი „ბოროტმოქმედია“, ყოველთვის ჩნდება ეჭვი ობიექტურობაზე.

ასეთი „ჟურნალისტიკა“ ხშირად არის „რეჟიმის მორიგი შეცვლის“ მაუწყებელი ან რომელიმე უცხო ქვეყნის ლიდერის დელეგიტიმაციისა „დემოკრატიის წინ წამწევთა“ მიერ ორგანიზებული „ფერადი რევოლუციის“ დაწყების წინ. ამ „დემოკრატიის დამცველ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს კი ამერიკის „დემოკრატიის ნაციონალური ფონდი“ ან რომელიმე ნეოლიბერალი ფინანსისტი, მაგალითად, ჯორჯ სოროსი, აფინანსებს.

დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ იწყება „რეჟიმის შეცვლის“ მორიგი რაუნდის მოსამზადებელი ეტაპი კორუფციაში ბრალდებით, რომელიც მიმართულია ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტის — **ლუის და სილვასა** და რუსეთის ლიდერის — **ვლადიმერ პუტინის** წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიპუტინური ბრალდებები, რადგან **ე.წ. პანამურ დოკუმენტებში, რომლებშიც თითქოს მითითებულია რუსეთის ლიდერის კავშირი ოფშორულ გარიგებებთან, პუტინი საერთოდ, არ არის მოხსენიებული.**

**დასავლეთის მიერ პუტინი დემონიზებული რომ არ იყოს, სტატია, რომელშიც მისი სახელი ყოველთვის მოხსენიებულია ისეთი სიტყვების გვერდით, როგორიცაა „როგორც ჩანს“, „სავარაუდოდ“, „თითქოს“, ვერასოდეს გასცდებოდა რედაქტორის კომპიუტერის მონიტორს.**

დიდი ხანია, ჟურნალისტური ობიექტურობა დასავლეთის პროპაგანდისტულ ინტერესებს ემსახურება, რადგან დასავლეთი შეშფოთებულია ბრიჩსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა — რედ.) ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდით და იმით, რომ ის უკვე უწევს კონკურენციას G7-სა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

მსოფლიოს საფინანსო სისტემის კონტროლს ამერიკის პრიორიტეტებში ცენტრალური ადგილი უკავია და დასავლეთს თავისი მონოპოლიის მოწინააღმდეგე არ სჭირდება.

ამ გარყვნილი ჟურნალისტიკისგან მომდინარე ყველაზე დიდი საფრთხე არის ის, რომ ამზადებს „რეჟიმის შესაცვლელად“ საჭირო ნიადაგს, რომელიც იწვევს ქვეყნების დესტაბილიზაციას, ანგრევს ჭეშმარიტ დემოკრატიას და ხელს უწყობს სამოქალაქო ომების გაჩაღებას.

**ნეოკონსერვატიული ოცნება მოსკოვში „რეჟიმის შეცვლაზე“ ძალიან სახიფათოა რუსეთისა და სრულიად მსოფლიოსთვის. მიუხედავად იმისა, რას ფიქრობთ მასზე, პრეზიდენტი პუტინი რაციონალური პოლიტიკური ლიდერია, რომლისთვისაც ემოციური გადაწყვეტილებების მიღება დამახასიათებელი არ არის. პუტინის ხელმძღვანელობის სტილი გამოძახილს ჰპოვებს რუს ხალხში, რომლის დიდ უმრავლესობას, ყველა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დადებითი განწყობა აქვს ქვეყნის ლიდერის მიმართ.**

**„კონსორციუმ.კომ“**



# თურქეთში სირიასა და ერაყში მოპარული ანტიკვარიატით ვაჭრობენ

**ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ სირიასა და ერაყში მოპარული ანტიკვარიატი თურქეთში გააქვს გასაყიდად.**

„კულტურული მემკვიდრეობის საგნებით ვაჭრობის უდიდეს ცენტრად თურქეთის ქალაქი გაზიანთეფი იქცა, სადაც მოპარული ფასეულობები არალეგალურ აუქციონებზე იყიდება, შემდეგ კი ეს საგნები ანტიკვარიატის ადგილობრივ მაღაზიებში ხვდება. ამას გარდა, კონტრაბანდული არტეფაქტებით, მონეტებითა და საიუველირო ნაკეთობებით ვაჭრობენ იზმირში, მერსინსა და ანტალიაში.

# კოსოვოს პრეზიდენტად მაფიოზი და ადამიანის ორგანოებით მოვაჭრე აირჩიეს

**7 აპრილს კოსოვოს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ხაშიმ ტაჩიმ პრეზიდენტის ფიცი დადო. მას ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ადანაშაულებს სამხედრო დანაშაულების ჩადენაში, ნარკოტიკებითა და ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში.**



ფიცის დადების ცერემონიას, რომელიც კოსოვოს პარლამენტის შენობაში გაიმართა, საპროტესტო აქციები მოჰყვა: ოპოზიციის წარმომადგენლებმა შენობის ფანჯრებს ქვები დაუშინეს, მაგრამ შემდეგ პოლიციელებმა ისინი განდევნეს. ხაშიმ ტაჩი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ თავის ძალისხმევას მიმართავს „კოსოვოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ“, აგრეთვე, „კონსტიტუციის, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვისა და ყველა მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ“.

ტაჩიმ, აგრეთვე, განაცხადა, რომ სერბ და ალბანელ ხალხს აქვთ „ერთი მწარე წარსული, მაგრამ წინ უნდა იარონ. კოსოვომ კი სერბეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ასაწყობად უნდა იმუშაოს“.

ხაშიმ ტაჩი 2008 წლის 17 თებერვლის შემდეგ, როდესაც კოსოვომ ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტია. წარსულში ტაჩი კოსოვოს პრემიერმინისტრი იყო, უფრო ადრე — „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც სერბები სამხედრო დამნაშავედ მიიჩნევენ. **ხაშიმ ტაჩი მოხსენიებულია ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილი მთავარი პროკურორის — კარლა დელ პინტეს წიგნში „ნადირობა: მე და სამხედრო დამნაშავეები“. დელ პინტე ამტკიცებს, რომ ტაჩი „სისხლიანი მიზნებით“ იყო დაკავებული — ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა.**

2010 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურმა მომხსენებელმა, შვეიცარიელმა დეპუტატმა **დიკ მარტიმ** ალბანეთის ხელისუფლება ადამიანის ორგანოებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში დაადანაშაულა. დიკ მარტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ დანაშაულში ჩართულნი იყვნენ კოსოვოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მათ შორის — ხაშიმ ტაჩიც, რომელიც კოსოვოს კონფლიქტის პერიოდში ადამიანის ორგანოებით მოვაჭრე ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.




# «მულტიკულტურიზმი კლავს!»

**ავსტრიაში მსახიობ-მიგრანტებს ულტრამემარჯვენეები დაუპირისპირდნენ**

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ნაციონალისტებმა მიგრანტი მსახიობების სპექტაკლი ჩაშალეს. ერთ-ერთ სტუდენტურ თეატრში ახალგაზრდები დგამდნენ ნობელის პრემიის ლაურეატის — ელფრიდა ელინეკის პიესას, რომელიც ევროპაში მიგრანტების მძიმე ბედზე მოგვითხრობს. უცებ სცენაზე ავარდა ათეულობით ულტრამემარჯვენე, რომლებმაც ირგვლივ მიასხ-მოასხეს ხელოვნური სისხლი და დაყარეს ფურცლები წარწერით „მულტიკულტურიზმი კლავს“. მსახიობებს გამოექომაგნენ მაყურებლები და ატყდა გაწევ-გამოწევა. მოგვიანებით სპექტაკლი მაინც გაგრძელდა.

**ფოსტა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი ძალა, რომელსაც დასავლეთისკენ აქვს გეზი აღებული, მხოლოდ თავის დივიდენდებზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხოლო მათი ნებისმიერი საარჩევნო დაპირება ფუჭი და ყალბია, განურჩევლად იმისა, „ქართულ ოცნებას“ დაირქმევს თუ „პატრიოტს“. სამოქალაქო საზოგადოებას ამჟამად პულსი არ ესინჯება, ხოლო №1 მოქალაქე, რომელმაც ქართველ საზოგადოებას ქართული ოცნება მოუკლა და დაუსაფლავა, დასავლეთის დირექტივების უპირობო შემსრულებელია.**

# პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ დემორალიზაცია გამოიწვია

„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვა?“
**დ. გურამიშვილი**

**„საქართველომ არჩევანი ცივილიზებულ სამყაროსა და რუსეთს შორის უნდა გააკეთოს!“ — ეს ფრაზა ეკუთვნის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას რეგულარულად შეახსენებენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსი საფრთხეშია და არ უნდა შეიცვალოს.**



რა არის ცივილიზაცია? „ცნობიერების, მენტალიტეტის, რელიგიის, კულტურის, ცხოვრებისა და აზროვნების ერთობლიობა, რომელიც ერის, სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა შორის კავშირების ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავს“, — ვკითხულობთ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში. აქვე მითითებულია, რომ ცივილიზაცია არის საზოგადოების განვითარების მე-3 საფეხური, რომელიც ველურობასა და ბარბაროსობას მოსდევს. ევროპული ქვეყნები დღეს, ძირითადად, ტექნიკური პროგრესის ქვეყნებად აღიქმება, მაგრამ რა ცნობიერების, სულიერების, მენტალური და რელიგიური კულტურის მქონეა ამ ქვეყნების პოლიტიკა? ანტიკური გონიერება შერწყმული ქრისტიანულ მორალსა და ზნეობასთან — ეს ევროპული ღირებულებაა, მაგრამ ინკვიზიციებით დაღდასმული ევროპა მოსახლეობისთვის სოციალური ფონის გაუმჯობესებით ცდილობს ხალხის ნდობის მოპოვებას, **ევროპული პოლიტიკა ასოცირებულია სხვადასხვა კატეგორიის უზნეობასთან, ესენია: ჰომოსექსუალიზმი, პედოფილია, ინცესტი, ბავშვთა პორნოგრაფია, ნეკროფილია, ზოოფილია, ნათლობის აკრძალვა. ევროპულმა ე.წ. თავისუფლებამ დანაშაულის წარმოუდგენელი კატეგორიაც კი წარმოშვა — ინფანტოფილია, ანუ სექსუალური ლტოლვა ახალშობილთა მიმართ და ჩვენი გონებისთვის მოუწვდომელ იდეებსაც უნდა ველოდოთ გამრუდებული ფსიქიკის მქონე ცხელი თავებისგან.** ევროპაში მოქმედებს კანონი მშობლებისგან ბავშვების განრიდებისა, რაც ხდება თუნდაც იმის გამო, რომ ბავშვმა მართლმადიდებლური იდეოლოგიის მქონე ლექსი წაიკითხა.

**ევროპასთან „ასოცირებულ“ საქართველოს საზღვრებს ნიაღვარივით ასკდება უზნეობა, სიბილწე და მას ველარ ვაკავებთ. სირცხვილია, საქართველოში ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის სადისკუსიო თემად ვაქციოთ და კონსტიტუციაში ჩაწერით ვცდილობდეთ, თავი დავიცვათ უზნეობის დამკვიდრებისგან. პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ გამოიწვია დემორალიზაცია. არასდროს ასე წახალისებული არ ყოფილა საქართველოში უზნეობა, როგორც დღეს.** რა ხდება განათლების სისტემაში? — ჩვენივე ქვეყანაში ეროვნული და ქრისტიანული მორალისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებს უნდათ, აღზარდონ ბავშვები, ტვინი გამოურეცხონ, გონება წაუბილწონ და ქართული ცნობიერების მკვლელებად აქციონ.

**უკვე ვიცით, რა ზნეობის მქონეა ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნების მიერ გაკვალულ გზაზე უნდა ვიაროთ იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლება გულუხვად დაფინანსდეს ქვეყნისა და ხალხის ღალატის ხარჯზე? რა შედეგი გამოიღო „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების დასავლეთის „მაღალი დონის“ სენატორებთან თავქუდმოგლეჯილმა სირბილმა, შეასმინეს რაიმე ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ და ამიტომ აქვთ ევროკომისიის წარმომადგენლებს „მართლმადიდებლური ჭინთვები“ ჩვენი პატრიარქის წინააღმდეგ?** იქნებ ამ „მაღალი დონის“ სენატორებმა სააკაშვილი დამნაშავედ ცნეს და ამიტომ არ გაამწესეს უკრაინის დასანგრევად? ამ ვაიპატრიოტებმა ვერ შეიგნეს (ან შეგნებულად თავს ისულელებენ დასავლეთიდან მწვანე შუქის მოლოდინში), რომ საქართველო დასავლეთს ერთ უხერხულ ადგილზე ჰკიდია თავისი პოზიცია-ოპოზიციითა და ხალხით, ჩვენით მხოლოდ მანიპულირებენ და თავიანთ ინტერესებს ახორციელებენ. **ჭეშმარიტად ეროვნული გზა კი აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და რუსეთზე გადის. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ნებისმიერი ძალა, რომელსაც დასავლეთისკენ აქვს გეზი აღებული, მხოლოდ თავის დივიდენდებზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხოლო მათი ნებისმიერი საარჩევნო დაპირება ფუჭი და ყალბია, განურჩევლად იმისა, „ქართულ ოცნებას“ დაირქმევს თუ „პატრიოტს“. სამოქალაქო საზოგადოებას ამჟამად პულსი არ ესინჯება, ხოლო №1 მოქალაქე, რომელმაც ქართველ საზოგადოებას ქართული ოცნება მოუკლა და დაუსაფლავა, დასავლეთის დირექტივების უპირობო შემსრულებელია.**

საქართველოს ყველა ხელისუფლებამ ამერიკის უღელი დაადგა ქართველ ხალხსა და საქართველოს ისე, რომ არც უკითხავს ქართველებისთვის, გვინდა კი ბრიუსელისა და ამერიკის დიქტატით ცხოვრება. **საგარეო ვალის გაზრდის მეტი ევროპას საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია, განსხვავებით სოციალისტური რუსეთისგან, რომელთან ურთიერთობის პერიოდში საქართველო ყველა მიმართულებით ყვაოდა.** თუ ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეა ორიენტირებული, ჰკითხოს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს: უნდათ ასეთი საქართველო კაცური ღირსების შემლახველი ანტიდისკრიმინაციული კანონებითა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე მოლაყბე პოლიტიკანებით? **ბუნებრივია, რომ გარე ძალების გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყანა საკუთარ სახეს კარგავს და ის საინტერესო აღარ იქნება ოსებისა და აფხაზებისთვის. ახლაც ცდილობს ხელისუფლება მათ მოხიბვლას ევროპაში უვიზო მიმოსვლით, მაგრამ არ მოიხიბლნენ და სწორადაც მოიქცნენ.** რას ფიქრობს ხელისუფლება — რუსეთი დაუშვებს, რომ მისი საზღვარი და შავი ზღვის სანაპირო დასავლეთმა აკონტროლოს?! **დღეს დასავლეთისკენ მისგან დამონებული და ღირსებააყრილი საქართველოს ხელისუფლება ილტვის.** „ფული და ძალაუფლება“ — აი მისი იდეალი.

რატომ უნდა დავდიოდე თავჩაღუნული, როცა ყოველ ათ ნაბიჯზე გაუბედურებულ თანამემამულეს ვხედავ და დახმარება არ შემიძლია? ხოლო თქვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ ფონზე რატომ უნდა ზრდიდეთ კიდევ 42 მილიონით სამთავრობო ხარჯებს?! 25 წლის წინათ, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ეს ჩვენი ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობის გარანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მივიღეთ ნგრევა და უბედურება, გავხდით ამერიკის კოლონია. **ჩვენი დამოკიდებულება ამერიკასთან — ეს არის დაპყრობილი, დამონებული ქვეყნის დამოკიდებულება და ხელისუფლებას ერთი საკვანძო საკითხის გადაწყვეტაც არ შეუძლია დამოუკიდებლად.** ამერიკის ე.წ. დემოკრატიული იდეალებისთვის ბრძოლა თითქმის იგივეა, რისთვისაც წარსულში რევოლუციური იდეალებისთვის აკრიტიკებდნენ რუსეთს, იმ განსხვავებით, რომ ასეთი მასშტაბური დამანგრეველი ომები რუსეთს სხვა ქვეყნებში არ უწარმოებია. დასავლეთი ახლო აღმოსავლეთში ყიდის იარაღს და აკონტროლებს ნავთობს. ეს ოკუპირებული ქვეყნები ანტიკვარული ნივთებისგან იძარცვება. არბევენ ფასდაუდებელი რელიკვიების მქონე მუზეუმებს და იყო შემთხვევები, როცა ეს ნივთები ამერიკის კორნელის უნივერსიტეტში აღმოჩნდა. ერაყის, სირიის, ლიბიის, ეგვიპტის ძარცვაში კი დამნაშავენი დასავლეთის პოლიტიკოსები და სამხედროები არიან, ხოლო მიგრანტების კრიმინალური ქმედებები შუაგულ ევროპაში საზღაურია იმისა, რაც მათ ქვეყნებს დამართეს.

ქვეყანას, რომელშიც 4 პრეზიდენტი მოკლეს და გაყალბებული მტკიცებულებებით უდანაშაულო ადამიანებს ასამართლებენ, 62 მოწმის სიცოცხლეს კი ხელყოფენ, შეიძლება, დემოკრატიული უწოდო და მის დამყაყებულ იდეებს შევწიროთ ჩვენი თანამემამულეები? **ქვეყანა, რომელშიც ჯერაც არ არის გახსნილი შეკვეთილი მკვლელობები, საქართველოს მისცემს საშუალებას, გახსნას შეკვეთილი მკვლელობები?** არც გაიხსნება! თუ ჟვანია ამერიკის დემოტრაკიის შუქურასთან დაპირისპირებამ იმსხვერპლა, ამერიკის ინტერესები ასევე გადაკვეთეს **ზვიად გამსახურდიამ** და **ბადრი პატარკაციშვილმა.** ამ მკვლელობების გახსნა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. დაინტერესებული პირები აყალბებენ გამოძიების შედეგებს და მალავენ სიმართლეს, ხოლო ძალადობრივი სიკვდილის შემოქმედი თვითონ ხელისუფლებაა არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მის „მეგობარ“ ქვეყნებშიც, სადაც თავიანთი ინტერესების განხორციელება ძალუძთ. საქართველოში კრიმინალური რეჟიმის რეანიმაცია სურთ და ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დასავლეთი ადამიანის უფლებებს არც ერთ ქვეყანაში არ იცავს.

**საქართველოს ხელისუფლება ანტირუსულ რიტორიკაზეა გადასული, ამერიკელთა იმედით გულმოცემული ატომურ რუსეთს უპირისპირდება და ულტიმატუმის ენით ელაპარაკება, ამას თვით ამერიკის პრეზიდენტიც ვერ ბედავს. ასეთი გაუაზრებელი რიტორიკით ხელისუფლება საფრთხეს უქმნის საქართველოს, ხოლო რუსეთს ამით არაფერი აკლდება.**

განა №1 ლიბერასტი — **უსუფაშვილი** არ ღნაოდა, რუსეთზე ზეწოლა გავაძლიეროთო? ანტირუსული ისტერიკა აშკარაა: მკვლელი სავჩენკოს განთავისუფლების მოთხოვნა თუ „გაზპრომის“ საწინააღმდეგო დაფინანსებული აქციები. ეს შემოგდებული თემებია, ამერიკელთა დაკვეთის შემსრულებელი ადამიანები კი ქართულ ცნობიერებას, საკუთარ სამშობლოს უცხადებენ ომს. ან აქვთ კი „სამშობლოს განცდა განსაკვირველი?“ ხელისუფლების არჩევანი ე.წ. ცივილიზებულ სამყაროზე გათვლილია მხოლოდ მის ინტერესებზე, რათა სისტემა არ შეიცვალოს და კვლავ დაფინანსდეს, მაგრამ რის ფასად? ქართველმა ხალხმა უნდა დაკარგოს ეროვნება, მამის სახელი, ტერიტორიები, ზნეობა, ტრადიციები, გადაიხვეწოს უცხო ქვეყანაში, მონურად ემსახუროს ვიღაც ვიგინდარას, ქართველი ერი აღარ იყოს დომინანტი თავის სამშობლოში, თავისუფლების ის კოეფიციენტიც აღარ ჰქონდეს, რომლისთვისაც დღეს რუსეთს სიძულვილის ენით მოიხსენიებენ, არანაირი ნიშნით აღარ ვიყოთ დაცულნი, როგორც ადრე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, მივიღოთ და შევასრულოთ დასავლეთის დირექტივები და თურმე პატივიც უნდა ვცეთ, მეტიც, სიყვარულის ენით ველაპარაკოთ?! ეს მტრობაა სამშობლოსი და ქართველი მტრებს ყოველთვის მტრულად ხვდებოდა!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მიხეილ ჯანელიძემ** თავის მოხსენებაში ამერიკას გადაუხადა მადლობა იმ „პროგრესისთვის“, რომელსაც საქართველომ მიაღწია. „დიდი მადლობა უწყვეტი მხარდაჭერისთვის“, — ღნავიან ლიბერასტები. ამ „მხარდაჭერამ“, ფაქტობრივად, დაგვაკარგვინა ტერიტორიები, დაგვიძაბა ურთიერთობა რუსეთთან, ხელი შეუწყო აზროვნების დეგრადაციას და **ყველა უბედურება, რომლებიც დღეს საქართველოში ხდება, ამერიკის „მხარდაჭერის“ შედეგია.** მადლობა მხოლოდ თავისი სახელით უნდა გადაუხადოს მინისტრმა, რადგან, ამერიკა რომ არა, მისი მსგავსი უსახო არსებები ქვეყნის ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ(!).

**კატეგორიულად ვემიჯნები საქართველოში გატარებულ ევროპულ კურსს და ყველაზე მძიმე წონის „ეროვნული“ სანიკიძესავით არ გეტყვით, ახლა კურსის შეცვლა შეუძლებელიაო. საქართველოში ხომ სქესის შეცვლაც გამარტივებულია?! ასევე მარტივად და სასწრაფოდ უნდა გააფორმოს საქართველოს ხელისუფლებამ სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთთან, თუ გვინდა, რომ ერად დავრჩეთ. სწორედ რუსეთის მფარველობის შედეგია ის, რომ დღეს ქართველი გვქვია! მუსლიმანურ თურქეთთან გააფორმეს სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთის ინტერესების საზიანოდ ამერიკის ძაღლისშვილებმა. რა, თურქეთს ჩვენი ტერიტორია არ მიუთვისებია თუ ქართველი გოგო-ბიჭები სტამბოლის ბაზარზე არ გაუყიდია?! ან ახლა თურქეთში წასული ქართველები მონურ შრომას არ ეწევიან?!**

დასასრულ — ვერავინ მიკარნახებს, რა მიყვარდეს და რა მძულდეს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: უზომოდ მიყვარს დასავლეთის მწერლობა, მაგრამ უზომოდ მძულს დასავლეთის პოლიტიკა!

**იზა თამაზაშვილი**

ეკონომიკური წინსვლის ძირითადი და მთავარი რესურსი ადამიანია და, მით უმეტეს, ადამიანთა ის გამორჩეული კონტინგენტი, რომელსაც თავისი ძალისხმევით შეუძლია ამ საქმეში მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი წვლილის შეტანაც კი. სწორედ ამ ადამიანური რესურსის გამოყენებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიული მნიშვნელობის წიაღისეულის გადამუშავებას, ძვირფასი და არამილევადი სასმელი წყლის ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ათვისებას, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი ელექტროენერგეტიკის განვითარებას და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია წერილი

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

**სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ორგანიზმის სრულყოფილი განვითარება და მისი სრულფასოვანი ფუნქციობა, ცხადია, განვითარებული ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია.**

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანისა და აღმასვლისკენ რადიკალურად შემოსაბრუნებლად საჭიროა, დაუყონებლივ ამოქმედდეს ჩვენი ინტელექტუალური სამეცნიერო ელიტის მიერ შემუშავებული კონკრეტული ბიზნესგეგმები, რომელთა საფუძველზეც განსაზღვრული და დასაბუთებულია, როგორც სამეცნიერო თეორიული კვლევებითა და აღმოჩენებით, ისე ექსპერიმენტულად მათი პრაქტიკაში დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა და რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია მასზე ზედნაშენი დარგების განვითარება, რაც, საბოლოო ჯამში, კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში, მოგვცემს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის, ისეთ მძლავრ, სინქრონულ და ავტომატურ რეჟიმში განვითარებას, რომლის შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელიც კი იქნება.

რაც მთავარია, კარგად უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ და ხელისუფლებამაც, რომ ქვეყნის **ეკონომიკური წინსვლის ძირითადი და მთავარი რესურსი ადამიანია და, მით უმეტეს, ადამიანთა ის გამორჩეული კონტინგენტი, რომელსაც თავისი ძალისხმევით შეუძლია ამ საქმეში მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი წვლილის შეტანაც კი. სწორედ ამ ადამიანური რესურსის გამოყენებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიული მნიშვნელობის წიაღისეულის გადამუშავებას, ძვირფასი და არამილევადი სასმელი წყლის ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ათვისებას, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი ელექტროენერგეტიკის განვითარებას და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას.**

ჩვენ, ამ წერილზე ხელისმომწერნი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სწორედ ასეთ პიროვნებებს მიეკუთვნება არაერთ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ნოვატორულ გამოგონებათა ავტორი და პრაქტიკაში დანერგვის ინიციატორი, უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შპს „საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანების" გენერალური დირექტორი, ბატონი **ევგენი უშვერიძე**, რომლის სამეცნიერო გამოგონებათა და აღმოჩენათა შორის თავისი მასშტაბით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოსგან დამზადებულ ქსოვილზე იშვიათი ჯიშის მცენარეების საუკეთესო ნერგების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა (ბრინჯის, შაქრის შემცველი მცენარის — სტევიას, კარტოფილის და სხვ.) და, მათ შორის, უპირობოდ სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტის — ხორბლის 60-დღიანი ციკლით თესვა-მოყვანის უნიკალური ტექნოლოგია, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს და რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რევოლუციური მნიშვნელობის ნოვაციაა, რომელიც დასტურდება შემდეგით: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოუსადეგარ მიწის ნაკვეთზე, **ცხრასართულიან საწარმოო კორპუსში, რომლის განაშენიანების ფართობიც არის 800 კვ.მ (შესაბამისად, 0.08 ჰა), 90-კაციან მომსახურე პერსონალს ყოველწლიურად შესაძლებლობა ექნება, მიიღოს შთამბეჭდავი რაოდენობის, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო 336 ტ ხორბალი, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი 730 ათასი ცალი ვერცხლისფერი ნაძვის ნერგი, 302 ტ სოკო და მისგან დაამზადოს 51 ტ სოკოს ფხვნილი.**

თუ ჩავთვლით, რომ 1 ჰექტარ ტერიტორიაზე, ტრადიციული მეთოდით მოყვანილი ხორბლის რაოდენობა, საუკეთესო შემთხვევაში, საშუალოდ შეადგენს 4 ტონას, მაშინ ამ საწარმოს ერთი ცხრასართულიანი კორპუსის მიერ, რომლის განაშენიანების ფართობიც შეადგენს სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწის 0.08 ჰექტარს, ერთი წლის განმავლობაში წარმოებული ხორბლის რაოდენობა იქნება ბუნებრივ პირობებში 84 ჰექტარ ტერიტორიაზე მოყვანილი ხორბლის რაოდენობის ეკვივალენტური.

ამასთანავე, **საწარმოო კორპუსის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული წლიური შემოსავალი, ყველაზე მოკრძალებული საბითუმო ფასების გათვლებითაც კი, მათი საწარმოო დანახარჯების გამოკლებით, შეადგენს 2.2 მილიონ დოლარს. ეს ნიშნავს, რომ ცხრასართულიანი კორპუსის მშენებლობისა და ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟის საერთო დანახარჯების, 2 მილიონი დოლარის, გამოსყიდვას დასჭირდება მხოლოდ 1 წელიწადი.**



**ცხრასართულიან საწარმოო კორპუსში, რომლის განაშენიანების ფართობიც არის 800 კვ.მ (შესაბამისად, 0.08 ჰა), 90-კაციან მომსახურე პერსონალს ყოველწლიურად შესაძლებლობა ექნება, მიიღოს შთამბეჭდავი რაოდენობის, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო 336 ტ ხორბალი, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი 730 ათასი ცალი ვერცხლისფერი ნაძვის ნერგი, 302 ტ სოკო და მისგან დაამზადოს 51 ტ სოკოს ფხვნილი**

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და, გნებავთ, უსაფრთხოების მიზნითაც კი, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა შევძლოთ საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების სურსათით და განსაკუთრებით ისეთი სტრატეგიული პროდუქტით, როგორიც არის ხორბალი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები არ იშურებენ სუბსიდიებს თავიანთი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება უნდა განხორციელდეს გონივრულად და ეფექტიანად, დარგის პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით.

საქართველოს, ხორბლის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილად — წელიწადში 800 ათასი ტონა ხორბლის საწარმოებლად, საჭირო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დისტრიბუციის თვალსაზრისით, ოპტიმალურად განთავსებული 2381 ცხრასართულიანი კოპუსის ეტაპობრივი, დაახლოებით 6 წლის განმავლობაში მშენებლობა, რომლებშიც, საერთო ჯამში, დასაქმდება 250 ათასამდე ადამიანი.

**2381 კორპუსში წარმოება ყოველწლიურად მოგვცემს 800 ათას ტონა ხორბალს, 121 ათას ტონა სოკოს ფხვნილს, 1.7 მილიარდ ცალ ვერცხლისფერი ნაძვისა და სხვა იშვიათი ჯიშის მცენარეების საუკეთესო ნერგებს და მათი რეალიზაციით მივიღებთ 5 მილიარდ დოლარზე მეტ სუფთა მოგებას, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი ოდენობით და დარჩენილი თანხის 70% გადანაწილდება ინვესტორებს შორის, ხოლო 30% ჩაერიცხება სამეცნიერო ტექნოლოგიების შემქმნელ ჯგუფს.**

ამასთანავე, საქართველო განთავისუფლდება ხორბლის ყოველწლიური იმპორტისგან, რაც შეადგენს არანაკლებ 180 მილიონ დოლარს და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაიაფდება ძირითადი საკვები პროდუქტი — პური.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ **უცხო ქვეყნებში ამ მეცნიერული აღმოჩენის პატენტებისა და ტექნოლოგიური დანადგარების სერიულად დამზადებული კომპლექტების რეალიზაციით მივიღებთ საქართველოს მასშტაბისთვის უპრეცენდენტოდ კოლოსალურ შემოსავალს, სავარაუდოდ, 70 მილიარდ დოლარს.**

**ამ უნიკალური პროექტის განხორციელებით, მკვეთრ, ნახტომისებურ ფინანსურ-ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად, მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში მნიშვნელოვნად ამაღლდება საქართველოს პრესტიჟი და ქართველები, ჩვენი წელთაღრიცხვის ოცდამეერთე საუკუნის პირველ მეოთხედში, უკვე სრულიად სხვა თვისობრივ და ხარისხობრივ ამპლუაში, კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ კაცობრიობას, რომ ნამდვილად ვართ მსოფლიოს ერთ-ერთი ძველი მიწათმოქმედი, შემოქმედებითად მოაზროვნე და კულტურული ერი.**

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც ექსპორტს თითქმის ოთხჯერ აღემატება იმპორტი, როდესაც უმუშევრობით გამოწვეულმა გაუსაძლისმა პირობებმა აიძულა ჩვენი რიცხობრივად ისედაც პატარა ერის მილიონ-ნახევარი მოქალაქე, სამუშაოს საშოვნელად დაეტოვებინა სამშობლო, ხოლო დარჩენილთა დიდი უმრავლესობა, დასამალი არ არის, გაუსაძლის ყოფით მდგომარეობაშია, მიუთითებს იმაზე, რომ ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ვერ შევქმენით ის სისტემური სამართლებრივ-ეკონომიკური გარემო, რომლის საშუალებითაც შევძლებდით, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, გაგვეუმჯობესებინა ქართველი ხალხის სოციალური მდგომარეობა, რაც, პირდაპირ უნდა ითქვას, როგორც ჩვენი სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინტელექტუალური ელიტის, ასევე და განსაკუთრებით ამ ხნის განმავლობაში მოქმედი უმაღლესი სახელისუფლო შტოების დანაშაული და სირცხვილია.

პროექტის რეალურად ამოქმედების წინაპირობაა ჯერ ხორბლის წარმოების საჭიროების გარეშეც თავისთავად ლიკვიდური პროდუქციის, წელიწადში 250 ტონა ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოსა და მისგან ქსოვილისა და ბაზალტოპლასტიკური არმატურის დამამზადებელი საწარმოს აშენება (რისთვისაც შედგენილია შესაბამისი ბიზნესგეგმა) და შემდეგ ხორბლის თესვა-მოყვანის მწარმოებელი ერთი ორსართულიანი კორპუსის მშენებლობა და მისი საჭირო ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვა, რომლის განხორციელებასაც დაახლოებით 7.5 მილიონი დოლარით დაფინანსება დასჭირდება, რაც მოგვცემს საშუალებას, დარწმუნდეს როგორც სახელისუფლო კომისია, ისე ნებისმიერი ექსპერტი მისი ფართო მასშტაბით სახელისუფლო ეგიდით განხორციელების ეფექტიანობაში.

იმედია, ჩვენს კონკრეტულ შემოთავაზებას საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება სწორად გააანალიზებს და გამოიტანს შესაბამის კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას.

**პატივისცემით,**

**რამაზ გახოკიძე**
– საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბიოორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, ბიოსტიმულატორ „ბიორაგის" შემქმნელი;

**დემურ გიორხელიძე**
– საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე 2002-2004 წლებში, დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, ეკონომიკის ექსპერტი და კონსულტანტი;

**სოსო ხონელიძე**
– მშენებელ-ინჟინერი;

**ანზორ დავითაშვილი**
– არქიტექტორი.

საკონტაქტო მისამართი:
ანზორ დავითაშვილი
თბილისი, 0102, დ. აღმაშენებლის გამზ. №82, ბინა 13
ტელ. 593 74 55 03
ელ. ფოსტა:
anzor.davitashvili@mail.ru

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის ყველა ტელეარხი, გაზეთი და რადიოსადგური გაყიდულია. ისინი მღერიან სიმღერებს, რომლებიც მათ დაუწერეს ბანკირებმა — ფედერალური სარეზერვო სამსახურის პატრონებმა. საინფორმაციო სივრცის გასაკონტროლებლად მათ არ სჭირდებათ ინფორმაციის ყველა არხი, საკმარისია ძირითადები, რომლებიც ამ სივრცეს ქმნის. მასმედიის ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ჟურნალისტები ამას აკეთებენ — ზოგი ხელფასის, ზოგიც იდეური მოსაზრებების გამო.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზი$ი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-14 (330-343)

## აშშ-ის სატელიტები კრიტიკის მიღმა

**კრიტიკას არ ექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნები. ეს მხოლოდ ევროპაზე არ ვრცელდება. საუდის არაბეთი, რომელიც სპარსეთის ყურის რეგიონის ნავთობით მდიდარ ქვეყნებს შორის უპირველესია, შტატების ყველაზე ძვირფას მოკავშირედ ითვლება.**

ამერიკისთვის საუდელები ნავთობის ფასზე გავლენის მქონე უმთავრეს პარტნიორებად არიან წარმოდგენილნი. სწორედ ამ ქვეყნის მხარდაჭერით გაუთხარეს საფლავი საბჭოთა კავშირს ამერიკელებმა გორბაჩოვის ექვსწლიანი „პერესტროიკის" ჟამს, როცა ნახშირწყალბადები კატასტროფულად გააიაფეს. სწორედ ამ არაბული სახელმწიფოს მეშვეობით დღესაც ახერხებენ შავი ოქროს ფასის შენარჩუნებას უმდაბლეს ნიშნულზე. **საუდის არაბეთი ნიგერიასთან ერთად ყოველთვის ეწინააღმდეგება ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირებას, რაც გააძვირებდა ნავთობს.** კიდევ ვინ დგას ნავთობით მოვაჭრეთა ამ უცნაური პოზიციის მქადაგებელთა შორის? — „თავისუფლებისმოყვარე" და „დემოკრატიული" **ერაყი,** რომელიც ამერიკელების მიერაა ოკუპირებული. მისი მარიონეტული მთავრობა მზადაა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ შეთანხმებას, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომლებსაც ვაშინგტონის პატრონები ისურვებენ.

**„ჰუმან რაითს ვოჩი"** ყურადღებით აკონტროლებს საუდის არაბეთში ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას. აქ მკაცრი რეჟიმი აქვთ დამყარებული, პრაქტიკულად — შუასაუკუნეების დროინდელი: **უცერემონიოდ ჭრიან თავებს და ჩამოახრჩობენ ოპოზიციონერებსა და ჰომოსექსუალებს — აბა, გაბედოს ვინმემ ლგბტ თემის უფლებებზე კრინტის დაძვრა, მეორე დღესვე თავს ყულფში გაჰყოფინებენ, და არავინ ჩანს ამერიკაში საუდელი გეების დამცველი და დამფინანსებელი. „ჰუმან რაითს ვოჩის" სიბეცეც აქედან მომდინარეობს — 1994-2001 წლებში ამ „მოუსყიდველმა" ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა დარღვევის მხოლოდ შვიდი შემთხვევა შეამჩნია.**

სინდისის თვალის სინათლემ!

სამაგიეროდ, რა მხარგაშლილი და ამბიციურები არიან „ჰუმანისტები" ჩვენთან, საქართველოში, რომლის მიწაში ჩადებას და თავლაფის დასხმას არ მოერიდებიან, ალმაცერად თუ შეხედავს მისი მოსახლეობა „რუსთაველზე მოსეირნე პომადიან ბიჭებს" *(ჯანსუღ ჩარკვიანი).*

ხომ არ გაგიკვირდათ?

„უფლებადამცველები" გახლავან. არცა სტყუიან, რადგან იცავენ უფლებებს აშშ-ისა, სახელმწიფოსი, რომლის პოზიციას შეურყევლად იზიარებენ... არცთუ მცირე ფასად. იცავენ ფედერალური სარეზერვო კომისიის „ფულის საბეჭდი მანქანის" უფლებას, ბეჭდოს და ბეჭდოს დოლარები და დაამყაროს თავისი ჰეგემონია მსოფლიოში.

ამას რომ წაიკითხავთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ყველა ასეთ „უფლებადამცველ" ორგანიზაციას პირი ამოკერილი აქვს და არ აკრიტიკებს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

აკრიტიკებენ, რა თქმა უნდა.

მაგალითი? ინებეთ.

**საერთაშორისო უფლებადამცავმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო ამნისტიამ" გაავრცელა მოხსენება, რომელშიც დაგმობილია ნატოს მოქმედება იუგოსლავიის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევის გამო... ცალკეულ შემთხვევებში.**

მხოლოდ ცალკეული ოპერაციების განხორციელებისას, როცა ჩრდილოატლანტიკურმა ბლოკმა უგულებელყო იუგოსლავიის მოქალაქეთა უფლება, პირველი და უმთავრესი — სიცოცხლის უფლება.

ძველი ამბავია და — გაგახსენებთ:

1999 წელს იუგოსლავიის 78 სადღეღამისო, განუწყვეტელი დაბომბვა აშშ სამხედრო საჰაერო ძალების, ანუ ნატოს თვითმფრინავების მიერ.

არაერთხელ დაბომბეს ალბანელი ლტოლვილების კოლონებიც, რომელთა დასაცავადაც იყვნენ მოწოდებულნი. მაგალითად, **1999 წლის 14 აპრილს (ზუსტად 17 წლის წინათ) 13 საათსა და 30 წუთზე ჯაკოვიცა-პრიზრენის გზაზე, სოფლების — მადანაისა და ნეიეს მახლობლად სამჯერ დაბომბეს ალბანეთის მშვიდობიანი მოქალაქეების კოლონა. ორი საათის განმავლობაში მიწასთან ასწორებდნენ. ქალები, ბავშვები და მოხუცები შინ ბრუნდებოდნენ მანქანებით, ტრაქტორებითა და ცხენშებმული ოთხთვალებით. ღიად, დაუფარავად, მაშასადამე, მათ კარგად ხედავდნენ ნატოელი მფრინავები, ხელის გულზე ჰყავდათ და წარმოუდგენელი იყო, ეს ადამიანები ჯარისკაცებში არეოდათ, ტრაქტორი ჯავშანტრანსპორტიორში შეშლოდათ, ხოლო საზიდრები ტანკებად მოსჩვენებოდათ. შუადღეს, მზიან ამინდში სამჯერ გადაუარეს... გზაზე დამწვარი ცხედრები, ტრაქტორების ჩონჩხებიღა დარჩა.**

„უფლებადამცველთა" რეაქცია როგორი იყო? — აღრიცხეს ფაქტი, ჩაწერეს ანგარიშში, გამოაქვეყნეს. ეს იყო და ეს.

**ნატოს სარდლობის რეაქცია? რეაქცია, რა თქმა უნდა, იყო... ბოდიში მოიხადეს. მორჩა და გათავდა. ინციდენტი ამოწურულია. დამშვიდდი, მსოფლიოვ და საერთაშორისო სამართალოვ! ეს იყო ჩვეულებრივი შეცდომა. დამნაშავეებმა თავზე ფერფლი დაიყარეს. რაღაა დასაწერი ან სათქმელი?!**

აი, **სლობოდან მილოშევიჩი,** იუგოსლავის მეთაური



ნატოს თვითმფრინავების მიერ დაბომბილი მატარებელი და ხიდი სერბეთში

იქცეოდნენ, მაშასადამე, არც „ჰუმანიტარული კატასტროფა" იქნებოდა და ვერც შეიყვანდნენ ჯარს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

კიდევ ერთი ციტატა სლობოდან მილოშევიჩის გამოსვლიდან: „1999 წლის 13 მაისს, ზუსტად ერთი თვის შემდეგ აღნიშნული სისხლიანი ბოროტმოქმედებიდან (ალბანელი ლტოლვილების კოლონის განადგურებიდან), კვლავ განხორციელდა მასობრივი დანაშაული. ალბანელი ლტოლვილების კოლონის დაბომბვისას განხორციელდა მფრინავის რადიოკავშირი სამეთაურო ცენტრთან. ეს საუბარი ჩვენი ტელევიზიით გადაიცა. **მფრინავი ცენტრს აცნობებს, რომ ეს სამხედრო კოლონა არ არის. ტრაქტორებს, გლეხებს, სამოქალაქო მოსახლეობას ხედავს. მაგრამ საკომანდო ცენტრიდან უპასუხებენ — შეასრულე ბრძანება! და გა**-

**რა უნდა დაუბრუნონ ამერიკას ქვეყნებმა, რომლებმაც დოლარები ვალად აიღეს: წიაღისეული, გაეროში ხმის მიცემით მხარდაჭერა, ტერიტორიები ბაზების განსალაგებლად, თავიანთი დამოუკიდებლობა და სული თავიანთი? 2008 წლის აგვისტოში აშშ-მა საქართველოს მისცა კრედიტი. კეთილშობილურ საქმეს ჰგავს: დიდი სახელმწიფო („დერჟავა") დამარცხებულ პატარა ქვეყანას ეხმარება. საქართველო ამ ვალს ვერ გადაიხდის. იგი უფრო და უფრო გაეხვევა ამერიკულ ობობას ქსელში. ქართველი ბიჭები კვლავაც დაიღუპებიან ავღანეთში, ერაყში და მსოფლიოს სხვა „ცხელ წერტილებში". დასჭირდება ვაშინგტონს და კვლავ დაიღვრება სისხლი კავკასიაში**

კი ჰააგის პროცესზე ამ დანაშაულობათა შესახებ საოცარ ამბებს ყვებოდა, ამიტომ იყო, რომ ნაწილ-ნაწილ გახლეჩილი ქვეყნის პრეზიდენტი პოლიტკორექტული ევროპული ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვიდა.

**სასამართლო პროცესი 2002 წლის 12 თებერვალს დაიწყო, 2006 წლის 11 მარტს კი მილოშევიჩი გარდაცვლილი იპოვეს ჰააგის ტრიბუნალის სატუსაღო საკანში. ოფიციალური ვერსიით, გარდაიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტით. როგორც ჩანს, მოწამლეს, რადგან მისი ბრალი ვერ დაამტკიცეს 4 წლის განმავლობაში და სასურველი განაჩენით ვერ დაასრულეს სასამართლო პროცესი.**

ყველაფერთან ერთად, მილოშევიჩი იყო პრეცედენტი: სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტს, რომლის ქვეყანას ომი ფორმალურად არ წაუგია, საზღვარგარეთ ასამართლებდნენ. თავად განსაჯეთ: **გათავისუფლება არ სურდათ, მსჯავრის დადება ვერ მოახერხეს. მაშ, რა?**

გარდაიცვალა და პრობლემაც მოიხსნა.

ალბანელი ლტოლვილების ზევით ნახსენები ფაქტი მილოშევიჩმა ასე ახსნა: **„გეტყვით, რატომ ესროლეს მათ (ალბანელ ტოლვილებს). ესროდნენ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ სოფელში ბრუნდებოდნენ. აგრესორის კონცეფციის საწინააღმდეგოდ, რომელიც მასმედიაში ავრცელებდა ჭორს, თითქოს ალბანელები გაურბიან სერბეთის არმიასა და პოლიციას. ყველას უნდა დაეტოვებინა თავისი სოფელი და არ გაებედა უკან დაბრუნება. აგრესიის დროს, ბომბების გარდა, ყრიდნენ ფურცლებსაც, რომლებითაც მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, რომ გაქცეულიყვნენ. ამავე სულისკვეთებით მოქმედებდა ალბანელების ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ხოცავდა იმ ოჯახების უფროსებს, რომლებსაც არ სურდათ, ყურად ეღოთ ასეთი მოწოდებები, მიეტოვებინათ თავიანთი სახლები და სოფლები.**

**დაბომბვის ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა ნატოს ძალებსა და ამ ტერორისტულ ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთობის, რომელიც გამოიყენებოდა იუგოსლავიის დესტაბილიზაციისთვის",** — აცხადებდა მილოშევიჩი.

შეჭრისთვის საჭიროა მიზეზი. თუ ალბანელები არსად გა**ნახორციელებს სარაკეტო შეტევას 500-600-კაციან კოლონაზე.** ეს ადამიანები სოფელ კორიშაში, თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ. ამრიგად, ომის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ სახლებში, თქვენ კი ამტკიცებთ, რომ „სერბეთის ძალები" მათ სოფლებიდან დევნიდნენ. იმიტომ, რომ ისინი შინ ბრუნდებოდნენ, ნატო მათ ბომბავდა. დაიღუპა ორმოცდაათი ადამიანი, მძიმედ დაიჭრა და შემდეგ გარდაიცვალა ურო მეტი. ეს კიდევ ერთი, საშინელი მაგალითია იმისა, რომ ადამიანები იღუპებიან სქემის მიხედვით, რომლითაც აგრესორი მოქმედებდა იუგოსლავიაში ჩადენილი თავისი ბოროტმოქმედების გასამართლებლად. გთხოვთ, გვაჩვენოთ 1999 წლის 13 მაისს ალბანელი ლტოლვილების წინააღმდეგ ჩადენილი ამ ბორ- ▶

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო პრესა წერდა გუანტანამოს ციხეზეც, რომელშიც ადამიანები დამწყვდეული ჰყავდათ წლების განმავლობაში... გაუსამართლებლად. მათ სამხედრო ტყვეების სტატუსიც კი არ ჰქონდათ, მათზე არ ვრცელდებოდა 1949 წლის ჟენევის კონვენცია. ეს ყველაფერი ხდებოდა აშშ-ში, დემოკრატიის ციტადელში.**



◀ ოტმოქმედების სურათები — დამწვარი ცხედრები, გადაბრუნებული ტრაქტორები. შეხედეთ მოკლულ ბავშვს. იგი ერთ-ერთია იმ 26 ბავშვიდან, რომლებიც დაბომბვისას დაშავდნენ. ერთი — 26-დან! ამაზე დიდი უბედურების წარმოდგენაც კი ძნელია ალბანელებისთვის, რომლებსაც თავიანთ სოფლებში დაბრუნება ეკრძალებოდათ. ვინც ბრუნდება, ესვრიან, საკუთარი თავით პასუხს აგებს დაუმორჩილებლობისთვის. **მათ უნდა დატოვონ კოსოვო, მათ უნდა გაამართლონ ბრალდება, რომ ყველა გაურბის „სერბეთის ძალებს“.**

თქვენ, პატივცემულო მკითხველო, **გსმენიათ რამე იმ მფრინავის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ, რომელმაც დაბომბა ეს უბედური ადამიანები? იმ უფროსების წინააღმდეგ, რომლებმაც დანაშაულებრივი ბრძანება გასცეს? ეგებ ტელეეკრანებზე იხილეთ რისხვით ანთებული სახეები „სამართალდამცავებისა“, რომლებიც სამართლის აღსრულებას მოითხოვდნენ?**

„ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო დანაშაულების საკითხებზე ჰააგის ტრიბუნალმა ასევე ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა ნატოს მოქმედებათა შესახებ. დანაშაულის შემადგენლობა ტრიბუნალის ექსპერტებმა ვერ იპოვეს“.

არც არავინ გაუსამართლებიათ. ასეთ „პოლიტიკურ სასამართლოში“ ასამართლებენ არა დამნაშავეებს, არამედ დამარცხებული მხარის წარმომადგენლებს. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მოგეხსენებათ, გამარჯვებული დასავლეთია.

**ლორდმა რობერტსონმა**, რომელიც იმხანად ნატოს გენერალური მდივანი იყო, „საერთაშორისო ამნისტიის“ ბრალდებებს დაუსაბუთებელი უწოდა და განაცხადა, რომ „ჩრდილოატლანტიკური კავშირი, იუგოსლავიის დაბომბვისას რჩებოდა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში. თავისი პოზიციის გასამყარებლად მან მოიხმო ჰააგის ტრიბუნალის პროკურორის **კარლა დელ პონტეს** ამასწინანდელი გადაწყვეტილება ნატოს წინააღმდეგ საქმის არაღძვრის შესახებ“.

**ნატო ბომბავდა სუვერენულ ქვეყანას ისე, რომ არ ჰქონდა გაეროს სანქციები, არღვევდა ყველა საერთაშორისო ნორმას.** „ჰუმან რაითს ვოჩის“ წარმომადგენელი ინტერვიუს მიცემისას უაღრესად კორექტული იყო: „საერთაშორისო ამნისტია“ ეჭვის თვალით კი არ უყურებს და გმობს ოპერაციის წარმართვის საკითხს, ისევე, როგორც გადაწყვეტილებას იუგოსლავიის დაბომბვის შესახებ, არამედ განიხილავს საერთაშორისო სამართლის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს“.

ე.ი. თქვენს უფლებაში, დახოცოთ ადამიანები, ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ ეს ჰუმანურად უნდა გააკეთოთ.

**საერთაშორისო პრესა წერდა გუანტანამოს ციხეზეც, რომელშიც ადამიანები დამწყვდეული ჰყავდათ წლების განმავლობაში... გაუსამართლებლად. მათ სამხედრო ტყვეების სტატუსიც კი არ ჰქონდათ, მათზე არ ვრცელდებოდა 1949 წლის ჟენევის კონვენცია. ეს ყველაფერი ხდებოდა აშშ-ში, დემოკრატიის ციტადელში. აშკარა დანაშაულია, მაგრამ სამართლის დამცველნი არ მოითხოვდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო აშშ-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას. იმპერია რჩებოდა სიკეთის იმპერიად.**

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ **ბარაკ ობამას** გადაწყვეტილებას გუანტანამოს ციხის დახურვის შესახებ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, არც უკანონო მოქმედებაში შემჩნეულები გაუსამართლებიათ.

ან, იქნებ, გგონიათ, რომელიმე სამართალდამცავი აპირებს **ჯორჯ ბუშის** გასამართლებას? თუმცა სამართალში მის მისაცემად ფაქტები საკმარისზე მეტია, დამალულიც არაფერია — ყველამ ყველაფერი იცის. მაგალითად, ერაყში შეჭრა, რომლის მიზეზად საკმარისი იყო მოარული ხმები, თითქოს **სადამ ჰუსეინი** ფლობს მასობრივი განადგურების იარაღს და მზად არის, გამოიყენოს იგი დასავლეთის წინააღმდეგ. შეიჭრნენ ქვეყანაში, გადააქოთეს ყველაფერი და ვერავითარი იარაღი ვერ იპოვეს. თავიანთი მაინც შეეტანათ, ეგებ წამოეგოთ ამ ანკესზე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ან ვინმე მაინც, ერთეულები.

სადამი ჩამოახრჩვეს.

**მისტერ ბუშს რაო, რას მოსთხოვ? ჰიტლერს რომ გამოეცხადებინა, საბჭოთა კავშირს აქვს ბირთვული იარაღი და ემზადება დასავლეთისთვის დასარტყმელადო, გამართლებული იქნებოდა ვითომ სსრკ-ზე ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმა 1941 წლის 22 ივნისს? მოქმედება მსგავსია, შედეგებიც, შეფასება კი — დიამეტრულად განსხვავებული. შეფასების ასეთ განსხვავებას ეწოდება პროპაგანდა.**

ისმის აღშფოთებული შეძახილები: **არ მოგწონთ ამ ორგანიზაციების შეფასებები — შექმენით თქვენი, საკუთარი და შეაფასეთ, იბრძოლეთ ისე, როგორც მოგწონთ და გაგიხარდებათ. გონიერი წინადადებაა, ერთი „მაგრამ“ რომ არ აფუჭებდეს: დასავლეთში ტრიბუნას არავინ დაგითმობთ. დაბეჭდავენ მათ მომზადებულ ანგარიშებს, ინტერვიუს მათ ჩამოართმევენ, მხოლოდ მათ შეკითხვებს უპასუხებენ, თქვენსას ყურსაც არ ათხოვებენ. ტელეეკრანებზე ყოველთვის ისინი იქნებიან. თქვენ კი იბრძოლეთ, იბრძოლეთ, გეთაყვა! თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, თავისუფლება მონიჭებული გაქვთ. თავისუფლება ჩვენც გვაქვს, თქვენი არგამოჩენის, არდაბეჭდვის თავისუფლება.**

ქუჩაში რომ მოგისმინონ, საყვირი ან მეგაფონი დაგჭირდებათ. თანამედროვე საზოგადოებაში ისინი მასობრივი ინფორმაციის საშუალებად მიიჩნევა. დასავლეთში ისინი თითქმის საყოველთაოდ დამოუკიდებელი და თავისუფალია და სწორედ ამიტომ... ერთსა და იმავე ვერსიას ავრცელებენ ერთსა და იმავე მოვლენაზე. ყველა ერთნაირად ხომ არ ცდება?! ნაკლებ სარწმუნოა. განსაკუთრებით, როცა ყველა თავისუფალია ფაქტების შესწავლის პროცესში... **1941 წლის 22 ივნისს ტელეარხები „სი-ენ-ენი“ და „სქაი ნიუსი“ რომ არსებულიყო, პირდაპირ რეპორტაჟებს მოაწყობდნენ ადგილებიდან და მსოფლიო საზოგადოებრიობას აუწყებდნენ, რომ საბჭოთა ჯარებმა სისხამ დილით არტილერიის გრგვინვისა და გრუხუნის ფონზე, ფუგასური ბომბების ყველაფრის გამანადგურებელ აფეთქებათა კვალზე გადალახეს გერმანიის საზღვარი...**



ასე დახოცეს ნატოელებმა ალბანელი ლტოლვილები

**1999 წლის 14 აპრილს (ზუსტად 17 წლის წინათ) 13 საათსა და 30 წუთზე ჯაკოვიცა-პრიზრენის გზაზე, სოფლების — მადანაისა და ნეიეს მახლობლად სამჯერ დაბომბეს ალბანეთის მშვიდობიანი მოქალაქეების კოლონა. ორი საათის განმავლობაში მიწასთან ასწორებდნენ. ქალები, ბავშვები და მოხუცები შინ ბრუნდებოდნენ მანქანებით, ტრაქტორებითა და ცხენშებმული ოთხთვალებით. ღიად, დაუფარავად, მაშასადამე, მათ კარგად ხედავდნენ ნატოელი მფრინავები, ხელის გულზე ჰყავდათ და წარმოუდგენელი იყო, ეს ადამიანები ჯარისკაცებში აერიოდათ, ტრაქტორი ჯავშანტრანსპორტიორში შეშლოდათ, ხოლო საზიდრები ტანკებად მოჩვენებოდათ. შუადღეს, მზიან ამინდში სამჯერ გადაუარეს... გზაზე დამწვარი ცხედრები, ტრაქტორების ჩონჩხებიღა დარჩა**

მაშ, ვთქვათ, რომ დასავლეთში არ არის სიტყვის თავისუფლება, რადგან ყველა ერთსა და იმავე სიცრუეს იმეორებს?

დიახ, თავისუფალი სიტყვა იქ არ არის. იგი (სიტყვა თავისუფალი) არსად არის საერთოდ. ძალიან ბევრი განსხვავებული ნიუანსი აქვს მსოფლიო პოლიტიკას, ძალიან დაღვარჭნილია მისი გზასავალი საიმისოდ, რომ ერთი რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებას შესწევდეს ძალა, აჩვენოს სიუჟეტი ან გამოაქვეყნოს წერილი, რომელიც მყისიერად გადახაზავს ათწლეულების განმავლობაში მისი დიპლომატებისა და სპეცსამსახურების მიერ უზუსტესი რუდუნებით გაკეთებულ საქმეს, ურთულესი თამაშით მიღწეულ შედეგებს.

**დასავლეთში მასმედიის ძალა რუსეთზე გაცილებით ადრე შეაფასეს.**

ხშირად მოისმენთ, რომ რუსეთის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება. არადა, ყველა ძლიერი ხელისუფლება სწორედ ასე იქცევა. **რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება პირწმინდად იმეორებს დასავლეთის მიერ დიდი ხნის წინათ გადადგმულ ნაბიჯებს. იქ ყველა საშუალება სანდო ხელშია, ამიტომაა, რომ საჭირო მომენტში ერთხმად იმეორებენ ყოველგვარ სისულელესა და სიცრუეს. დასავლეთის ყველა ძირითადი საინფორმაციო საშუალება კონტროლდება ერთი ცენტრიდან. მიმართულებასაც იქიდან კარნახობენ.**

მაგალითად, დასავლეთმა **მიხეილ სააკაშვილის** დანაშაულები დაგვიანებით შეამჩნია არა იმიტომ, რომ უწინ ცდებოდა და გამოსწორდა, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის მასმედიის მასირებულმა საინფორმაციო შეტევამ შედეგი გამოიღო.

**2008 წლის აგვისტოში მსოფლიომ შეიტყო სიმართლე: ტელევიზორით რომ გადასცემენ საჭირო ინფორმაციას, სურათს, გაზეთებში კი გამოაქვეყნებენ საჭირო ფოტოებს, დააჯერა სააკაშვილი, რომ ელვისებურად გადაწყვეტდა სამხრეთ ოსეთის საკითხს. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ადამიანი დაიღუპება ამ ავანტიურის შედეგად, თუ, სამაგიეროდ, მსოფლიოს ეკრანებზე აჩვენებენ მისი გამარჯვების კადრებს.**

გაზეთები და ტელევიზია საშიში ძალაა. უკონტროლოდ მათი დატოვება არ ეგების. თუ ავტომატების საწყობის კარს საგულდაგულოდ არ გადარაზავთ, ხვალ სხვა ვინმე გაისვრის ამ იარაღით. არ აჭმევთ საკუთარ არმიას — სხვის არმიას გამოკვებავთ, ამბობდა ნაპოლეონი. ასევეა მასმედიასთან ურთიერთობაშიც: **თუ უყურადღებოდ, მშიერს თუ დატოვებთ ჟურნალისტებს, არ წარმართავთ მათ საქმიანობას — ამას სიამოვნებით გააკეთებენ თქვენი მოწინააღმდეგენი. მით უფრო, რომ დასავლეთს დიდი გამოცდილება აქვს დაგროვებული ამ მიმართულებით.**

**„ყველაფერი ისე არ არის, ერთი შეხედვით რომ ჩანს. „ჯენერალ ელექტრიკი“ ფლობს მედიაკონცერნ „ენ-ბი-სის“, „დისნეის“, „ეი-ბი-სის“, „ვიაკომს“, „სი-ბი-ესს“, ხოლო „სი-ენ-ენი“ უზარმაზარი კონგლომერატის — „თაიმ უორნერის“ ნაწილია. ჩვენი გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების უმეტესობა გიგანტურ საერთაშორისო კორპორაციებს ეკუთვნის“, — ეს ციტატა ეკუთვნის ჯონ პერკინსს, რომელმაც შესანიშნავი წიგნი დაწერა ამერიკული კორპორაციების საქმიანობაზე. ეს გაერთიანებები ისწრაფვოდნენ, რაც შეიძლება მეტი კრედიტი მიეცათ სუვერენული სახელმწიფოებისთვის. თანაც, მიეცათ ისე, რომ ვალის გასტუმრება არ შეძლებოდათ. ამით ქვეყანას იმონებდნენ, კაბალაში მოაქცევდნენ.** ვალად რას გასცემდა აშშ? ქაღალდს, კომპიუტერულ ნულებს, რომლებსაც ამერიკელებისთვის კაპიკის ფასი აქვს. **რა უნდა დაუბრუნონ ამერიკას ქვეყნებმა, რომლებმაც დოლარები ვალად აიღეს: წიაღისეული, გაეროში ხმის მიცემით მხარდაჭერა, ტერიტორიები ბაზების განსალაგებლად, თავიანთი დამოუკიდებლობა და სული თავიანთი? 2008 წლის აგვისტოში აშშ-მა საქართველოს მისცა კრედიტი. კეთილშობილურ საქმეს ჰგავს: დიდი სახელმწიფო („დერჟავა“) დამარცხებულ პატარა ქვეყანას ეხმარება. საქართველო ამ ვალს ვერ გადაიხდის. იგი უფრო და უფრო გაეხვევა ამერიკულ ობობას ქსელში. ქართველი ბიჭები კვლავაც დაიღუპებიან ავღანეთში, ერაყსა და მსოფლიოს სხვა „ცხელ წერტილებში“.**

**დასჭირდება ვაშინგტონს და კვლავ დაიღვრება სისხლი კავკასიაში.**

დასავლეთის ყველა ტელეარხი, გაზეთი და რადიოსადგური გაყიდულია. ისინი მღერიან სიმღერებს, რომლებიც მათ დაუწერეს ბანკირებმა — ფედერალური სარეზერვო სამსახურის პატრონებმა. საინფორმაციო სივრცის გასაკონტროლებლად მათ არ სჭირდებათ ინფორმაციის ყველა არხი, საკმარისია ძირითადები, რომლებიც ამ სივრცეს ქმნიან. მასმედიის ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ჟურნალისტები ამას აკეთებენ, ზოგი ხელფასის, ზოგიც იდეური მოსაზრებების გამო.

ინფორმაციული ომი არც ერთი წუთით არ ცხრება და გრძელდება, სხვათა შორის, თქვენს აზრსა და გონებაში. ფხიზლად იყავით ამიტომ.

გაგრძელება იქნება

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერებმა შეძლეს ადამიანის გულის კუნთის აღდგენა პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედებისგან. მათ შეძლეს 500 მლნ უჯრედის ტრანსპლანტაცია, რის შემდეგაც ორი კვირის განმავლობაში გული ბიორეაქტორის სისტემაში იყო მოთავსებული. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერები გულს აწვდიდნენ საკვებ ხსნარს და მასზე გარკვეულ სტრესულ ზემოქმედებას ახდენდნენ. შედეგად უჯრედები გარდაიქმნა გულის უმწიფარ ქსოვილად, რომელიც ელექტროსტიმულაციაზე რეაგირებდა.**

# მეცნიერები ღეროვანი უჯრედისგან ადამიანის გულს შექმნიან

**ყოველდღე მსოფლიოში ათასობით ადამიანი ელოდება დონორ გულს, რომელიც მათ სიცოცხლეს გადაარჩენს, მაგრამ მისი მიღების შანსი ცოტას თუ ხვდება წილად. ამასთანავე, ორგანიზმი შეიძლება ვერ შეეგუოს სხვის ორგანოს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წარმატებულ გადანერგვათა რაოდენობას.**



დიდი ხანია, მეცნიერები ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობენ. და აი, მასაჩუსეტსის ცენტრალური ჰოსპიტლის მეცნიერთა ჯგუფი ჰარვარდის სამედიცინო სკოლის თანამშრომლებთან ერთად მიუახლოვდა გულის ხელოვნურად შექმნის გზას.

ამერიკელმა მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში ჩაატარეს ექსპერიმენტი. მათ აიღეს კანის უჯრედები ზრდასრული ადამიანისა, რომელსაც გულის გადანერგვა სჭირდება (იდეაში ყველაფერმა ამან მომავალში უნდა მიგვიყვანოს სრულფასოვანი გულის ჩამოყალიბებამდე. ორგანოები გაცილებით კარგად იზრდება ლაბორატორიულ პირობებში). მეცნიერებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომლითაც რეციპიენტისთვის სხვა ადამიანის გულის გადანერგვისას მისი ორგანიზმის იმუნური რეაქციის გათიშვა ხდება. მათ ამის მიღწევა დეტერგენტის მეშვეობით დონორის ორგანოდან იმუნიტეტის რეაქციის გამომწვევი უჯრედების მოცილებით შეძლეს. ამ გზით მეცნიერებმა ლაბორატორიული ვირთხებისთვის შექმნეს ნორმალურად მომუშავე ფილტვები და თირკმლები.

მეცნიერების შემდეგი ნაბიჯი იყო ადამიანის გულზე ექსპერიმენტი სპეციალურად შექმნილ ბიორეაქტორში. ორგანო იწმინდებოდა პოტენციურად საშიში უჯრედებისგან, შემდეგ კი გაწმენდილი გარსაცმი განმეორებით ივსებოდა გულის უჯრედებით. ცდა ჩატარდა 73 ადამიანის გულზე, რომლებიც ორგანოების ერთ-ერთმა ბანკმა მიაწოდა მკვლევარებს. ამით არც არაფერი დაშავებულა, რადგან ეს გულები გადანერგვისთვის უვარგისად იყო მიჩნეული და ვერავის სიცოცხლეს ვერ გადაარჩენდა.

გულის უჯრედების მისაღებად მეცნიერებმა გამოიყენეს ახალი მეთოდი და რამდენიმე დღეში გარსაცმის ზედაპირზე გაიზარდა სპონტანურად შემცირებული კუნთოვანი უჯრედები. მეცნიერებმა შეძლეს ადამიანის გულის კუნთის აღდგენა პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედებისგან. მათ შეძლეს 500 მლნ უჯრედის ტრანსპლანტაცია, რის შემდეგაც ორი კვირის განმავლობაში გული ბიორეაქტორის სისტემაში იყო მოთავსებული. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერები გულს აწვდიდნენ საკვებ ხსნარს და მასზე გარკვეულ სტრესულ ზემოქმედებას ახდენდნენ. შედეგად უჯრედები გარდაიქმნა გულის უმწიფარ ქსოვილად, რომელიც ელექტროსტიმულაციაზე რეაგირებდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტის დონეზეა, მაგრამ მისი შედეგები იმედის მომცემია. მომავალში მსგავსი ტექნოლოგია შეიძლება ისე დაიხვეწოს, რომ შესაძლებელი გახდეს ადამიანის სრულფასოვანი გულის შექმნა. ეს კი მეორე შანსს გაუჩენს იმ ადამიანებს, რომლებიც წლობით ელოდებიან დონორს ორგანოს გადასანერგად.

# გულის დონორები შეიძლება გენეტიკურად მოდიფიცირებული ღორები გახდნენ

**არც ისე შორეულ მომავალში ღორები შეიძლება გახდნენ ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების წყარო. აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მკვლევარებმა რამდენიმე საერთაშორისო ინსტიტუტსა და ორგანიზაციასთან ერთად შეძლეს გენეტიკურად მოდიფიცირებული ღორის გულის გადანერგვა ბაბუინისთვის.**

გული ბაბუინის მუცლის ღრუში ჩანერგეს, სადაც მან 945 დღე ნორმალურად იცოცხლა. ის მიერთებული იყო ბაბუინის სისხლის მიმოქცევის სისტემასთან. რაც შეეხება ამ ცოცხალი არსების გულს, მას არავინ შეხებია — თავის ადგილას დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ექიმები ბაბუინს აძლევდნენ იმუნიტეტის დამთრგუნველ პრეპარატებს, რათა აღეკვეთათ ორგანიზმის რეაქცია ჩანერგილი ორგანოს წინააღმდეგ. ასე რომ, პრიმატში ერთდროულად ორი გული ცემდა.

ამ ექსპერიმენტმა, შესაძლოა, სათავე დაუდოს ქსენოტრანსპლატაციას — ერთი ცოცხალი არსების ორგანოების გადანერგვას მეორისთვის.

მხოლოდ აშშ-ში ყოველდღიურად გულის დაავადებით იღუპება 22 ადამიანი, რომლებსაც ხელი არ მიუწვდათ დონორის ორგანოზე. 2015 წელს გულის გადანერგვის რიგში დგომა ავადმყოფებს სამ-ნახევარი თვე უწევდათ. თუკი ქსენოტრანსპლატაცია რეალობად იქცევა, აღნიშნულ სეგმენტში მოკვდავობა საგრძნობლად შემცირდება.



# ქართველმა სტუდენტებმა ხის საათები შექმნეს






**ქართველმა ახალგაზრდებმა ხისა და ტყავისგან „ჰენდის“ ბრენდით პირველი ქართული საათი შექმნეს. ნიკოლოზ გიგაია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სწავლობს, სოფო გურასაშვილი — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

იდეის ხორცშესხმაში 23 წლის სტუდენტებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო დაეხმარა.

„გვინდა, რომ ეს საათები, რომლებიც საქართველოში მზადდება, ბრენდი გახდეს და მხოლოდ აქსესუარი არ იყოს“, — განაცხადა **ნიკოლოზ გიგაიამ.**

სტუდენტები საათებს 3დ-პროგრამაში ამუშავებენ. სამუშაოს ნაწილს ჩარხზე ასრულებენ, მაგრამ ტყავზე, მექანიზმსა და სხვა დეტალებზე, ძირითადად, ხელით მუშაობენ.

იდეა დაახლოებით სამი თვის წინათ გაუჩნდათ. **„მე და ჩემი პარტნიორი სოფო გურასაშვილი დიდი ხანია ვმეგობრობთ და საათებით ვართ გატაცებული. ხეზე მუშაობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ადრე ხისგან პატარა სუვენირებს ვაკეთებდით, ახლა კი ისეთ საათებზე გადავედით, რომელთაც აქ არავინ აკეთებს“,** — აღნიშნა გიგაიამ.

ახალი საათებით შეიძლება დაინტერესდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები — „ჰენდი“ სხვადასხვა მოდელს გვთავაზობს. ამჟამად საათების შეძენა ბრენდის „ფეისბუქის“ გვერდზე შეიძლება. იქვე შეიძლება დამზადებული ნაკეთობების დათვალიერებაც.

**„შეკვეთა ბევრი გვაქვს. გვინდა, თანდათანობით ქართულ ბაზარზე გავიდეთ, შემდეგ კი — საერთაშორისოზე. ერთი-ორი წლის შემდეგ საკუთარი მაღაზიის გახსნას ვაპირებთ, მაგრამ ეს ჯერ იდეის დონეზეა. მომავალი გვიჩვენებს“,** — აღნიშნა გიგაიამ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფრანგული სუნამოს ფლაკონი L'ORANGE VARIEE, რომელიც დამზადებულია 1925 წელს.



# საინტერესო ფაქტები

## სამმა შვეიცარიელმა დიზაინერმა სპეციალურად მოგზაურთათვის მაისური შექმნა



მაისურზე 40 უნივერსალური ნიშანია გამოსახული, რომელთა დახმარებით, როცა არ გესმის ადგილობრივთა ენა, ადვილი იქნება კომუნიკაცია. ამისათვის საკმარისია, მიუთითოთ მაისურზე გამოსახულ შესაბამის ნიშანზე და ის, ვისაც მიმართავთ, ყველაფერს გაიგებს.



## ლეიბი, რომელიც მეუღლეებს ღალატში ამხელს

**ცოლქმრული ღალატი დღეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ თემის განხილვას სულაც არ ვაპირებთ, უბრალოდ, მოგითხრობთ ერთ-ერთი ესპანური ფირმის მიერ შექმნილ უცნაურ ლეიბზე, რომელიც მეუღლეებს ღალატში „ამხელს“.**

საქმე ის არის, რომ ლეიბი მართლაც კერძო დეტექტივის მოვალეობას ასრულებს, რომელიც დღისითაც და ღამითაც თვალყურს ადევნებს თავისი პატრონების პირად ცხოვრებას.

მისი მუშაობის პრინციპი ძალიან მარტივია. მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მეუღლე სამსახურშია, ხოლო მეორე მათ საწოლში საეჭვო მოძრაობებს აკეთებს, ლეიბი აფიქსირებს ღალატის ფაქტს და მოტყუებულ ოჯახის წევრს ტელეფონზე შეტყობინებას უგზავნის.

რა თქმა უნდა, საკითხის მორალური მხარე ღიად რჩება: მოუნდება კი ქმარს საკუთარი ცოლის თვალთვალი ან ცოლს თავისი არც თუ ისე უცოდველი ქმრის შესახებ სიმართლის გაგება? არჩევანი, რა თქმა უნდა, მათზეა.

# ეკოსოფელი ავტომობილის გარეშე





**კეიპტაუნში (სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) მალე ეკოლოგიურად სუფთა მდიდრული სოფელი გაშენდება, რომელშიც ავტომობილები არ ივლიან.**

ეს პროექტი პირველი იქნება აფრიკის კონტინენტზე. ეს 900 მილიონდოლარიანი პროექტი კეიპტაუნის გარეუბან სომერსეტ-უესტში ამოქმედდება, სადაც უკვე განთავსებულია პოპულარული ღვინის საწარმოები და ვენახები.

პროექტის ფარგლებში იგეგმება 1 ათასი საცხოვრებელი სახლის, სამედიცინო ცენტრების, სპა-სალონების, მაღაზიების, სკოლებისა და რესტორნების აშენება. ავტომობილების რაოდენობა შეიზღუდება მთავარ გზაზეც. პროექტის ფარგლებში, ეკოსოფელში პრიორიტეტი იქნება ელექტროენერგიის დაზოგვა, როგორც ენერგიის განახლებადი წყაროების, ასევე დიოდური ნათურებისა და წყლის რესურსების მართვის სისტემის გამოყენებით.

# ძაღლები სოცქსელებში დამოუკიდებლად განათავსებენ თავიანთ ფოტოებს

**ადამიანებს ძალიან უყვართ სოციალურ ქსელებში თავიანთი ფოტოების დადებაც და უცხოთა ფოტოების თვალიერებაც. და რა მოხდება, თუკი ჩვენი ოთხფეხა მეგობრებიც შეძლებენ ამის გაკეთებას?**




მსოფლიოში ცნობილმა კომპანია „პედიგრმა“ შექმნა უჩვეულო პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს ძაღლებს, ისევე „ისარგებლონ“ სოცქსელით, როგორც მათმა პატრონებმა. „ზე ფოსტინგ თეილ“ — ასე დაარქვეს თავიანთ გამოგონებას „პედიგრის“ ინჟინრებმა. გაჯეტი წარმოადგენს განსაკუთრებულ ჟილეტს ძაღლებისთვის, რომელშიც ჩამონტაჟებულია ფოტოკამერა, მინიატურული კომპიუტერი, სენსორი, მოდემი. როდესაც ძაღლს რამე ძალიან უხარია, ის ჩვეულებრივზე სწრაფად აქნევს კუდს, სწორედ ამ მომენტში კამერა იღებს ფოტოს, რომელიც მაშინვე ქვეყნდება სოცქსელში.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, სად გაიყიდება მსგავსი ჟილეტები. მაგრამ აპრილის ბოლოს კომპანიის ესპანურენოვან საიტზე კონკურსის „ჩემი ოთხფეხა მეგობრის საუკეთესო ფოტო“ გამარჯვებულთათვის პრიზად სამი ასეთი მოწყობილობაა დაწესებული.



## საძილე ქუდი, მეტროში ჩათვლემის მოყვარულთათვის

**შრომისმოყვარეობა იაპონელების დამახასიათებელი თვისებაა, ამიტომ ძილისთვის დრო ძალიან ცოტა რჩებათ.**

მათ გამოიგონეს საძილე ქუდები, რომელთა გამოყენება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას მოსახერხებელიცაა და პრაქტიკულიც. ქუდზე სპეციალური წარწერაა, რომელზეც მძინარე ადამიანის სასურველი გაჩერებაა მითითებული, რათა თანამგზავრებმა ის დროულად გააღვიძონ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასეთი ვაშლის გარეცხვა, ანუ მისთვის ცვილის მოცილება ძალიან რთულია და, პრაქტიკულად, შეუძლებელიც, ამიტომაც ზოგი ფცქვნის და ისე მიირთმევს ხილს, რითაც ორგანიზმისთვის აუცილებელ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს ნაგავს ატანს, ზოგი კი პირდაპირ ცვილიანად ჭამს და ამით, ვიტამინების ნაცვლად, მავნე ნივთიერებებით ამარაგებს საკუთარ ორგანიზმს.**




# იცით თუ არა, რაზე მიგვანიშნებს ხილზე მიკრული ეტიკეტები?




**შეგიმჩნევიათ, ალბათ, ზოგჯერ ბანანებზე მიკრული ეტიკეტი, მაგრამ ერთხელ მაინც თუ გაგჩენიათ კითხვა: რას ნიშნავს ეს?**

თუ მასზე 4-ნიშნა კოდია, რომელიც იწყება ციფრით — **3** ან **4**, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი მოყვანილია ინტენსიური სოფლის მეურნეობის პრინციპით, რომელიც თავისთავად გულისხმობს პესტიციდებისა და სასუქების გამოყენებას.

თუ პროდუქტს აქვს **5-**ნიშნა კოდი, რომელიც იწყება ციფრით **9**, ეს ნიშნავს, რომ პროდუქტი მოყვანილია ტრადიციული წესით, როგორც ამას ათასწლეულების განმავლობაში აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები. ახლა ასეთ წესს ორგანულს უწოდებენ, ანუ პესტიციდებისა და სასუქების გარეშე. თუ პროდუქტს აქვს **5**-ნიშნა კოდი, რომელიც იწყება **8**-იანით, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი გენმოდიფიცირებულია.




# ფრთხილად, საშიშია!

**ყველა ჩვენგანმა იცის, რაოდენ მარგებელი და აუცილებელი ხილია ვაშლი. მისი არა მხოლოდ რბილობი, არამედ კანიც უამრავ სასარგებლო მიკროელემენტსა და ვიტამინს შეიცავს და სწორედ ამიტომ ექიმები ვაშლის კანიანად ჭამას გვირჩევენ.**



სუპერმარკეტებსა და ბაზრებშიც ბევრი სახეობის, ჯიშისა და შეფერილობის ვაშლი იყიდება, რომელიც სილამაზით თვალსაც გვტაცებს და ნერწყვსაც გვგვრის, მაგრამ ფრთხილად, ეს სახიფათო სილამაზეა!

საქმე ისაა, რომ ვაშლს, სასაქონლო სახის დიდი ხნით შენარჩუნების მიზნით, გარედან ცვილს ასხურებენ, ოღონდ არა ფუტკრისას, რომელიც თავისთავად სასარგებლოა, არამედ ქიმიურს, რომელიც მის კანზე ილექება და ხილს პრიალასა და ლამაზად ლაპლაპას ხდის.

სწორედ ამიტომაა ხოლმე ვაშლი რაღაცნაირად წებოვანი, რაც, ალბათ, ყველა თქვენგანს შეუნიშნავს.

ასეთი ვაშლის გარეცხვა, ანუ მისთვის ცვილის მოცილება ძალიან რთულია და, პრაქტიკულად, შეუძლებელიც, ამიტომაც ზოგი ფცქვნის და ისე მიირთმევს ხილს, რითაც ორგანიზმისთვის აუცილებელ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს ნაგავს ატანს, ზოგი კი პირდაპირ ცვილიანად ჭამს და ამით, ვიტამინების ნაცვლად, მავნე ნივთიერებებით ამარაგებს საკუთარ ორგანიზმს.

**ცვილით დაფარული ხილი ასე უნდა გარეცხოთ:**

*** გადაავლეთ ვაშლს მდუღარე წყალი. ცვილი ხილული გახდება და საკუთარი თვალით დაინახავთ, რა საშინელებასაც მიირთმევთ ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაცვლად;**

*** ერთ ჩაის კოვზ ლიმონის წვენს შეურიეთ ორიოდე კოვზი სოდა, მოაყარეთ ვაშლს და დაასხით ორი ჭიქა თბილი წყალი;**

*** აიღეთ კბილის ჯაგრისი და მოაშორეთ ვაშლს ცვილი.**

მხოლოდ ამ სამი ნაბიჯის შემდეგ შეგიძლიათ უშიშრად მიირთვათ ვაშლი თქვენც და თქვენმა პატარებმაც.

# გენმოდიფიცირებული პროდუქტები

**საქართველოს ბაზრებზე დღეისათვის არსებული საკვები პროდუქტები (როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი წარმოების) შეიცავს გარკვეულ გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. იმპორტირებულ პროდუქტებს შორის, მათში გენმოდიფიცირებული მასალის შემცველობის თვალსაზრისით, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ მონაცემების მიხედვით, პირველ რიგში, აღსანიშნავია:**

**კარტოფილის ჩიფსები;**
**სიმინდის ჩიფსები და კრეკერები;**
**სიმინდის ბურღულეული;**
**სიმინდის ბურბუშელა;**
**სიმინდის კონსერვები;**
**გაყინული სიმინდის მარცვალი;**
**სოიას ფარშები;**
**სოიას კონსერვები;**
**კეტჩუპები და ტომატ-პასტები** (პომიდორი, სახამებელი);
**ნამცხვრები** (სიმინდი, სოია, ასპარტამი);
**შოკოლადები, კანფეტები** (ლეციტინი, სოია);
**საღეჭი რეზინები** (ლეციტინი, ასპარტამი);
**წვენები და სასმელები** (ასპარტამი);
**ხორცის კონსერვები და პაშტეტები** (ლეციტინი, სოია);
**სუფები** (კარტოფილი, სახამებელი, ლეციტინი);




**რძის პროდუქტები** (მოწიფული და მდნარი ყველი შეიცავს ლეციტინს);
**სამარხო მარგარინი** (მცენარეული ცხიმი, ლეციტინი);
**ძეხვეული** (ლეტიცინი, სოიას წარმოებულები);
**ბურღულეული** (სიმინდი, სოია, კარტოფილი, მათი წარმოებულებები, ასპარტამი).

# პროდუქტები, რომლებიც გამოცდების პერიოდში უნდა მიირთვათ

**ევროპელმა მედიკოსებმა იმ პროდუქტების სია გამოაქვეყნეს, რომლებსაც მოსწავლეები და სტუდენტები გამოცდების პერიოდში ხშირად უნდა მიირთმევდნენ, რათა ტვინმა აქტიურად იმუშაოს.**



ეს პროდუქტებია: **თევზი, კვერცხი, ქათმისა** და **საქონლის ღვიძლი, ხორბლის პური, ხილი** და **წყალი.** რაც შეეხება ტკბილეულს, ტვინს მუშაობისთვის მართლაც ბევრი გლუკოზა სჭირდება. სუფთა შაქარი მყისვე სისხლში გადადის და შესაძლოა, ერთ წუთში ამოხსნათ ამოცანა, გაიხსენოთ დავიწყებული ფორმულა და ა. შ.



თუმცა გლუკოზის მომატებაზე ორგანიზმი ინსულინის გამომუშავებით რეაგირებს და შრომისუნარიანობა მკვეთრად ქვეითდება. იმედს ნურც ყავაზე, გამაგრილებელ და ენერგეტიკულ სასმელებზე დაამყარებთ, ისინი ტვინს და ნერვებს კი არ კვებავენ, პირიქით, ფიტავენ.



# ბანანის ყვავილი

**გინახავთ ბანანის ყვავილი? ეს არის უზარმაზარი მელნისფერი ყვავილი, რომლიდანაც ბანანებით დახუნძლული მტევანი ვითარდება. ის მიწაში დამალული ფესურიდან მცენარის შუა ნაწილის გავლით ამოიზრდება. ყვავილი, საბოლოოდ, ორ ზემოთა ფოთოლს შორის გამოყოფს თავს და ჩამოეკიდება. ყვავილის ფურცლების ჩამოცვენის შემდეგ უკვე კარგად ჩანს 10-15 განუვითარებელი მტევანი, რომლებიც ერთ დიდ კონას ქმნის. გამოუცდელ თვალს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მტევნები თავდაყირა იზრდება. მტევანი შედგება 20 ან მეტი ბანანისგან, რომლებსაც „თითებს“ უწოდებენ.**



*** ვივიენ უილერი, რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ის ქალია, რომელსაც ყველაზე გრძელი წვერი აქვს მსოფლიოში.** ვივიენმა მამის დაჟინებული მოთხოვნით წვერის გაპარსვა 7 წლისამ დაიწყო, ხოლო 1993 წლიდან წვერი მოუშვა, რომლის სიგრძე ამჟამად 27,9 სმ-ია.



* ნიუ იორკელ **ფრენკ ეიმსის წარბების თმის ღერი 9,6 სმ-ია,** რომლის გამოც მას ადამიანებს შორის ბადალი არ ჰყავს.

ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «უცნაური» ადამიანები



*** ქეთი იანგი — ყველაზე წვრილი წელის პატრონად ითვლებოდა მსოფლიოში.** მისი წელის გარშემოწერილობა უდრის 38,1 სმ-ს, რომლის წყალობით მისი სხეული ქვიშის საათს ჰგავს. გასაოცარია, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ფოტოშოპი.

„კორსეტების დედოფალი" — ასე უწოდებს ის თავის თავს. ის 2007 წელს გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, მაგრამ ამჟამად ყველაზე წვრილი წელი აქვს **ესტელ გრენჯერს** — სულ რაღაც 33 სმ.



***რადხაკანტ ბაიპაი** ყურებზე თმების სიგრძით იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას. 2003 წელს, როდესაც ის გინესის რეკორდსმენი გახდა, ყურებზე მისი თმის სიგრძე 13,2 სმ იყო, ამჟამად 25 სანტიმეტრია.



*** მაჰმედ ოზურიკი 1949 წელს დაიბადა თურქეთში. გინესის წიგნში ის თავისი გრძელი ცხვირის გამო მოხვდა — 11,5 სმ.**



* ადამიანს თმა, ჩვეულებრივ, 60-90 სმ-მდე ეზრდება, მაგრამ გინესის რეკორდების წიგნში ხვდებიან ის რჩეულები, რომლებსაც თმა ბუნებრივი ანომალიების წყალობით მთელი ცხოვრების მანძილზე ეზრდებათ. მსოფლიოში არაერთ ქალს აქვს რეკორდულად გრძელი თმა, მაგრამ ამჟამად ოფიციალურად ყველაზე გრძელი თმის პატრონად მიჩნეულია ჩინელი **ქსიე ქვიპინგტი. მისი თმის სიგრძე 5 მეტრი და 62 სანტიმეტრია.**



*** სვეტლანა პანკრატოვას ყველაზე გრძელი ფეხები აქვს მსოფლიოში — 134 სმ.**

გინესის რეკორდების წიგნის მონაცემებით, ამ მხრივ რუს ქალბატონს პლანეტაზე ბადალი არ ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქალად არ არის მიჩნეული. მისი სხეულის სიმაღლე მხოლოდ 194 სმ-ია. სვეტლანასთვის ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა მისი ზომა ფეხსაცმლის შოვნა.



*** 236 სმ სიგრძის წვერი აქვს სარვან სინგჰს.** 2008 წელს, როდესაც ის გინესების წიგნში მოხვდა, მისი წვერის სიგრძე იყო **228 სმ.** ახლახან ერთ-ერთი ევროპული ტელევიზიისთვის სინგჰს წვერი გაუზომეს. თუმცა მის გასაზრდელად ის არავითარ ზომებს არ მიმართავს, აღმოჩნდა, რომ წვერის სიგრძე კიდევ 5 სმ-ით გაიზარდა. **სარვან სინგჰს** თავისი წვერი ღვთის საჩუქრად მიაჩნია.



***ლუი ხუა ჩინეთში ცხოვრობს, დაავადებულია მიკროდაქტილიით.** მისი მარცხენა ხელის შუა თითის სიგრძე 26,4სმ-ია, საჩვენებელი თითისა კი — 30,5 სმ. შანხაის ქირურგებმა მას ჩაუტარეს ოპერაცია, რომლის დროსაც ხელის მტევანზე 5 კილოგრამამდე ძვალი და ხორცი მოაცილეს.



***არსებობს ასეთი გამოთქმა: „გრძელი ენა აქვსო".** ამას ამბობენ მათზე, ვინც ბევრს ჭორაობს და ენაზე კბილის დაჭერა არ შეუძლია, მაგრამ ამქვეყნად მართლა არიან ადმიანები, რომლებსაც ძალიან გრძელი ენა აქვთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. **სტივენ ტეილორს** (მამაკაცებს შორის) სხვებზე გაცილებით გრძელი ენა აღმოაჩნდა — 9,5 სმ, ქალთა სქესის წარმომადგენლებს კი ამ მხრივ **ანიკა იმლერმა** აჯობა — მისი ენა 7 სმ-ია.





*** ყველაზე დიდი პირის პატრონია ფრანცისკო დომინგო ხოაკიმი.** ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, ადამიანმა ამხელაზე გააღოს პირი, მაგრამ ხოაკიმს არამხოლოდ თავისუფლად შეუძლია პირის ღრუში კოკა-კოლის სტანდარტული ბოთლის მოთავსება, არამედ ენით მისი თავისუფლად შემობრუნებაც. ამასთანავე, მას შეუძლია ისე გაიწელოს ტუჩები, რომ მთელი სახე დაიფაროს.



***ყველაზე დიდი ხელის მტევანი კი ლეონიდ სტადნიკს აღმოაჩნდა.** ეს უკრაინელი გიგანტიც გინესის რეკორდების წიგნის მიღმა, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა. 2007 წელს ის გახდა დედამიწაზე ყველაზე დიდი ტანის ადამიანის ტიტულის მფლობელი. ბავშვობაში კი კლასში ყველაზე პატარა ბიჭი ყოფილა. 13 წლისას ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმსივნე კეთილთვისებიანი იყო, ბავშვს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ექიმმა ფატალური შეცდომა დაუშვა, როცა შემთხვევით შეეხო ჰიპოფიზს. ამ წარუმატებელი ოპერაციის შედეგად მოზარდს ჩამოუყალიბდა აკრომეგალია, დაავადება, რომელსაც ახასიათებს სხეულის ცალკეული ნაწილების პათოლოგიური გადიდება. შედეგიც სახეზეა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1928 წლის 22 აპრილს თბილისში დაიბადა მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი ელგუჯა ამაშუკელი.**
მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „ქართვლის დედა“, ვახტანგ გორგასლის ძეგლი, „დიდების მონუმენტი“ (ფოთში), თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველის“ პორტალის რელიეფი, რაფიელ ერისთავისა და ნიკო ფიროსმანის ძეგლები.
გარდაიცვალა 2002 წლის 10 მარტს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ისტორიაში

**რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.**



*** 1824 წლის 21 აპრილს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალაში დაიბადა პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი რაფიელ ერისთავი.**
ბავშვობა სოფელ ქისტაურში გაატარა, სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ — შუამთის მონასტერში.
რაფიელ ერისთავს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მუზეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში; იგი იყო ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე; ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი; გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი“. მისი რედაქტორობით პირველად გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“.
რაფიელ ერისთავის ყველაზე პოპულარული ლექსია „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც 1881 წელს დაწერა.
„...არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“
გარდაიცვალა 1901 წლის 4 მარტს.

*** 1564 წლის 23 აპრილს სტრატფორდ აპონ ეივონში (უორკშირი, დიდი ბრიტანეთი) დაიბადა სახელგანთქმული ინგლისელი პოეტი და დრამატურგი, 38 პიესისა და 154 სონეტის ავტორი უილიამ შექსპირი.**
მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „ტიტუს ანდრონიკუსი“, „რომეო და ჯულიეტა“, „იულიუს კეისარი“, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „აურზაური არაფრის გამო“, „ჭირვეულის მორჯულება“, „სონეტები“ და სხვ.



გარდაიცვალა 1616 წლის 23 აპრილს.



*** 1724 წლის 22 აპრილს ქალაქ კენინგსბერგში (იმჟამად პრუსიის შემადგენლობაში შედიოდა, 1946 წლიდან კალინინგრადი ჰქვია და რუსეთის შემადგენლობაშია) დაიბადა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის შემქმნელი იმანუილ კანტი.**
მისი ყველაზე მნიშვნელოვანი შრომებია: „სუფთა გონების კრიტიკა“, „ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები“, „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ და სხვ.
გარდაიცვალა 1804 წლის 12 თებერვალს.

*** 1859 წლის 26 აპრილს პორტ-საიდში (ეგვიპტე) ფრანგი ინჟინრისა და დიპლომატის — ფერდინანდ დე ლესეპსის ხელმძღვანელობით დაიწყო სუეცის არხის მშენებლობა,** რომლის დასრულების შემდეგ, 1869 წლის 17 ნოემბერს, ხმელთაშუა და წითელი ზღვები ერთმანეთს დაუკავშირდა. ეს არის ევროპიდან აზიისკენ მიმავალ უმოკლეს საზღვაო გზაზე მდებარე არხი.






*** 175 წლის წინათ, 1841 წლის 20 აპრილს, ლიტერატურის ისტორიაში პირველად გამოქვეყნდა დეტექტიური მოთხრობა — ედგარ ალან პოს „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“.**
დეტექტივი — ეს არის მხატვრული ნაწარმოები, რომლის სიუჟეტის საფუძველში ჩადებულია კონფლიქტი კეთილსა და ბოროტს შორის და რომელიც ჩადენილი ბოროტმოქმედების გახსნით სრულდება. დეტექტივში აუცილებლად არის გამოცანა და ბოროტმოქმედება, ამ ჟანრში იდუმალებას „რეალური“ ხასიათი აქვს.
1841 წლის 20 აპრილს ფილადელფიის (აშშ) ერთ-ერთმა გამოცემამ „გრემის ჟურნალმა ქალბატონებისა და ჯენტლმენებისთვის“ გამოაქვეყნა ამერიკული მწერლის, **ედგარ ალან პოს,** მოთხრობა „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ და ამით საფუძველი დაუდო დეტექტიურ ჟანრს.



*** 140 წლის წინათ, 1876 წლის 23 აპრილს, თბილისში დაიბადა ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.**
მან შექმნა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომელიც გამოიცა ოთხ წიგნად: 1. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“; 2. „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“; 3. „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“; 4. „ქართული სიგელთამცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, კაპიტალური შრომა „ქართველი ერის ისტორია“.
გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს.

*** 115 წლის წინათ, 1901 წლის 25 აპრილს მსოფლიოში პირველად შემოიღეს ავტომობილის სანომრე ნიშნები.**
ამ დღეს აშშ-ში, ნიუ იორკის შტატში, ავტომობილის მფლობელები კანონით დაავალდებულეს, დარეგისტრირებულიყვნენ თავიანთი გვარ-სახელით და აღეწერათ კუთვნილი ავტომობილი. ამასთანავე, უნდა გადაეხადათ რეგისტრაციის საფასური — 1 დოლარი. ამის შემდეგ მათ აძლევდნენ სანომრე აბრას, რომელზეც ამოტვიფრული იყო ავტომობილის მფლობელის ინიციალები.



*** 30 წლის წინათ, 1986 წლის 26 აპრილს, უკრაინის დედაქალაქ კიევიდან 83 კმ-ით დაშორებულ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ტექნოგენური კატასტროფა.**
ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკზე აფეთქების სიმძლავრე 500-ჯერ აღემატებოდა ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრეს. ავარიის შედეგად ტერიტორია 30 კმ-ის რადიუსში რადიაციით დაბინძურდა. რადიაციული დაბინძურების ზონაში, უკრაინის გარდა, ბელარუსისა და რუსეთის ახლომდებარე ტერიტორიებიც მოყვა, სადაც 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში 600 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის ქართველებიც.

*** 1933 წლის 24 აპრილს ქუთაისში დაიბადა მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რეზო ჭეიშვილი.**
რეზო ჭეიშვილის პოპულარული ნაწარმოებებია: „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „დალი“, „ყაჩაღები“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „ცისფერი მთები“ და სხვ.
მისი სცენარებით გადაღებულია ფილმები: „გათენების წინ“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ბზიანეთი“, „გამოაღეთ ფანჯრები“, „ყვარყვარე“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ექსპრესინფორმაცია“.



გარდაიცვალა 2015 წლის 11 სექტემბერს.



*** 1816 წლის 21 აპრილს იორკშირში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა ინგლისელი პოეტი და მწერალი ქალი შარლოტა ბრონტე (ფსევდონიმი — კარერ ბელი).**
1847 წელს გამოაქვეყნა რომანი „ჯეინ ეარი“, რომელმაც უდიდესი წარმატება მოუტანა. მისი ნაწარმოებებია, აგრეთვე: „შერლი“, „მასწავლებელი“, „ემა“ (დაასრულა მწერალმა კონსტანს სეივერმა).
შარლოტა ბრონტე გარდაიცვალა 1855 წლის 31 მარტს.

## 22 აპრილს სავსემთვარეობაა — ემოციების ამოფრქვევებისა და კრიზისების პერიოდი. წარმატებას მიაღწევენ ქალწულისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

13 - 19 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

თუ პოზიციების ჯიუტად დაცვას შეეცდებით და კოლეგების თვალსაზრისს არ გაითვალისწინებთ, სამსახურში კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას.

იმის გამო, რომ პროფესიული პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ. ეს უნდა აუხსნათ საყვარელ ადამიანს, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოებას ვერც მასთან და ვერც სამსახურში კოლეგებთან თავიდან ვერ აიცილებთ.

მაღალია ქრონიკული ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 21 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 23 აპრილი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

შესაძლოა, უკვე დასრულებულ საქმეში შეცდომა იპოვოთ. ნუ ინერვიულებთ, სჯობს, დახმარება კოლეგებს სთხოვოთ და შეცდომა დროულად გამოასწოროთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მიზეზი ეჭვიანობა იქნება. პრობლემა გულწრფელი დიალოგით მოაგვარეთ.

შეზღუდეთ ცხიმიანი და ცხარე საკვების მიღება და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 24 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 22 აპრილი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

შესაძლოა, მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც საგონებელში ჩაგაგდებთ და გაიძულებთ, ბევრი რამ შეცვალოთ ადამიანებთან ურთიერთობაში.

თუ კეთილსინდისიერად იმუშავებთ, ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ.

შესაძლოა, დადგეთ დილემის წინაშე — ვინ უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის ახლა — საყვარელი ადამიანი თუ მეგობრები. ნებისმიერ არჩევანი უთანხმოებას გამოიწვევს.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რადგან პირველი სიმპტომების იგნორირებას დაავადების გართულება მოჰყვება.

**დადებითი დღე: 25 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 23 აპრილი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

მოგიწევთ ოჯახისა და კარიერული ინტერესების დაბალანსება. პროფესიულ სფეროში თქვენი ადგილისთვის ბრძოლა ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ და ოჯახის წევრები შეიძლება უყურადღებოდ დაგრჩეთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და გაგიჩნდებათ რომანტიკული ურთიერთობის დაწყების შანსი იმ ადამიანთან, რომლის ყურადღების მოპყრობასაც, დიდი ხანია, ამაოდ ცდილობთ.

ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად მიიღეთ კალორიული და ვიტამინებით მდიდარი საკვები. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 20 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 24 აპრილი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

ნუ დაიწყებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, რადგან არ არის გამორიცხული, ვერც ერთი ვერ დაასრულოთ ისე, როგორც დაგეგმილი გქონდათ. გარშემო მყოფების მიმართ უცერემონიო დამოკიდებულების გამო, შესაძლოა, მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდეთ.

მარტოხელა ლომები, ბოლოს და ბოლოს, შეძლებენ იმ ადამიანთან ურთიერთობის აწყობას, რომელიც, დიდი ხანია, მოსწონთ, დაქორწინებულებმა კი მეტად უნდა იზრუნონ ოჯახის უფროს წევრებზე.

დაძაბულმა სამუშაო რეჟიმმა რომ არ გადაგღალოთ და გაგაღიზიანოთ, შეეცადეთ, დილაობით ფიზიკურად დაიტვირთოთ — ირბინოთ ან შეასრულოთ სუნთქვის სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 24 აპრილი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

შესაძლოა, დასახული მიზნისკენ სავალ გზაზე ისეთი დაბრკოლება შეგხვდეთ, რომლის დაძლევაც ძალიან გაგიჭირდებათ, მაგრამ, თუ საკუთარი ძალებისადმი რწმენას არ დაკარგავთ და მუხლჩაუხრელად იშრომებთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

თუ საყვარელი ადამიანი თქვენზე განაწყენებულია, შეეცადეთ, სასიამოვნო სიურპრიზით მოაგვაროთ ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი. კარგი იქნება მოგზაურობა, თუნდაც ქალაქგარეთ.

მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. ჭარბი წონისგან გასათავისუფლებლად მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 26 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 20 აპრილი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

მოგიწევთ ურთიერთობის გარკვევა პარტნიორებთან. შეეცადეთ, მოთმინება გამოიჩინოთ, ჩასწვდეთ მათ იდეებსა და გაითვალისწინოთ მოთხოვნები.

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის იურიდიული დოკუმენტების გაფორმება და კომერციულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

მარტოხელა სასწორებს შეიძლება თავი შეახსენოს ადამიანმა, რომელთანაც წარსულში სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ ურთიერთობის განახლება პრობლემების მეტს არაფერს მოუტანთ.

მაღალია საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 21 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 23 აპრილი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

სამსახურებრივი პრობლემების გამო შეიძლება გაღიზიანდეთ და ინერვიულოთ კიდეც. თავი შეიკავეთ ემოციების ამოფრქვევისა და გარშემო მყოფთა გაკრიტიკებისგან, რადგან ამით პრობლემებს ვერ მოაგვარებთ, ადამიანებს კი ძალიან გაანაწყენებთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. შეეცადეთ, მოუწყოთ მას სასიამოვნო სიურპრიზი — ერთად წახვიდეთ სამოგზაუროდ ან შინ მიიპატიჟოთ ახლობლები წვეულებაზე.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის დაავადებათა გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 25 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 21 აპრილი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ნუ შეეცდებით, რამე რადიკალურად შეცვალოთ პროფესიულ სფეროში. წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმა უარყოფითად აისახება თქვენს კარიერაზე. დასახული მიზნებისკენ აუჩქარებლად და მეთოდურად იარეთ.

საყვარელი ადამიანისადმი მეტისმეტი მოთხოვნების წაყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მწვავე კონფლიქტი, რომელიც, არ არის გამორიცხული, ურთიერთობის გაწყვეტით დასრულდეს. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, ნებისმიერი პრობლემა კონსენსუსის გზით გადაწყვიტოთ.

დაიცავით კვების რეჟიმი, რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი და მარილიანი საკვები. უარი თქვით ალკოჰოლზე.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 24 აპრილი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

დაძაბული პერიოდია. მოერიდეთ კონფრონტაციას კოლეგებთან, აგრეთვე, ოჯახის წევრებთან.

მოშურნეებმა შეიძლება ჭორი გაგივრცელონ, მაგრამ ყურადღება არ მიაქციოთ, თქვენი მხრიდან ნებისმიერი რეაქციის გამოვლენა რეპუტაციას შეგილახავთ.

მარტოხელა თხის რქებს ელით რომანტიკული შეხვედრა და ბევრ დასმულ კითხვაზე მიიღებენ პასუხს.

დაქორწინებულმა თხის რქებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 20 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 26 აპრილი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

თუ მხოლოდ თქვენი ინტერესების გასატარებლად იმოქმედებთ და საკუთარ თვალსაზრისს ჯიუტად დაიცავთ, შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობა კოლეგებთან. შეეცადეთ, უფრო მოქნილად და დიპლომატიურად იმოქმედოთ. ამ პერიოდში თავი შეიკავეთ მოგზაურობისგან და საეჭვო კომერციულ გარიგებებში მონაწილეობისგან.

შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში გაჩნდეს ბზარი და ამის მიზეზი თქვენი მხრიდან გამოვლენილი ეჭვიანობა იქნება.

თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 24 აპრილი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

ამ პერიოდში მთავარი იქნება, მნიშვნელოვნად გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მაგრამ მეტისმეტი მონდომებისა და ფულის არაეკონომიურად ხარჯვის გამო შეიძლება უარეს დღეში აღმოჩნდეთ.

შეადგინეთ მოქმედების გეგმა და მაქსიმალურად შეზღუდეთ გასავლები.

არ არის გამორიცხული, სხვა ადამიანების პრობლემების მოგვარება მოგიწიოთ, თუმცა ეს მორალურ სიამოვნებას მოგგვრით.

გაუფრთხილდით ღვიძლს, ამ პერიოდში მაღალია ამ ორგანოს ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 26 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 21 აპრილი.**

# პანამის სკანდალს პლუს ექვსი გაჟონილი საიდუმლო




**პირველი სკანდალი „ვიკილიკსის“ მიერ საჯაროდ გამოტანილი ცნობები იყო, რომლებიც 2010 წელს სამხედრო მხილებებს მოჰყვა. ივლისში „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა 90 ათასი გასაიდუმლოებული საბუთი ავღანეთის ომზე, მათ შორის იმაზე, თუ როგორ ეხმარებოდა პაკისტანის სპეცსამსახურები თალიბანს, ხოლო დასავლეთის კოალიცია მალავდა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლთა რაოდენობას.**

მოგვიანებით, იმავე წელიწადს გამოქვეყნდა 400 ათასი საბუთი ირანის ომზე. ამ მონაცემების თანახმად, დასავლეთის კოალიციის მოქმედებას შეეწირა გაცილებით მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, ვიდრე ოფიციალურად იყო განცხადებული: „ვიკილიქსი“ თანამშრომლობდა გაზეთ **„გარდიანთან“** ლონდონში, გაზეთ **„ნიუ იორკ თაიმსთან“** ნიუ იორკში, ასევე, გერმანულ **„დერ შპიგელთან“**. აშშ-მა „ვიკილიქსის“ დამფუძნებელ ასანჟზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

ამერიკული ელიტა დაიბოღმა, რომ ვიღაცამ გაბედა და მათ ქალწულებრივ უმწიკვლო ყოფა-ცხოვრებას ჩირქი მოსცხო... სიმართლის გამჟღავნებით.

„ვიკილიქსმა“ მართლაც გაბედა და 2010 წელს გამოაქვეყნა 251 285 კონფიდენციალური შინაარსის დეპეშა, რომლებსაც აშშ-ის საელჩოები მთელი მსოფლიოდან უგზავნიდნენ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს. ეს დეპეშები საფუძვლად დაედო მხილებათა მთელ რიგს, 2011 წელს რომ განხორციელდა. დეპეშებიდან გაცხადდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დეტალურ მითითებებს აძლევდა ამერიკელ მოხელეებს, თუ როგორ უნდა ეთვალთვალათ და მიეყურადებინათ გაეროს ხელმძღვანელობის საქმიანობისა და ყოფისთვის გენერალური მდივნის — პან გი მუნის ჩათვლით.

**სააკაშვილ-მერაბიშვილის სპეცსამსახურების გატაცება მტერ-მოყვარის პირადი ცხოვრების ვიდეოჩანაწერების „ხელოვნებით“, როგორც ჩანს, აქედან მოდის, მაგრამ პროვინციალიზმისთვის დამახასიათებელი მაქსიმალური თავის მოქაჩლებით გამოირჩევა: ნახეთ, რა ერთგულები ვართ თქვენი და დაგვიფასეთო.**

**უფასებდნენ. უფასებენ დღესაც.**

ყველაზე მგრძნობიარე დარტყმა, მიიჩნევენ სპეციალისტები, იყო მსოფლიოში გაფანტული ტერორისტული ობიექტების გასაიდუმლოებული სიის გასაჯაროება. დანიაში გაუჩნდათ განცდა, რომ აშშ-ის საელჩო 2006 წელს შეეცადა, წინ აღდგომოდა წინასწარმეტყველ მუჰამედზე კარიკატურების გამოქვეყნებას ადგილობრივ ჟურნალში. მონაცემების გაჟონვამ ყოვლისშემძლე პოლიტიკური მოღვაწეების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია, ისეთების, როგორიც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჰილარი კლინტონი** იყო. შექმნილ სიტუაციას მან გლობალური უშიშროებისთვის შექმნილი საფრთხე უწოდა.

**ჯულიან ასანჟი**, რომელსაც გაუპატიურების მცდელობა დააბრალეს ლონდონში, ეკვადორის საელჩოს აფარებს თავს.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შეძრა 2013 წელს გაჟონილმა საბუთებმა ოფშორული ზონიდან. მაშინ გასაჯაროვდა 2,5 მილიონი ფაილი, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა ორ კომპანიას — კონსალტინგურ ფირმას სინგაპურში და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე. ამ დოკუმენტებით ისტორიაში პირველად გაცხადდა, როგორ ახერხებდნენ მდიდარი ადამიანები, ჩახლართული საფონდო ქსელებისა და კომპანიების მეშვეობით წარემართათ თავიანთი ბიზნესსაქმიანობა ისე, რომ საგადასახადო ორგანოებისთვის დაემალათ თავიანთი დიდი ფული, უძრავი ქონება, მდიდრული იახტები. საბუთებში დასახელებული იყო 130 ათასი ოფშორული ფირმა და მათი როგორც ფიქტიური, ასევე ნამდვილი მფლობელების გვარები.

აღნიშნული მხილება ორგანიზებული იყო ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ, რომელიც იმ დროს აერთიანებდა ასზე მეტ ჟურნალისტს მსოფლიოს 60 ქვეყნიდან.

2014 წელს გამოქვეყნდა ლუქსემბურგის აუდიტორული კომპანიის დოკუმენტების 28 ათასი ფაილი. ამ საბუთებით გამჟღავნდა, რომ ზოგიერთი უმსხვილესი მსოფლიო კომპანია საიდუმლო გარიგებებით აუდიტორულ ფირმასთან ახერხებდა მათთვის უაღრესად სასარგებლო და მომგებიანი ხელშეკრულებების დადებას. შედეგად ევროკავშირის ქვეყნებმა მილიარდობით საგადასახადო ზარალი განიცადეს. გაჟონილი მონაცემები ეხებოდა 548 შეთანხმებას, რომლებიც გაფორმდა 2002-დან 2010 წლებში. მათ შორის იყო **„პეპსი“, „იკეა“, „დისნეი“** და **„სკაიპი“**.

2015 წელს ფრანგულ გაზეთ **„ლე მონდს“** ჰქონდა საშუალება, ჩაეხედა ბრიტანეთის საბანკო კონგლომერატ **„ეიჩ-ეს-ბი-სი“**-ს 100 ათასი კლიენტის საბუთებში, რომელთა შორის იყვნენ როგორც კერძო პირები, ასევე საწარმოები. გაჟონვის შედეგად გაირკვა, რომ ბანკის ყველაზე უფრო მდიდარ კლიენტებს შორის 2007 წლამდე იყვნენ პირები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ კორუფცია, აგრეთვე, იარაღითა და ალმასებით უკანონო ვაჭრობა. ამასთანავე, ბანკი დიდ ფულს შოულობდა მესამე სამყაროს დიქტატორებისთვის მიცემული კონსულტაციებით, პოლიტიკოსებისთვის, სპორტის, მუსიკისა და კინოს ვარსკვლავებისთვის ოფშორული ფირმების შექმნით და ამით თავს არიდებდა გადასახადებს.

მაგრამ ზემოთ დასახელებული ინციდენტები ფერმკრთალდება პანამის სკანდალთან შედარებით. ამ შემთხვევაში მაქინაცია, რომელსაც ფირმა **„მოსაკ ფონსეკა“** განახორციელებდა, ისე დახვეწილია (და პრიმიტიულიც), რომ მდიდარი კლიენტები არ ჩანან ოფშორული ფირმების მეპატრონეებად. ფირმები დროებითი მეპატრონეების სახელზეა გაფორმებული, რომელთაც ნამდვილი პატრონები ფულს უხდიან, როგორც დაქირავებულ დირექტორებს. საქმეს კი წარმართავენ ისინი, ვინც საგულდაგულოდაა ამოფარებული ფართო საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელ გვარებს.

კი გახმაურდა პანამის სკანდალი, მაგრამ საეჭვოა, რომ, როგორც ყველა უწინდელ შემთხვევაში, ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდეს.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**




# მამათმავლებს ეშინიათ

**ავიაკომპანია „ერ ფრანსის“ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის სტიუარდები უარს ამბობენ იმუშაონ იმ რეისებზე, რომლებიც ირანში ასრულებენ რეისებს. ისინი ამბობენ, რომ ეშინიათ, ჩაფრინდნენ იმ ქვეყანაში, რომელშიც ორი მამაკაცის სექსუალური ურთიერთობა სიკვდილით ისჯება, — იუწყება „ლოკასი“.**

ბორტგამცილებლებმა ინტერნეტქსელში გაავრცელეს პეტიცია ასეთი სახელწოდებით: „ერ ფრანსის“ გეისტიუარდებს არ სურთ, იფრინონ ირანში სასიკვდილო განაჩენისთვის“. განცხადებას ორი დღის განმავლობაში ხელი მოაწერა 2 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა.

ირანში ამ პროტესტს არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია, მამათმავლების პროტესტი „ერ ფრანსის“ პრობლემად მიიჩნიეს.

**ფრანგ გეებს ირანში ჩასვლის ეშინიათ, ვერ გაუბედიათ.**

**საქართველოს ედემის ბაღში, კიდევ ცოტაც და, შინნაზარდი ლგბტ თემი საზოგადოებრივ აზრს საბოლოოდ გააუპატიურებს.**



# «ისლამური სახელმწიფოს» შემოსავლები მესამედით შემცირდა

**ამერიკული ანალიტიკური ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ექსტრემისტული დაჯგუფების შემოსავლები 56 მილიონ დოლარამდე შემცირდა, მაშინ, როდესაც 2015 წლის შუა პერიოდში 80 მილიონ დოლარს შეადგენდა.**

შემოსავლების შემცირება ნავთობზე ფასის დაცემამ და მათი პოზიციების განადგურებამ განაპირობა. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ახლა მხოლოდ 21 000 ბარელ ნავთობს მოიპოვებენ, ადრე კი — 33 000 ბარელს. ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ სირიასა და ერაყში დაკავებული ტერიტორიების 22 პროცენტი დაკარგა.

# გერმანიის შს მინისტრი: საქართველოში გაგრძელდება იმ პირების რეადმისია, რომლებსაც დაცვა არ სჭირდებათ

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრ ტომას დე მეზიერის განცხადებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც გერმანიაში დაცვას არ საჭიროებენ, ქვეყანა სწრაფად უნდა დატოვონ. ამის შესახებ გერმანიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამია. რეადმისიის (სახელმწიფოს ფანხმობა საკუთარ ტერიტორიაზე დააბრუნოს თავისი მოქალაქეები — რედ.) ფარგლებში გერმანია საქართველოს 21 მოქალაქეს დაატოვებინეს.**

„დღევანდელი ღონისძიება ერთმნიშვნელოვანი გზავნილი უნდა იყოს: მათ, ვინც ჩვენთან დაცვას არ საჭიროებს, პროცესის დასრულების შემდგომ გერმანია სწრაფად უნდა დატოვონ. თუ ეს ნებაყოფლობით არ მოხდება, აღსრულდება გაძევების გზით. ეს არის იმ პირთა ინტერესში, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ დაცვას და, აგრეთვე, მათივე ქვეყნების ინტერესში. მე და ჩემი ქართველი კოლეგა შევთანხმდით, რომ გავაგრძელებთ საქართველოში იმ პირების რეადმისიას, რომლებსაც დაცვა არ სჭირდებათ“, — განაცხადა ტომას დე მეზიერმა.

გერმანიამ ჩარტერული რეისით საქართველოს 21 მოქალაქის საქართველოში რეადმისია განახორციელა. რეადმისიაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა ფედერალურმა მიწამ: ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიამ, ბადენ-ვიურთემბერგმა, რაინლანდ-პფალცმა და ბავარიამ.

როგორც საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული, ავიარეისის დაგეგმვა და კოორდინაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გერმანიის ფედერალური პოლიციისა და ევროპის საზღვრის დაცვის სააგენტო „ფრონტექსის“ ერთობლივი ძალისხმევით მოხდა.

გერმანიაში მცხოვრები საქართველოს 22 592 მოქალაქიდან, 2016 წლის 29 თებერვლის მონაცემებით, ქვეყანა უნდა დაეტოვებინა 2 240 პირს. გერმანიამ 2015 წელს 300-მდე ქართველის, ხოლო 2016 წლის იანვარ-თებერვალში, დაახლოებით, 50 ქართველის რეადმისია განახორციელა.

**იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი**

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მორჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894